საოლქოს თავმჯდომარეები ხელისუფლების ზეწოლას ვერ უძლებენ A2

ბაკურიას ვერსიები A3

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი შაბათი, 25 ოქტომბერი, 2003 წელი. №281 (493) ფასი 50 თეთრი

მესამე შეტევა "რუსთავი 2"-ზე

წინასაარჩევნო ზეწოლა და ხელისუფლების მორიგი შეცდომა

თამარ ხორბალაძე

არჩევნებამდე ცხრა დღით ადრე, საქართველოს ხელისუფლება ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ ახალ აქციას ახორციელებს - სახელისუფლებო ბლოკის და ქვეყნის პირველი პირები აშკარა და საკმაოდ ღია ზეწოლას ახდენენ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაზე, რომელსაც გუშინ მეცხრე მეტრული არხის დროებით მფლობელობაზე ლიცენზია უნდა გაეცა. ხელისუფლება "რუსთავი 2"-ისთვის ლიცენზიის გაცემას აფერხებს.

მიზეზი მარტივია - ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა უარს ამბობს წინასაარჩევნოდ ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი საინფორმაციო პოლიტიკის გატარებაზე და არ ეთანხმება მოთხოვნას, არ ჩაატაროს არჩევნების დღეს სოციოლოგიური გამოკითხვა ანუ ეგზიტპოლები, რომელიც საზოგადოებას არჩევნების წინასწარ, რეალურთან მიახლოებულ შედეგებს ამცნობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლევან ხორბალაძის პირადი არქივი

ვახტანგ აბაშიძემ პოლიტიკური ზეწოლით გადაწყვეტილების მიღებას გადადგომა ამჯობინა.

მეორე დღე ბათუმში

გუშინ, "ნაციონალების" მიტინგის დარბევიდან მეორე დღეს, ბათუმი დაუბრუნდა ჩვეულებრივ, "სტაბილურ" ცხოვრებას. თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს შენობასთან კიდევ იდგა პოლიციის მანქანების კორდონი, დილით ქალაქში მიტინგის დარბევის კვალი, ფაქტობრივად, აღარ დარჩა.

"ნაციონალების" მანიფესტაციის დარბევის ღამესვე შეიკრიბა აჭარის პარლამენტი, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების და სხვა ოფიციალური პირების მიერ გაკეთდა განცხადებები, რომ გვიან ღამით აჭარაზე იერიშს აპირებდნენ სპეციდანიშნულების რაზმები. **"ეს არ იყო მიტინგი. ეს იყო მეთაურის შენობაში შეღწევის, გადატრიალების მცდელობა,"** - ახმოვანებს აჭარის პარლამენტის პოზიციას პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე მალხაზ ბოლქვაძე.

სხდომას ესწრებოდა ასლან აბაშიძეც, რომელმაც შემდეგი განცხადება გააკეთა: **"პირველ რიგში, უნდა უზრუნველვყოთ მშვიდობა, თორემ ისე არავითარი დემოკრატია და აღორძინება არ იქნება".**

პარლამენტმა მუშაობა ღამის 12 საათზე დაასრულა, საიდანაც პარლამენტართა ნაწილი ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვრის დასაცავად წავიდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

დავით ბერძენიშვილი ყველას მოუწოდებს, მკაცრი შეფასება მისცენ აჭარაში მომხდარს.

პოლიციელთა „კავური შეთავაზება" და მოქალაქეობრივი პოზიცია

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი საგზაო პოლიციას უჩივის. გუშინ, დილით, ჭიაბერაშვილი საგზაო ინსპექტორების ტრადიციულ საქმიანობას – ქრთამის გამოძალვის ფაქტს შეესწრო და მომხდარი იქვე გააპროტესტა. პოლიციელების გამკრიტიკებელი და მძღოლის უფლებების დამცველი ჭიაბერაშვილი ცოტა ხანში აღმოჩნდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის N1 განყოფილებაში.

ხათუნა ჭანგირაშვილი

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ დილით სამსახურში მიმავალმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ტაქსი დაიქირავა, რომელიც "ორთაჭალა-ჰესთან" საგზაო პოლიციამ გააჩერა. მიუხედავად იმისა, რომ ტაქსის მძღოლს არც საგზაო წესები დაურღვევია და საბუთებიც წესრიგში აღმოაჩნდა, პოლიციელებმა საქმის გარჩევა დაუწყეს და შეაყოვნეს. არასამთავრობო ორგანიზაცია

გაგრძელება A7 გვერდზე

„კონკორდი" უკვე ისტორიის კუთვნილებაა

A5

REUTERS

კონკორდის ბოლო აფრენა.

არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი იზრდება

ბოლო სარეიტინგო მაჩვენებლების მიხედვით, "ნაციონალური მოძრაობა" ლიდერობს, "ბურჯანაძე-დემოკრატები" და "ლეიბორისტები" მეორე-მესამე პოზიციას იყოფენ. პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტად არ ენდობიან სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს. ნდობადაკარგულ პოლიტიკოსთაგან მეორე ადგილზეა სახელისუფლებო ბლოკში პირველ ადგილზე მყოფი ვაჟა ლორთქიფანიძე.

ვერიკო თევზაძე

19-22 ოქტომბერს სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და კვლევითი ჯგუფი BCG, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველო"–ს არჩევნების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ორი ათასი რესპონდენტი გამოკითხა. მათგან 1000 – თბილისში, 1000 – რეგიონებში. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი მკვეთრად იზრდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ახალგაზრდებში შეინიშნება.

კითხვაზე **"აპირებთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას?"** – გამოკითხულთა 71,8 პროცენტმა უპასუხა: "აუცილებლად". წინა გამოკითხვის მაჩვენებელი 62, 6 პროცენტი იყო. თითქმის განახევრდა იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებიც კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ **"არჩევნებში დანამდვილებით არ მიიღებენ მონაწილეობას."**

ამომრჩეველი ყველაზე მეტად ენდობა ნინო ბურჯანაძეს, მეორე-მესამე ადგილს იყოფენ მიხეილ სააკაშვილი და შალვა ნათელაშვილი.

"საპარლამენტო არჩევნებში რომელ პოლიტიკურ პარტიას არ მისცემდით ხმას არავითარ შემთხვევაში?" – "ლიდერობს" სახელისუფლებო ბლოკი (58,4 პროცენტი), შემდეგ ადგილებზე არიან "აღორძინება" (17,8 პროცენტი) და "ნაციონალური მოძრაობა" (17, 5 პროცენტი). ამ შემთხვევაში, გამოკითხულები ყველაზე დადებითად არიან განწყობილნი "მემარჯვენეებისა" და "მრეწველებისადმი".

"წარმოიდგინეთ, რომ ხვალ იმართება საპარლამენტო არჩევნები, რომელ პოლიტიკურ პარტიას მისცემდით ხმას?" – პირველ ადგილზე დგას "ნაციონალური მოძრაობა" (24 პროცენტი). მას უკან მიჰყვებიან "ბურჯანაძე-დემოკრატები" (21,5 პროცენტი) და "ლეიბორისტები" (20,9 პროცენტი). ბოლო ადგილზეა "აღორძინება", ბოლოდან მეორეზე – "ერთობა."

გაგრძელება A2 გვერდზე

რუსეთი თავს აფხაზეთის სრულ ბატონ-პატრონად გრძნობს

რუსულ-აფხაზური ერთობლივი ეკონომიკური პროექტების რაოდენობა იზრდება

ბოლო პერიოდში რუსეთის ეკონომიკური აქტიურობა აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში პიკს აღწევს. რუსეთი აფხაზეთში სიტუაციის სრულ ბატონ-პატრონად მიიჩნევს თავს და ახორციელებს ბიზნესპროექტებს; პარალელურად კი, წარმატებით უშლის ხელს აფხაზეთში სხვა წარმოშობის უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ერთ-ერთი ვიზიტის დროს რუსული დელეგაციის წევრებმა კატეგორიულად დასვეს საკითხი, რომ რუსეთის მხარესთან შეუთანხმებლად არ უნდა ხდებოდეს აფხაზეთში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების უცხოური ფირმებისათვის გადაცემა. უფრო მეტიც, მათ მოითხოვეს ამჟამად იქ მომუშავე ფირმების აფხაზეთის ტერიტორიიდან გაძევება. სწორედ ამ მიზეზით, ერთ-ერთმა თურქულმა კომპანიამ, რომელიც ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებზე 1999 წლიდან წარმატებულად მუშაობდა, შარშან აფხაზეთის ტერიტორია დატოვა.

ეთერ მამულაშვილი

რამდენიმე დღის წინ რუსეთის მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გასულ კვირას სოხუმის თევზკომბინატმა რუსეთის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრის დროს განიხილეს ხსენებული საწარმოს პროდუქციის წარმოების გაზრდის პროგრამები. რუსული მედია იქვე მიუთითებდა, რომ უახლოეს ხანებში მხარეები ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას მოსკოვისა და ნოვოროსიისკისთვის აფხაზეთში წარმოებული თევზის მინდობის შესახებ.

გაგრძელება A4 გვერდზე

საპასპორტოს უფროსისა და შინაგან საქმეთა მინისტრის დავაში პროკურატურა ჩაერთო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს პროკურატურაში ჩვენების მიცემა მოუწევთ. მათ პასუხი უნდა აგონ ისანი–სამგორის რაიონის საპასპორტოს ყოფილი უფროსის რამინ ხუბულიას თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლებისთვის. საპასპორტოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებულმა პოლიციელმა საკუთარ მიზანს სასამართლოში რამდენჯერმე გამარჯვების შემდეგაც რომ ვერ მიაღწია, სამართლის პოვნა პროკურატურის გზით გადაწყვიტა; იპოვის თუ არა - ეს სხვა საკითხია.

თამარ კაკვიტაძე

რომან ხუბულიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირება, დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ დაიწყო. ისანი–სამგორის რაიონის საპასპორტოს უფროსი შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა, ბრძანების საფუძველზე, მოულოდნელად თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ადგილას, გავრცელებული ინფორმაციით, თავისი მეგობარი გოჩა სახეჩიძე დანიშნა.

თანამდებობის დასაბრუნებლად ხუბულიამ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიმართა. მართლმსაჯულებამ მინისტრის ბრძანება უკანონოდ მიიჩნია და გათავისუფლებული პოლიციელის ძველ თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა მოითხოვა. კობა ნარჩემაშვილმა სასამართლოს მიერ გამოტანილი, დაუყოვნებლად აღსასრულებელი გადაწყვეტილება ორი თვის შემდეგ დააკმაყოფილა.

გაგრძელება A7 გვერდზე

პოლიტიკა

რჩეულიშვილის „მშვიდობის სოფელი" და რეალობა, რომელსაც ხელისუფლება ხელს ჰკრავს

ხელისუფლებამ და საოლქო საარჩევნო კომისიამ ყველაზე საუკეთესო გამოსავლად პოლიტიკური პროცესებისაგან იმ სოფლის იზოლირება მიიჩნია, რომლის მითიური ანალოგის შექმნასაც შორეულ მომავალში თავადვე აპირებს.

A3

ეკონომიკა

ქართული საბანკო ეთიკის კოდექსი დეკემბერში ამოქმედდება

საქართველოს ეროვნული ბანკი და საბანკო ასოციაცია ქვეყანაში მოქმედი ბანკებისათვის ეთიკის კოდექსის შექმნაზე მუშაობს. ასეთი დოკუმენტი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და წარმატებით არეგულირებს ურთიერთობებს საბანკო ქსელებს, ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის.

A4

უცხოეთი

ნატო-ში რომ შევალთ, ისინი უკან დაიხევენ

"რუსეთი კვლავინდებურად აგრესიულადაა განწყობილი ჩვენს მიმართ და პატივს არ სცემს ჩვენს დამოუკიდებლობას," – განაცხადა ლატვიის თავდაცვის მინისტრმა "როიტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

A5

საზოგადოება

დაატიმრეს... მერხები

ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს. სკოლას, რომელსაც უკვე 13 წელია, სახელმწიფოსგან ინვენტარი არ მიუღია, სექტემბერში 50 ახალი მერხი და 100 სასკოლო სკამი აჩუქეს, ნაცვლად იმისა, რომ საკლასო ოთახებში გაენაწილებინა, დირექციამ ისინი რომელიღაც სართულის რომელიღაც ოთახში გამოკეტა და დიდი ბოქლომიც დაადო. ამ ალოგიკური საქციელის მიზეზი არჩევნები გახლავთ.

A6

სამართალი

ქართველ მესაზღვრეებს რეფორმის განხორციელებაში პოლონელი კოლეგები დაეხმარებიან

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ და მისმა პოლონელმა კოლეგამ ორ ქვეყანას შორის დაწყებული საქმიანი ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმეს.

A7

ამინდი

თბილისი	20
ქუთაისი	23
ბათუმი	21
სოხუმი	18
ფოთი	21
თელავი	19
ზუგდიდი	22
გორი	17
ახმეტა	19

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0925
ევრო	2.4664
გირვანქა სტერლ.	3.5462
რუბლი	0.0699

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 საზოგადოება

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 გულახდილად B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

რჩეულიშვილი მიიჩნევს, რომ საარჩევნოდ საქართველოში ბაქოს სცენარი განვითარდება

ბათუმში მომხდარ ინციდენტს სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანიად მიიჩნევს.

როგორც რჩეულიშვილმა განაცხადა, სააკაშვილი სპეციალურად იმ რაიონებში ჩადის, სადაც მისი ჩასვლა ხმაურიან შეჯახებებს გამოიწვევს. რჩეულიშვილის აზრით, დღეს ოპოზიცია არა ხელისუფლებას, არამედ ერთმანეთს ებრძვის. "მათ შორის მიდის ბრძოლა, თუ ვინ იქნება მთავარი ოპოზიციონერი," - აღნიშნა რჩეულიშვილმა.

მისი თქმით, სახელისუფლებო ბლოკი, მართალია, "დამსახურებულად" არ სარგებლობს ხალხის სიყვარულით, მაგრამ მას თავისი ამომრჩეველი ჰყავს. "ოპოზიცია კი, რადგან ვერ გაერთიანდა, ერთმანეთის ამომრჩეველზე დაჯდა. ამიტომ, მათ შორის ვიღაცა 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ წაგებული დარჩება. წაგებული კი მასობრივ გამოსვლებს დაიწყებს და წაგებას არჩევნების გაყალბებას გადააბრალებს. ასე რომ, ჩვენ აუცილებლად უნდა ველოდოთ 2 ნოემბრის შემდეგ ბაქოს სცენარის განმეორებას. ის, რაც ხდება, დღეს მხოლოდ გენერალური რეპეტიციაა," - განუცხადა რჩეულიშვილმა "ინტერ-პრესს". **ინტერ-პრესი**

„ჰიუმან რაითს ვოთჩი" გმობს რეპრესიებს

ლელა მჭედლიძე

"ოპოზიციის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები რომ გაამართლოს, აზერბაიჯანის ხელისუფლება არჩევნების შემდგომ ისევ მიმართავს ძალადობას. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ამგვარად ჩატარებაში მას თავად მიუძღვის საკმაოდ დიდი წვლილი,"- განაცხადა საგანგებო სიტუაციების საკითხში "ჰიუმან რაითს ვოთჩის" მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა პიტერ ბოკერტმა. **"უსაფუძვლო დაპატიმრებებს ბოლო უნდა მოეღოს. ვინც უსაფუძვლოდ არის დაპატიმრებული, დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ, ხოლო მას, ვინც პატიმრობაში რჩება, დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს ადვოკატის უფლება,"** - ასეთია ამ ორგანიზაციის პოზიცია ბაქოში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით. "ჰიუმან რაითს ვოთჩმა" აზერბაიჯანის ხელისუფლებას კატეგორიულად მოუწოდა იმ ხალხის სიის გამოქვეყნება, ვინც სამართალდამცველებმა 15 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაპატიმრეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელთა აზრით, ამ სიაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, თუ კონკრეტულად სად იმყოფება დაპატიმრებული და რა ბრალდება აქვს მას წაყენებული. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია დაჟინებული თხოვნით მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა მან ოფიციალური ბაქოსაგან დამოუკიდებელი კომისის შექმნა მოითხოვოს. კომისიაში საერთაშორისო ექსპერტებიც შევლენ და ამ ჯგუფმა 15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევები უნდა შეისწავლოს.

როგორც "ჰიუმან რაითს ვოთჩი" აღნიშნავს, არჩევნების შემდეგ დაპატიმრებულთა შორის საკმაო რაოდენობით არიან ოპოზიციის ლიდერები; მათ შორის - სარდარ ჯალალოგლუ - "აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის" გენერალური მდივანი, რომელიც 18 ოქტომბერს შეარაღებულმა, ნიღბიანმა ხალხმა საკუთარი სახლიდან წაიყვანა; იგბალ აგაზადე - პარტია "უმიდის" ლიდერი, რომელიც 17 ოქტომბერს დააკავეს; პანახ ჰუსეინოვი - ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პარტია "ხალკის" ლიდერი, დააპატიმრეს 19 ოქტომბერს; ვაგიფ გაჯიბეილი - პარტია "არხარის" ლიდერი, დააპატიმრეს 17 ოქტომბერს.

"აზერბაიჯანი ბოლო ათი წლის განმავლობაში უფლებათა დაცვის სფეროში ყველაზე სერიოზულ კრიზისს განიცდის. თუ მასობრივი რეპრესიები არ შეწყდა, თვის ბოლოსათვის უკვე არანაირი ოპოზიცია აღარ დარჩება რესპუბლიკაში," - აცხადებს "ჰიუმან რაითს ვოთჩის" წარმომადგენელი ბოკეტი.

ქართველი კრიმინალის საქმეს ესპანეთის სასამართლო განიხილავს

მოსამართლის გადაწყვეტილებით, თბილისის საოლქო სასამართლოში დაწყებული საქმის განხილვა დეკემბრამდე გადაიდო. საუბარია, თბილისში მომხდარ ერთ-ერთ რეზონანსულ დანაშაულზე - ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცების საქმეზე. ირაკლი კორტავა 2002 წლის 20 თებერვალს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე III კვარტალში მდებარე მისი საცხოვრებელი სახლიდან გაიტაცეს. გამტაცებლებმა კორტავას ოჯახის წევრებს გამოსასყიდად 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს. კორტავას ახლობლებმა მოთხოვნილი თანხა იმავე დღეს გადაიხადეს და ბიზნესმენი ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

არსებული ინფორმაციით, ირაკლი კორტავა თბილისში ადამიანის გატაცებაზე მომუშავე "სვანების დაჯგუფებამ" გაიტაცა. იმავე ინფორმაციით, გამტაცებელთა ჯგუფის ლიდერი მურმან ტვილდიანი (მეტსახელად „ხალვა"), რომელსაც სამართალდამცველები განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედ მიიჩნევენ, "კანონიერი ქურდის" ტარიელ ონიანის ნათესავია და იგი სწორედ ახლობელთან, ავტორიტეტულ კრიმინალთან აფარებდა თავს.

სხვათა შორის, ირაკლი კორტავას გამტაცებლების დაკავების სპეცოპერაცია შსს-მ საკმაოდ გაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაატარა. თავდაპირველად გავრცელებული ვერსიით, დაკავებული ჯგუფის წევრებს აკავშირებდნენ კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცების საქმესთან, თუმცა სამართალდამცველთა ვარაუდი არ გამართლდა.

ირაკლი კორტავას გატაცების საქმის სასამართლო პროცესის გადადების მიზეზი მოსამართლე ვაჟა ცაცანაშვილის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გახდა: ერთერთ ბრალდებულს - გოჩა სამსიანს განმეორებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს.

განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობით სასამართლოს სამსიანის ადვოკატმა მიმართა. იგი ამტკიცებს, რომ განსასჯელი გოჩა სამსიანი შეურაცხადია და მან 17 წლიდან არაერთხელ გაიარა ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი.

არადა, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის მიერ თავის დროზე დანიშნულმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ სამსიანი შერაცხადია.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა ყოფილი მძევალი ირაკლი კორტავა, რომელმაც ბრალდებული გოჩა სამსიანი ამოიცნო. თავად სამსიანი კი აცხადებს, რომ მას არ ახსოვს, გაიტაცა თუ არა კორტავა.

კორტავას გატაცებაში, სამსიანთან ერთად, ბრალდებულია ასევე იოსებ გაზდელიანი (მეტსახელად „სორა"), რომელიც უარყოფს დანაშაულს.

მესამე ბრალდებული კი, მურმან ტვილდიანი ინტერპოლმა თვენახევრის წინათ ესპანეთის ერთერთ საკურორტო ქალაქში დააკავა. თუმცა, მისი ექსტრადიცია ჯერ არ განხორციელებულა. ქართველი სამართალდამცველები მისი ექსტრადაციის თაობაზე ესპანელ სამართალდამცველებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

კორტავას საქმე - უფრო ზუსტად, მურმან ტვილდიანის ექსტრადიციასთან დაკავშირებული პროცედურა - პირად კონტროლზე აიყვანა გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ. ტვილდიანის საქართველოში ექსტრადიციით დაინტერესებულია ყოფილი ტყვე ირაკლი კორტავაც. ბრალდებულის დაკავებისთანავე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქმის მასალები ესპანეთის სასამართლოს გადაუგზავნა და ადამიანის გატაცებაში ბრალდებული კრიმინალის გადმოცემა მოითხოვა. არსებული ინფორმაციით, მურმან ტვილდიანს სასამართლო პროცესზე, რომელიც ესპანეთის სასამართლოში უახლოეს დღეებში ჩატარდება, ტარიელ ონიანის მიერ აყვანილი პრესტიჟული ადვოკატი დაიცავს.

24 საათი

არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი იზრდება

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

წინა გამოკვლევების შედეგებთან პარალელებს თუ გავავლებთ, შეიძლება ითქვას, რომ "ლეიბორისტების" და "ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი გაიზარდა, დანარჩენი საარჩევნო სუბიექტების სარეიტინგო მაჩვენებელმა ოდნავ იკლო.

"თქვენი აზრით, რომელი პარტია გაიმარჯვებს არჩევნებში?" – გამოკითხულთა 18,7 პროცენტი "ნათელ მომავალს" სახელისუფლებო ბლოკს უწინასწარმეტყველებს. მომდევნო პოზიციებს იყოფენ "ბურჯანაძე-დემოკრატები" (18,3 პროცენტი), "ნაციონალური მოძრაობა" (15,7 პროცენტი), "ლეიბორისტები" (9, 6 პროცენტი). გამოკითხულთა პროგნოზით, გამარჯვების ყველაზე ნაკლები შანსი აქვს "ერთობას" (0,5 პროცენტი) და "მრეწველებს" (0,8 პროცენტი).

აღსანიშნავია, რომ გამოკვლევების შედეგები ერთ პარადოქსულ ფაქტზე მიგვანიშნებს: სახელისუფლებო ბლოკის სარეიტინგო მაჩვენებელი დაბალია, მაგრამ გამოკითხულთა ყველაზე დიდი პროცენტი მიიჩნევს, რომ სახელისუფლებო ბლოკი გაიმარჯვებს (სხვა პარტიებთან მიმართებაში გამოკითხულები იმას უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას, ვისაც ენდობიან და მხარს უჭერენ). აქედან გამომდინარე, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: გამოკითხულები ფიქრობენ, რომ არჩევნები გაყალბდება სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ.

რეიტინგების დემონსტრირება ჟურნალისტებისთვის.

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ

"მართლა გაყალბდება თუ არა არჩევნები?" – წერილის დასაწყისში ხსენებულ სოციოლოგიური კვლევის ცენტრს ამომრჩეველთათვის ეს შეკითხვა, ჯერჯერობით, არ დაუსვამს.

"ახალმა მემარჯვენეებმა" აღმასრულებელ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაუქნიეს თითი - კვლავ და კვლავ, ამომრჩეველთა სიების გამო. ყველაზე მეტი საყვედური შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მისამართით არსებობს. გუშინ "მემარჯვენე" ლევან გაჩეჩილაძემ მათგან ოფიციალური პასუხი კატეგორიულად მოითხოვა. "მემარჯვენეები" ცესკო-საგან სიების შესწორებას ითხოვენ. გამყრელიძის გუნდი ამომრჩეველთა სიების "რევიზიით" უკმაყოფილოა. გადამოწმების მიუხედავად, სიაში გამოტოვებულნი არიან რეალურად არსებული ამომრჩევლები. **"სამაგიეროდ, ხმის მიცემის უფლება ისეთ პირებს ეძლევათ, ვინც ბუნებაში საერთოდ არ არსებობს,"**- აცხადებენ "ახლები".

ირაკლი იაშვილის განცხადებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაუყოვნებლივ უნდა მიეღო გადაწყვეტილება ამომრჩეველთა სიების გამოხშირვის შესახებ. ამგვარი ოპერაციის ჩასატარებლად, "მემარჯვენეების" აზრით, ერთერთი გამოსავალი იყო ცესკო-ს ხელთ არსებული სიების პარტიების მიერ შედეგნილ სიებთან შედარება და შეჯერება. გარდა ამისა, "ახლები" მომხრენი არიან, რომ საუბნო კომისიების თავმჯდომარეებმა გამოტოვებული ამომრჩეველი სიებში საკუთარი ხელით ჩაწერონ.

ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით კი, ამომრჩეველთა სიებში სერიოზული უზუსტობების არსებობა **"ხელისუფლების მხრიდან სიტუაციის ბოლომდე ესკალაციის მიზანმიმართული მცდელობაა."** გარდა ამისა, "მემარჯვენეები" ამტკიცებენ, რომ აქვთ ინფორმაცია საქართველოს ბევრ რაიონში საოლქო კომისიის თავმჯდომარეების პოსტებიდან გადადგომის შესახებ. როგორც ისინი აცხადებენ, **"კომისიის თავმჯდომარეები ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ვერ უძლებენ."**

საოლქოს თავმჯდომარეები ხელისუფლების ზეწოლას ვერ უძლებენ

ლენა მიქაძე

შარაძე პარლამენტში ამჯერად სახელისუფლებო "კარიდან" შევა

თავისი მაჟორიტარობით კი ის გლდანელების "გაბედნიერებას" აპირებს

გიორგი ასანიშვილი

ეტყობა, ნაადრევია იმით თავის მოწონება, რომ სამოქალაქო საზოგადოებას ვაშენებთ, - მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში კვლავ ღრმად არის ფესვგადგმული პოლიტიკური კერპთაყვანისმცემლობა. ბელადების ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ გამხდარა ისტორიის საკუთრება. ბოლო წლებში არაერთი კვარცხლბეკი გამოთავისუფლდა და მცირე კალიბრის ცოცხალი კერპები მისკენ მაინც დაჟინებით მიიწევენ. ამ უკანასკნელთა საარსებო გარემო კი მასაა, რომლისთვისაც არც 14-ლარიანი პენსიაა მთავარი და არც ის, ექნება თუ არა ამ ზამთარში შუქი. კერპთაყვანისმცემელთა სრული ბედნიერებისთვის საკმარისია, სათაყვანებელ "ობიექტს" უყურონ და უსმინონ. ამ მხრივ, გუშინ გლდანელებს გამორჩეული დღე ჰქონდათ: ფილარმონიაში ისინი თავისი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გურამ შარაძეს შეხვდნენ.

იქ. ზემოთ პრეზიდენტის სკამია.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲐᲚᲐᲫᲔ

ბელადის სიდიადის აღსაქმელად, მისი განსაკუთრებულობისა და მიუწვდომლობისთვის ხაზგასმაა საჭირო. ამ მხრივ, ფილარმონიაში გუშინ "ყველა ზომა იყო მიღებული": შენობაში შესვლამდე სახელმწიფო დაცვის თანამშრომელთა სამი კორდონი უნდა გაგეველოთ, დარბაზში თქვენი ადგილის დაკავება კი მხოლოდ ელექტრონული სისტემით "გაჩხრეკის" შემდეგ შეგეძლოთ. კითხვაზე, რამ გამოიწვია უსაფრთხოების ზომების ასეთი გამკაცრება, დაცვის მუშაკები მხრებს იჩეჩავდნენ. სამაგიეროდ, საქმის კურსში იყვნენ შარაძის თაყვანისმცემელი ხანდაზმული ქალბატონები: **"რას ჰქვია, რა საჭიროა ასეთი კონტროლი? დარბაზში ხომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტია."**

თუმცა, შარაძის "კულტის მსახურებს" ზოგიერთი რიტუალის შესრულების შესაძლებლობა არ მიეცათ. **"სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დარბაზის ტერიტორიაზე სანთლებს ნუ აანთებთ!"** - ღონისძიების დაწყების წინ ამ გამაფრთხილებელ განცხადებას ბევრი უკმაყოფილო შეძახილით შეხვდა, მაგრამ განკარგულებას მაინც ყველა დაემორჩილა.

სცენაზე გამოსულ შარაძეს პუბლიკა ისე შეეგება, როგორც ესპანელი ფანები მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში პირველად გამოჩენილ დევიდ ბექჰემს - სტვენით, ტაშითა და ყიჟინით. ამას მოჰყვა ეროვნული და წმინდა გიორგის დროშების აღმართვა, შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი. აღნიშნულ პროცედურებს, ეტყობა, აღმზრდელობითი როლი ჰქონდა დაკისრებული, იმის გათვალისწინებით, რომ აუდიტორიაში ძალიან ბევრი ბავშვი იმყოფებოდა. ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა მოზარდების მოზღვავება ფილარმონიაში: თავად ყმაწვილებს სურდათ, რომ ადრეული ასაკიდანვე ჩაწვდომოდნენ შარაძის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას თუ მშობლებმა ვერავის დაუტოვეს და თან იახლეს. თუმცა, რეალობასთან ახლოს, ალბათ, უფრო მესამე ვერსია უნდა იყოს - ღონისძიების დასრულების შემდეგ, კონცერტი გაიმართა და ბავშვებმაც დიდი სიამოვნებით ადევნეს თვალი უფროსი თაობის შემოქმედებას.

კონცერტამდე კი დარბაზი თავის კერპს უკმევდა გუნდრუკს. **"გაგვიძეხი მესაჭედ საქართველოს ძლიერების გზაზე, ჩვენ კი თქვენი თანამგზავრები ვიქნებით... ჩემი 84 წლის დედა აუცილებლად მივა არჩევნებზე, რომ თქვენ მოგცეთ ხმა... დიდი გლაკტიონის სიახლოვეს, გურიანთაში ირწეოდა თქვენი აკვანი... ორბთა ყივილს ღირსეულად გაეჯიბრეთ... თქვენ გააცოცხლეთ ილია..."**, - ამ სადიდებელს გურამ შარაძე გაყინული სახით უსმენდა.

მართლაც, დღეს როგორ შეიძლება ყურადღების მოდუნება და გრძნობებს აყოლა, როდესაც **"ქვასროლია და ტყვიასროლია პოლიტიკოსებმა, შეიძლება, დიდი საფრთხე დაატეხონ ქვეყანას!"**

ჰოდა, შარაძეც "დგას იქ, სადაც ქარიშხალია" - გლდანის რაიონის ამომრჩეველთა წინაშე. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს მომავალი სწორედ დედაქალაქის ამ პერიფერიაზეა დამოკიდებული.

"გლდანში ვინც გაიმარჯვებს, ისეთი იქნება ქვეყნის მომავალიც, - თუ ჩემი მოწინააღმდეგეები გაიმარჯვებენ (შარაძის გარდა, გლდანში იყრიან კენჭს კობა დავითაშვილი, ელენე თევდორაძე, ანზორ აბრალავა...), **ელოდეთ იეღოველების პარპაშს, მაგრამ ეს არ მოხდება არც გლდანში და არც, საერთოდ, საქართველოში,"** - ჯერ შეაშინა, მერე კი დაამშვიდა შეკრებილი საზოგადოება შარაძემ, რომელიც, სხვათა შორის, მომავალ პარლამენტში შესვლას მორიგი "ახალი კარიდან" აპირებს: თუ საკანონმდებლო ორგანოში ის პირველად "აღორძინების" პარტიული სიებით მოხვდა, მეორედ "მრეწველებმა" შეიამბანაგეს, ახლა კი სახელისუფლებო ბლოკის სახეს წარმოადგენს. რას იზამთ, კერპების მოქმედების დიაპაზონი ძალიან ფართოა!

მოკლედ

ნინო ბურჯანაძე გუშინ სამეგრელოს ესტუმრა

საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ სამეგრელოს რეგიონში წინასაარჩევნო გასვლა მოაწყო. ბურჯანაძე ჩხოროწყუსა და ხობს ეწვია, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გამართა.

გუშინვე ის სამეგრელოდან ქუთაისში ჩავიდა და ბავშვთა პოლიკლინიკის თანამშრომლებს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ ბოლნისის რაიონს ეწვია. ჯორბენაძემ ბოლნისის რაიონში მდებარე მოხუცების სასადილო "მადლი" მოინახულა, ბოლნისის სტადიონი დაათვალიერა, შემდეგ კი სახელისუფლებო ბლოკის ბოლნისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ლევან მამალაძის პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დღეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ესტუმრება. დაგეგმილია სოფელ ტაბაწყურში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებარე ნავთობსადენის დათვალიერება და სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრა. ამის შემდეგ, პრეზიდენტი ახალქალაქის რაიონში გადაინაცვლებს, სადაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ახალქალაქის განყოფილებას მოინახულებს და ახალქალაქის რაიონის გამგეობის შენობაში მხარის მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებსაც შეხვდება.

მოგვიანებით, ახალქალაქის კულტურის სახლში, საქართველოს პრეზიდენტი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" ერთ-ერთი ლიდერის ნემო ბურჭულაძის შეფასებით, ბათუმის ცენტრში "ნაციონალური მოძრაობის" და "აღორძინების" წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ძალოვნებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად ორივე დაპირისპირებულმა მხარემ ერთნაირად წააგო. ბურჭულაძის თქმით, ყველაზე წამგებიანი და გამაღიზიანებელი სწორედ ის აგრესია იყო, რომელიც ორივე მხარემ ერთნაირად გამოამჟღავნა. იგი "ნაციონალების" წინააღმდეგ გამოყენებულ ძალადობას აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის "ძალიან დიდ შეცდომად" მიიჩნევს და აცხადებს, რომ "ნაციონალების" მიერ დაგეგმილ მიტინგზე აბაშიძის შიშით ვერც ერთი ბათუმელი ვერ მივიდოდა და მას მხოლოდ ის ადამიანები დაესწრებოდნენ, რომლებიც "ნაციონალებმა" თბილისიდან ჩაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი საქართველოს მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. დღეს იგი თიანეთის, ჟინვალის, დუშეთისა და ახალგორის მოსახლეობას შეხვდება.

"ლეიბორისტთა" ლიდერი ადგილობრივ მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს წარუდგენს, თიანეთში - ილია არჩემაშვილს, დუშეთში - თემურ დოლიძეს, ახალგორში - ავთანდილ ყორჩიშვილს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბლოკ „ჯუმბერ პატიაშვილი – პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის" წინასაარჩევნო კამპანია მარნეულის რაიონში გუშინ ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა. ბლოკის ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი სადახლოს და იორმუღანლოს აზერბაიჯანელ მოსახლეობას ქვეყანაში და, კერძოდ, მარნეულის რაიონში არსებულ სოციალურ პრობლემებზე ესაუბრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სადაზღვევო სფეროში დასაქმებულ ქართველ სპეციალისტებს გამოცდილება ამერიკელმა კოლეგებმა გაუზიარეს. როგორც საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში აცხადებენ, მათ ორკვირიანი სწავლების კურსი პროგრამის - „სტუმრად ამერიკაში" - ფარგლებში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევით გაიარეს. სემინარი 4-18 ოქტომბერს მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობდნენ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის და კომპანიების - „ნაბათი", „იმედი ელი" და „საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგი" - წარმომადგენლები. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

ბათუმის პოლიციამ ასლან აბაშიძისგან სამადლობელი სიტყვები მიიღო

ბათუმის პოლიციამ ასლან აბაშიძისგან სამადლობელი სიტყვები მიიღო, იმის გამო, რომ ისინი კორდონს თავდადებით იცავდნენ და "ნაციონალებს" არ ატარებდნენ. თუმცა, მეორეს მხრივ, მათ უსაყვედურეს იმის გამო, რომ ორ ადგილას დემონსტრანტებმა შეძლეს კორდონის გარღვევა. **ინტერ-პრესი**

აშშ-ს საელჩო ბათუმში მომხდარ ძალადობას გმობს

"ნაციონალურ მოძრაობასა" და აჭარის ხელისუფლებას შორის ბოლო ორი დღის განმავლობაში მომხდარ დაპირისპირებებს, გუშინ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო გამოეხმაურა.

საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ აშშ-ს საელჩო მხარს უჭერს საქართველოში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და ბათუმში მომხდარ ძალადობას გმობს.

ამერიკის საელჩო მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ პარტიას, დაიცვან საქართველოში არჩევნების ჩატარების მონიტორინგის მათ მიერ აღიარებული ბეიკერის სქემა, რომლის თანახმად, ყველა პოლიტიკური მოღვაწე თავს შეიკავებს ძალადობის, მუქარისა და დაშინებისგან საარჩევნო კამპანიის, არჩევნების მიმდინარეობისა და არჩევნების შემდგომ პერიოდში.

ამავდროულად, აშშ-ს საელჩო საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, სრული და ობიექტური გამოძიება ჩაატაროს და აღნიშნულ ინციდენტზე პასუხისმგებელთა წინააღმდეგ შესაბამისი ზომები მიიღოს. **ინტერ-პრესი**

სახელისუფლებო ბლოკი დეპუტატობის ორი კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას მოითხოვს

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დღეს ბლოკ „ახალი საქართველოსათვის“ ორ სარჩელს განიხილავს. ერთი ეხება ბლოკ „საკაშვილი — ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის ქემალ მურადხანოვის, ხოლო მეორე — „ბურჯანაძე-დემოკრატების“ კანდიდატის გელა ძიძიკაშვილის რეგისტრაციის გაუქმებას. მურადხანოვი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში 21 ოქტომბერს ხელმეორედ გაატარა. ამავე დღეს გაატარეს რეგისტრაციაში გელა ძიძიკაშვილიც.

ბლოკ „ახალი საქართველოსათვის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძიძიკაშვილისა და მურადხანოვის მხარდამჭერთა ხელმოწერების სიის ნაწილი გაყალბებული იყო და ცესკო ვალდებული იყო, მათ რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. **მედია-ნიუსი**

ევროკავშირის წარმომადგენელი "სამხრეთ ოსეთის" ლიდერებს შეხვდა

საქართველოში ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით მყოფი ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ჰეიკი ტალვიტი გუშინ თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. მანამდე ტალვიტი საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს ესტუმრა და მხარეებმა ქვეყანაში არსებულ "გაყინული" კონფლიქტების დარეგულირებაში ევროკავშირის შემდგომ მონაწილეობაზე ისაუბრეს.

მხარეებმა, აგრეთვე, განიხილეს საქართველოში ერვოკავშირის დახმარების პროგრამების მიმდინარეობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და ისაუბრეს ევროკავშირის ახალ სამეზობლო ინიციატივაში საქართველოს ჩართვის მნიშვნელობაზე. ტალვიტი ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძესაც შეხვდა. ვიზიტის დასასრულს იგი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორესაც ეწვევა. **მედია-ნიუსი**

რიჩარდ მაილსი პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებთან შეხვედრებს იწყებს

საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ ცხრა დღეში ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებთან შეხვედრებს იწყებს და არჩევნებთან დაკავშირებით მათ შეხედულებებს, შეფასებებსა და პრეტენზიებს ისმენს. მაილსმა შეხვედრები გუშინ "მრეწველების" საარჩევნო შტაბიდან დაიწყო. გოგი თოფაძესთან და ზურაბ ტყემალაძესთან, დაახლოებით, ერთსაათიანი საუბრის შემდეგ, რიჩარდ მაილსმა საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებას პოზიტიური უწოდა.

"წინასაარჩევნო პერიოდი ემოციურ ფაზაში შედის და თანდათანობით იზრდება საარჩევნო ვნებები, რაც ნორმალურია. საქართველოში იდეალური დემოკრატია არ არის, თუმცა იდეალურად დემოკრატიული ქვეყანა არც არსებობს", - განაცხადა მაილსმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

თავად "მრეწველთა" ლიდერებმა ამერიკის ელჩს სთხოვეს, წინ აღუდგეს უცხოელების მხრიდან საქართველოში საარჩევნო გაყალბების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების შემოტანის მცდელობას.

საარჩევნო ვითარებასთან დაკავშირებით, აშშ-ს საელჩო ოფიციალურ პოზიციას არჩევნების წინა დღეს განცხადებით დააფიქსირებს. **ინტერ-პრესი**

მეორე დღე ბათუმში

ჰირველი გვერდიდან

რაზე დაყრდნობით მიაწოდა აჭარის უშიშროებამ პარლამენტს იერიშის საფრთხეზე ინფორმაცია, ამის გაგება შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ მსგავსი იდეა შესაძლოა, თავში ვიღაცას მართლა მოუვიდა. ზვიად ძიძიგურმა ჟურნალისტებთან ასეთი განცხადება გააკეთა: **"იყო წინადადება, რომ აქ (ჩოლოქზე) გავჩერებულიყავით. მთელი საქართველოდან მობილიზებული იქნებოდა ხალხი და შტურმით ავიღებდით აჭარას, მაგრამ ეს წინადადება, მე პირადად, სიგიჟედ მიმაჩნია და ჩვენ მივდივართ."** ძიძიგურმა იდეის ავტორის დასახელებისგან თავი შეიკავა.

რაც შეეხება ინფორმაციას დავით ბერძენიშვილის შესახებ, თანაპარტიელები აცხადებდნენ, რომ არ იცოდნენ, სად და როგორ იყო იგი. მეორე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბერძენიშვილმა ჩოლოქს გაღმა გაყვანა ნაცნობ ჟურნალისტებს სთხოვა, თუმცა, სატელეფონო საუბარში ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ ის მარტო წავიდა: **"მე მარტო სპეციალურად წავედი. ვიცოდი, რასაც გამიკეთებდნენ და ზედმეტი სისხლის დაღვრას მოვერიდე."** გაკეთებით კი ის გაუკეთეს ბერძენიშვილს, რომ რამდენიმე ათეულმა კაცმა (იმ ხალხმა, ვინც მიტინგი დაარბია) ჩოლოქზე სადისტურად სცემა.

ბერძენიშვილის ცემის შემთხვევაზე აჭარის სამართალდამცავები სისხლის სამართლის საქმის აღძვრას იმ შემთხვევაში აპირებენ, თუ

ასე უმოწყალოდ სცემდნენ ჩოლოქზე დავით ბერძენიშვილს.

ის ოფიციალურად მიმართავს შესაბამის ორგანოებს - მაგალითად, პოლიციას, რომელსაც აბაშიძემ ოფიციალურად გამოუცხადა მადლობა "გუშინდელი დღისთვის."

და ბოლოს, ბათუმის გარეუბნების მცხოვრებლებმა მიტინგის დარბევის შესახებ საინფორმაციო საშუალებებიდან გაიგეს. არაოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ მიტინგის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთან მიდიოდნენ სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ადამიანები და აფრთხილებდნენ, არ გასულიყვნენ ქუჩაში. თვითმხილველთა თქმით, პარლამენტარმა ჯემალ გოგიტიძემ პირადად გასცა ბრძანება, დაუნდობლად დაერბიათ მომიტინგეები. სპეცდანიშნულების რაზმი კი მხოლოდ რუს გენერალს ემორჩილებოდა. მას ქართველების მიერ ქართველების დარბევის ფაქტმა დიდი სიამოვნება რომ მიანიჭა, გამომეტყველებაზეც ემჩნეოდა. მისი "ლომები" იმდენად გააფთრებით "იბრძოდნენ", რომ რამდენიმე პოლიციელიც შემოელახათ.

მიტინგის დარბევა წინასწარ რომ იყო გათვალისწინებული, ერთი დეტალიდანაც ჩანს: ბათუმის სკოლებში, იმის შიშით, რომ დაიწყებოდა მასობრივი არეულობა, მოსწავლეები ჩვეულებრივზე ადრე გაუშვეს სახლებში.

რაც შეეხება ბათუმელებს, ისინი მეორე დღეს ჩვეულებრივად საუბრობდნენ, მაგრამ ერთმანეთს სახეში ვერ უყურებდნენ.

24 საათი

ბაკურიას ვერსიები

სოფო ბუკია

"პარანოიკული აზრებით შეპყრობილმა, ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა სექტანტურ-ექსტრემისტულ-ტერორისტულმა შეურაცხადმა დაჯგუფებამ, მეტსახელად "ნაციონალურმა მოძრაობამ", ბათუმში კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სცადა," – ასე ფიქრობს "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის შეფი ცოტნე ბაკურია, რომელმაც გუშინ თავისი მოსაზრებები ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე გაანდო.

ბაკურიამ ჟურნალისტებს "პარანოიკი" "ნაციონალების" ბათუმური არშემდგარი რევოლუციის ყველასათვის უცნობი დეტალებიც გააცნო: თურმე "ნაციონალებმა" მუცელი მოუშალეს რვა თვის ფეხმძიმე ქალს, რომელიც დღეს კრიტიკულ მდგომარეობაში ბათუმის ერთ-ერთ საავადმყოფოში იმყოფება. ცოტნე ბაკურიას ინფორმაციით, იმ დროს, როცა ხუთჯვრიანი დროშებით შეიარაღებული "ნაციონალები" აჭარის ხელისუფლების დამხობას ცდილობდნენ, იქვე ქუჩაში გაიარა ფეხმძიმე ქალმა. "ნაციონალებმა" ქალბატონი შეაჩერეს და განუმარტეს, რომ ის ასლან აბაშიძის მონაა. ამის შემდგომ, რვა თვის ფეხმძიმე ქალი "ნარკომან" "ნაციონალებთან" პოლემიკაში შევიდა და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ის მონა არ იყო, რისთვისაც "ნაციონალებს" მისთვის მუცელში დროშის ტარი ჩაურტყამთ... ამ ქალბატონის ვინაობას "24 საათი" ვერ ასახელებს, რადგან ეს თავად ცოტნე ბაკურიამაც არ იცოდა.

ბაკურია თვლის, რომ საქართველოში სტაბილურობის ერთადერთი კერის დასამხობად "ნაციონალებს" ცენტრალური ხელისუფლება ეხმარებოდა. **"ნაციონალებმა" ყველაფერი გააკეთეს, რათა თავიანთი დიდი ბელადის - შევარდნაძის ინტერესები დაეცვათ. სწორედ ხელისუფლების დაფინანსებული იყო მათი ვიზიტი ბათუმში. "ნაციონალებმა" აბუჩად აიგდეს აჭარის მოსახლეობა – მონები, ყმები უძახეს მათ... "ნაციონალების" მოსახლეობასთან საუბრის ერთადერთი იარაღია ძალადობა, ცრემლი და სისხლი. ეს ტერორისტული ორგანიზაცია ხვალ დაგვემუქრება თითოეულ ჩვენთაგანს, ვინც არ გაიზიარებს მათ პოლიტიკას,"** – აცხადებს ბაკურია.

მისი თქმით, "ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი" "ნაციონალები" ბათუმში ოთხი ავტობუსით ჩავიდნენ და მათ შორის შეიარაღებული პირებიც იყვნენ. აჭარის ხელმძღვანელობის თხოვნა, აქცია ჩაეტარებინათ თეატრის შენობის წინ ან სტადიონზე, "ნაციონალებმა" არად ჩააგდეს, რაც ბაკურიას თქმით, სწორედ იმას ადასტურებს, რომ "ნაციონალებს" აჭარის ხელისუფლების დამხობა ჰქონდათ დაგეგმილი.

ცოტნე ბაკურიმ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, „ნაციონალების“ ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატზე დავით ბერძენიშვილზე ჩოლოქის საკონტროლო-გამშვები პუნქტთან თავდასხმის შესახებ. ბაკურია აცხადებს, რომ არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბერძენიშვილი სასტიკად არის ნაცემი და საავადმყოფოში იმყოფება, არ გააჩნია...

პრესკონფერენციის შემდგომ "აღორძინების" ცნობილ სახეები – ცოტნე ბაკურია, რომან გვენცაძე, დათო ხუჯაძე, გოჩა პაიჭაძე და სხვები დათო ხუჯაძის მცირერიცხოვან თინეიჯერ "ფანებს" ჩაუდგნენ სათავეში და "ნაციონალებს" მშვიდობიანი მსვლელობის მაგალითი დაანახეს. მსვლელობის დაწყებამდე ცოტნე ბაკურიამ მომხრეები გააფრთხილა, რომ მოსალოდნელია "ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან პროვოკაცია, რომელსაც არც ერთი ჭეშმარიტი "ამღორძინებელი" არ უნდა აჰყვეს. "აღორძინების" მესვეურებმა აქციის ჩატარების შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს დედაქალაქის პოლიციაც. ბათუმური ბლოკის ოფისს დილიდან თბილისის პოლიციის უფროსის მოადგილე მიხეილ სალაძე და მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსი პაატა ჟღენტი სტუმრობდნენ. აქციის შესახებ ინფორმაციას ფლობდა ასევე თბილისის მერი ვანო ზოდელავა, რომელსაც ცოტნე ბაკურია გუშინ დილით ესაუბრა. "ნაციონალების" ქმედებით შეურაცხყოფილმა დემონსტრანტებმა უსიტყვოდ განვლეს რუსთაველის გამზირი, მშვიდად ჩაუარეს პოლიციელების კორდონით გარშემორტყმულ მერიას და კანცელარიასთან დაბანაკდნენ. "აღორძინების" აქცია ზუსტად ოთხწუთნახევარი გაგრძელდა. ბაკურიამ გაუმართავი მეგაფონიდან მომხრეებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ "ნაციონალების" უკან ხელისუფლება დგას. "აღორძინების" ლიდერებმა კანცელარიასთან გამართულ გუშინდელ აქციას გამაფრთხილებელი უწოდეს.

ცოტნე ბაკურიამ გადატრიალების საპასუხო მცდელობა თბილისში მოაწყო.

მესამე შეტევა "რუსთავი 2"-ზე

ჰირველი გვერდიდან

"ჩემს მახსოვრობაში ხელისუფლება მესამეჯერ უშვებს შეცდომას "რუსთავი 2"-ის მიმართ..." - იტყვის საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე მას შემდეგ, რაც ხელისუფლების ზეწოლის საპასუხოდ, პროტესტის ნიშნად, თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადებს. (თავდასხმა პირველი - "რუსთავი 2"-სთვის 1996 წელს მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერება, თავდასხმა მეორე - 2001 წელს უშიშროების რეიდი).

გუშინ ვახტანგ აბაშიძემ გადადგომის შესახებ მარეგულირებელი კომისიის სხდომის დაწყებისთანავე განაცხადა.

მანამდე იგი საქართველოს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს ესაუბრა.

განაცხადა მას შემდეგ, რაც ბოლო კვირის განმავლობაში, ტენდერის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით, რამდენიმეჯერ მოუხდა კანცელარიაში სტუმრობა და სახელისუფლებო ბლოკის პირველი პირების "დაბეჯითებული რჩევის" მოსმენა:

"ასეთი განცხადებებიც ისმის, რომ თითქოს კონკურსის ჩატარების და მასში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ეს სერიოზულ გავლენას იქონიებს საპარლამენტო არჩევნების მსვლელობაზე. დღეს ხელისუფლება თავად აცხადებს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მას პოლიტიკური პრობლემები შეექმნებოდა..." - ამბობს იგი.

ტენდერის შედეგი კი სულ ორი შეიძლებოდა ყოფილიყო: არხზე, რომელზეც თავის დროზე OPT მაუწყებლობდა, პრეტენზიას ორი ტელეკომპანია - "რუსთავი 2" და შპს "ტექნომედია" ("იმედი") აცხადებდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დარეგისტრირდა. მიუხედავად იმისა, რომ შპს "ტექნომედია" ბადრი პატარკაციშვილის სახელს უკავშირდება, პატარკაციშვილი კი - ლამის შეუზღუდავ ფინანსებს და სახელისუფლებო ბლოკს, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ყველა სატენდერო პირობით (ტექნიკური, ფინანსური, პროგრამირების), გამარჯვება "რუსთავი 2"-ს დარჩებოდა.

საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა.

საქართველოს ხელისუფლება უკვე 7 წლის განმავლობაში ბლოკავს ტელეარხისთვის ლიცენზიის მიცემას და მაშინ, როცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შექმნილმა ტელეარხებმა "აჭარამ", "იმედმა", "პირველმა სტერეომ" თუ სხვებმა ლიცენზიები მიიღეს, "რუსთავი 2"-ს 1996 წელს გაცემული ლიცენზიით უხდება მაუწყებლობა თბილისში, თბილისს მიღმა კი - სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიით.

"აქ საკმაოდ სერიოზულ როლს თამაშობდნენ სახელისუფლებო ბლოკის გარკვეული ლიდერები, რომელთაც, წესით და რიგით, არაფერი უნდა ესაქმებოდეთ მარეგულირებელი კომისიის საქმიანობასთან," - განაცხადა გუშინ ვახტანგ აბაშიძემ. ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა ეროსი კიწმარიშვილმა კი დააზუსტა: **"კომისიაზე ზეწოლაში მონაწილეობას იღებდა პირადად ედუარდ შევარდნაძე. ეს მოთხოვნა - რომ რაიმე ფორმით არ გამართულიყო კომისიის სხდომა, ან გადადებულიყო - მოდიოდა პირადად მისგან. განწყობის შექმნაზე მუშაობდნენ ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე და სხვა პატივცემული გვამები."**

ავთანდილ ჯორბენაძემ განწყობის შექმნაზე უშუალოდ "რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობასთანაც "იმუშავა":

ხუთშაბათს, ანუ კომისიის სხდომის წინა დღეს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი ავთანდილ ჯორბენაძე რამდენიმე საათის განმავლობაში სტუმრობდა "რუსთავი 2"-ის გენერალურ დირექტორთან ეროსი კიწმარიშვილთან. **"მისი მოსვლის მიზანი იყო მარეგულირებელი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა დღეს პოლიტიკური ვაჭრობა. "რუსთავი 2"-მა კატეგორიული უარი უთხრა მათ რაიმე ფორმით ხელისუფლებისათვის მისაღები პოლიტიკის განხორციელებაზე. ხელისუფლების მეორე სურვილი იყო, რომ არ ჩატარდეს არჩევნების დღეს ე.წ. ეგზიტპოლები, რეპრეზენტატიული კვლევა, რომელიც მინიმალური ცდომილებებით აჩვენებს მოსახლეობის რეალურ განწყობას და არჩევნების რეალურ შედეგს. ლიცენზიაზე უარის მიზეზი, გარდა ჩვენი პოზიციისა, იყო მეორეც - ჩვენ ხუთშაბათს უკვე მოვაწერეთ ხელი ამ ეგზიტპოლებთან დაკავშირებით ხელშეკრულებებს ცნობილ ამერიკულ კომპანიებთან,"** - განმარტავს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი.

ამ სტუმრობიდან მეორე დღეს, ანუ ტენდერის დღეს, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტმა და სახელმწიფო მინისტრმა დაიბარეს.

კომისიის სხდომა არ ჩატარდა და გადაწყვეტილება, ცხადია, მიღებული არ არის. ცხადია ისიც, რომ ხელისუფლებამ ისევ ქართული მაუწყებლობის გარეშე დატოვა ბევრი ის რეგიონი, რომელსაც აღნიშნული მეტრული არხი "ფარავს" და რომელსაც დღეს არც ერთი ქართული ტელეარხის ყურების საშუალება არა აქვს. ეს არ ნიშნავს, რომ "რუსთავი 2" მაუწყებლობას ვერ გააგრძელებს და ვერ გააფართოებს. ამისათვის უკვე საკმაოდ სერიოზული ტექნოლოგიებია განვითარებული და საკმაოდ კარგი ბაზაა ჩამოყალიბებული.

მაგრამ, ეს ხელისუფლება როგორ გააგრძელებს მოღვაწეობას, რა მოგახსენოთ...

ნინო ბურჯანაძე ბათუმის მოვლენების შესახებ

ნინო ბურჯანაძე გმობს აჭარაში მომხდარს.

ბექა სისაური

ქუთაისიდან

"აჭარაში რაც მოხდა, ამის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლებოდა," - განაცხადა ქუთაისში მყოფმა ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარის განსაკუთრებული აღშფოთება იმ სატელევიზიო კადრებმა გამოიწვია, სადაც "ნაციონალური მოძრაობის" წევრებს დაუნდობლად სცემენ. **"გუშინ გვიან ღამით საშუალება მქონდა, მეყურებინა სიუჟეტებისთვის, სადაც ბათუმში განვითარებული მოვლენები იყო ასახული. ნანახის თაობაზე ძალიან აღვშფოთდი. შეიძლება არ ეთანხმებოდე პოლიტიკურ პარტიას იმ ფორმაში, რა ფორმითაც იგი ცდილობს, თავისი სიმართლე თქვას, მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება მათ ავტომატიანი ხალხი დაახვედრო და არ მისცე ჩოლოქიდან ნორმალური გავლის საშუალება. საერთოდ, ჩოლოქის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოში გადაადგილებასთან დაკავშირებით მოქალაქეებს არანაირი პრობლემები არ უნდა ჰქონდეთ,"** - აცხადებს ბურჯანაძე და, ამავე დროს, გაკვირვებას გამოთქვამს "აღორძინების" მიერ თბილისში კანცელარიის წინ ჩატარებული მიტინგის თაობაზე. **"მართლა გამიკვირდა, კანცელარიასთან "აღორძინების" მსვლელობა რომ დავინახე. ასეთი სახის აქცია თუ შეიძლება თბილისში გაკეთდეს, იგივე ბათუმში რატომ არ შეიძლება? მიეცათ ხალხისთვის ნორმალურად გავლის შესაძლებლობა და გუშინდელი ტრაგიკული კადრები აღარ იქნებოდა."**

ჟურნალისტის კითხვაზე - აღნიშნული მოვლენების შემდეგ, ხომ არ შეიცვლება ნინო ბურჯანაძის დამოკიდებულება "აღორძინების" მიმართ? - პარლამენტის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში, იგი საკუთარ მეგობრებსაც აკრიტიკებს.

"სადაც ჩავთვლი, რომ "აღორძინება" არ არის სწორი, მე არ შემეშინდება და შესაბამის განცხადებას გავაკეთებ. გუშინ რაც მოხდა, ამის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება. იმედი მაქვს, რომ ეს მწარე გაკვეთილი იქნება ყველასათვის და მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება."

რჩეულიშვილის „მშვიდობის სოფელი“ და რეალობა, რომელსაც ხელისუფლება ხელს ჰკრავს

გუშინ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ნანა დევდარიანის სახელზე ერთი სოფლის მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადება შევიდა. მართალია, ასეთი წერილები ცესკო-ს ხელმძღვანელობის სახელზე საკმაოდ ხშირად იწერება და, როგორც წესი, ამომრჩეველთა სიებში გამოტოვებულ მონაცემებს ეხება, ეს კონკრეტული საჩივარი მაინც განსაკუთრებულია. საქმე ის არის, რომ წერილის ავტორები იმ სოფლის მკვიდრნი არიან, რომელიც უშუალოდ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, დიდი ლიახვის ხეობაში მდებარეობს და, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობის შეგნებული თუ უნებლიე ქმედებით, შესაძლოა, სულაც იმ ტერიტორიული საზღვრების მიღმა აღმოჩნდეს, სადაც ქართული იურისდიქცია ჯერ კიდევ ვრცელდება.

თამარ მჭედლიშვილი

"ქალბატონო ნანა! მოგმართავთ ლიახვის ხეობის 85-ე საარჩევნო ოლქში შემავალი, ქურთას თემის ქართულ-ოსური სოფლის, მონასტერის მაცხოვრებლები, რომელიც წარმოდგენილ საარჩევნო საზღვრებში ვართ გამოტოვებულები. აქამდე ჩატარებულ ყველა არჩევნებში ვიღებდით მონაწილეობას და დღეისათვის, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, სოფელი, რომელიც წარმოადგენს ქართველებისა და ოსების მშვიდობიანი და კეთილმეზობლური თანაცხოვრების მაგალითს, ამ ეტაპზე საერთოდ მოკლებულია თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის შესაძლებლობას. ქალბატონო ნანა, გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მოთხოვნა და მოგვცეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება (სტილი დაცულია – თ. მ.)," – ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერს ასამდე ამომრჩეველი.

სულ ცოტა ხნის წინ სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა, ქართველ სოციალისტთა ბელადმა, პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში, ვახტანგ რჩეულიშვილმა საზოგადოებას ახალი ინიციატივის შესახებ აუწყა, რომლის თანახმად, კონფლიქტის ზონაში, ცხინვალის მახლობლად, დიდი ლიახვის ხეობაში "მშვიდობის სოფელი" უნდა აშენდეს. ამ იდეის თანახმად, გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების, კულტურული ცენტრის, სკოლის, საავადმყოფოს, სავაჭრო ცენტრის, სასტუმროსა და ერთმეგავატიანი ელექტროსადგურის აშენება.

რჩეულიშვილი ირწმუნება, რომ "მშვიდობის სოფლის" აშენება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობას განამტკიცებს და ქართულ-ოსური მოსახლეობის თანაარსებობის მდგრად ეკონომიკურ წინაპირობას შექმნის.

სამწუხაროდ, ვახტანგ რჩეულიშვილი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ ასეთი სოფელი (მართალია, სავაჭრო ცენტრების, საავადმყოფოების და ელექტროენერგიის გარეშე) რამდენიმე ათწლეულია, რაც დიდი ლიახვის ხეობაში თავისთავად, ყოველგვარი პოლიტიკური ჩარევის გარეშე არსებობს. დღეს კი, იმავე ხელისუფლების წყალობით, ეს სოფელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მიღმა რჩება.

სხვათა შორის, 85-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გელა ზოზაშვილი წარმოშობით სწორედ ამ სოფლიდანაა და ძნელი დასაჯერებელია, მას ამ ფაქტზე არაფერი სცოდნოდა. თუმცა, როგორც ჩანს, საქმე გაცილებით რთულად არის – სულაც არ არის გამორიცხული, მონასტერის ამომრჩევლები მხარს ხელისუფლების კანდიდატს არ უჭერდნენ. თანაც, იქ, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ექვსი ათასს არ აღემატება, თითოეული კანდიდატისათვის ასი ხმაც მნიშვნელოვანი შეიძლება.

ასე რომ, როგორც ჩანს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და საოლქო საარჩევნო კომისიამ ყველაზე საუკეთესო გამოსავლად პოლიტიკური პროცესებისაგან იმ სოფლის იზოლირება მიიჩნია, რომლის მითიური ანალოგის შექმნასაც შორეულ მომავალში თავადვე აპირებს.

ქართული საბანკო ეთიკის კოდექსი დეკემბერში ამოქმედდება

საქართველოს ეროვნული ბანკი და საბანკო ასოციაცია ქვეყანაში მოქმედი ბანკებისათვის ეთიკის კოდექსის შექმნაზე მუშაობს. ასეთი დოკუმენტი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და წარმატებით არეგულირებს ურთიერთობებს საბანკო ქსელებს, ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის.

ნინო ნარჩემაშვილი

საბანკო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა თუთქირიძის თქმით, საბანკო ეთიკის კოდექსის შემუშავება საქართველოში მხოლოდ ახლანდელ ეტაპზე გახდა შესაძლებელი, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში მისი ამოქმედება მხოლოდ საბანკო სისტემის განვითარების გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ არის გამართლებული. მისი ინფორმაციით, სებ-ის და ასოციაციის წარმომადგენლებისგან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ქართული საბანკო ეთიკის კოდექსის პირველი განხილვა უკვე მოაწყო. იგი ნოემბრის თვის ბოლოსათვის იქნება მზად და საბანკო ასოციაციის საიტით გავრცელდება. რის შემდეგაც, სხვადასხვა საბანკო ორგანიზაციებიდან შემოსული შენიშვნებისა და კორექტივების გათვალისწინებით, შემუშავდება მისი საბოლოო ვარიანტი.

მისი თქმით, აქ მნიშვნელოვანია ბანკების მსხვილი კლიენტურის, თითოეული მეანაბრის აზრი და შეფასებები.

რაც შეეხება კიდექსს, გოგიტა თუთქირიძე აღნიშნავს, რომ ქართულ საბანკო ურთიერთობებში ეთიკის ნორმების შემოღება ხელს შეუწყობს ორ სუბიექტს შორის ჯენტლმენური, ურთიერთსასარგებლო შეთანხმებების წარმოებას. მისი საბოლოო ვარიანტის შემუშავების შემდეგ კი დოკუმენტს ხელს მოაწერენ იმ ბანკების ხელმძღვანელები, რომლებიც კოდექსის ამოქმედებას ეთანხმებიან. გოგიტა თუთქირიძე არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ქართულ საბანკო სისტემაში ეთიკის კოდექსის შემოღებას მოწინააღმდეგეებიც გაუჩნდნენ. მისი შეფასებით, ასეთი ბანკები კლიენტებისათვის, უბრალოდ, არასაიმედო პარტნიორების იმიჯს შეიძენენ. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ბანკის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში კლიენტს შესაძლებლობა აქვს, პროტესტი გამოთქვას. მის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიები კი საბანკო ასოციაციის საიტზე გამოქვეყნდება, რაც, ფაქტობრივად, "მგლის ბილეთი" იქნება ბანკისათვის.

ეროვნულმა ბანკმა სავალუტო რეზერვები შეივსო

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2003 წლის მესამე დეკადიდან შიდა სავალუტო ბაზრის საბირჟო სეგმენტზე უცხოური ვალუტის მიწოდების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა, რაც ნაწილობრივ საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის მიმდინარეობას უკავშირდება, ნაწილობრივ კი - საბაჟო-საგადასახადო ორგანოების გააქტიურებას.

ამ ფაქტორებმა საქართველოს ეროვნულ ბანკს საკუთარი სავალუტო რეზერვების შევსების შესაძლებლობა მისცა. 9 თვის განმავლობაში ბანკმა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართულ სავაჭრო სესიებზე 35,6 მლნ. დოლარი შეიძინა.

ტრადიციულად, წლის დასაწყისში საგადამხდელო ბალანსის გაუარესების პირობებში შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდა აღინიშნებოდა, რაც დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის დაწევის მიმართულებით კორექტირების მიზეზი გახდა.

კერძოდ, თუ გასული წლის ბოლო დღეს (31 დეკემბერი) 1 აშშ დოლარი 2,09 ლარს უტოლდებოდა, უკვე იანვრის შუა რიცხვებში მან 2,19 ლარის ნიშნულს მიაღწია, ხოლო ცხრა თვის ბოლოს ლარის გაცვლითმა კურსმა დოლარის მიმართ აწევის კუთხით განიცადა კორექტირება და 2,1130 ლარს გაუტოლდა. **ინტერ-პრესი**

სავალუტო ფონდის მისია კომენტარისგან თავს იკავებს

ლევან ხარიტონაშვილი. ფოტო

სავალუტო ფონდის მისია ორი დღეა ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვდება.

უკვე ორი დღეა, თბილისში მყოფი სავალუტო ფონდის შუალედური მისია ქვეყანაში არსებულ ვითარებას სწავლობს და დეკემბრისთვის ფონდთან დაგეგმილი მოლაპარაკებებისთვის საფუძველს ამზადებს. მისიის წევრები ამ დღეებში კატეგორიულად იკავებენ თავს კომენტარისაგან.

შუალედური მისია ყურადღებას შემდეგ ძირითად მიმართულებებზე ამახვილებს: მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი. ამასთან, ფონდი კვლავ აღნიშნავს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ფისკალურ სფეროში შეინიშნება და გადასახადების მობილიზების საკითხითაც ინტერესდება.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის ინფორმაციით, **"მისიის წევრებს განსაკუთრებით აინტერესებთ ნავთობპროდუქტებიდან და თამბაქოდან გადასახადების მობილიზების საკითხი. ფონდი მხარს უჭერს იმ იდეას, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში რეფორმის გატარება და კადრების ოპტიმიზაციაა აუცილებელი."**

გუშინვე, ფონდის მისიასთან შეხვედრის შემდეგ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ **"საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სექტორმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის თითქმის ყველა რეკომენდაცია შეასრულა და ქვეყანაში ფონდის პროგრამის აღდგენას პრობლემებს არ შეუქმნის"**. მისი თქმით, ფონდის რეკომენდაციებთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ ენერგოსაბითუმო ბაზარში თანხების გადახდის დაბალი მაჩვენებელია. "მართალია, **"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ადრე აღებულ კრედიტებს ისტუმრებს და ბიუჯეტში გადასახადს იხდის, მაგრამ საბითუმო ბაზარში თანხის გადახდის მაჩვენებელი დაბალი აქვს"**, - აღნიშნა ნიკოლაიშვილმა. შეგახსენებთ, სავალუტო ფონდის მოთხოვნებიდან ოთხი ეხება ენერგოსექტორს, მათ შორის არის ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა, ბაზრის მიერ პირდაპირი მომხმარებლიდან თანხის ამოღების მაჩვენებლის 70 პროცენტამდე ამაღლება. გარდა ამისა, ფონდის მოთხოვნის შესაბამისად, ბიუჯეტს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური სრულად უნდა დაეფარა, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას კი ბაზარში თანხების გადახდის მაჩვენებელი უნდა გაეუმჯობესებინა.

ფონდის მისია გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძესაც შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ირაკლი მანაგაძემ განაცხადა, რომ სავალუტო ფონდმა ქვეყანაში ფასების სტაბილურობა მოიწონა და კმაყოფილება გამოთქვა საბანკო სექტორის სწრაფი ზრდის გამო.

ამავდროულად, მანაგაძის თქმით, ფონდის წარმომადგენლები შიშობენ, რომ ბანკი ლარის კურსის ინფლაციის დარეგულირებას ვერ შეძლებს. **"ჩვენ შევეცადეთ, დაგვერწმუნებინა ისინი, რომ ინფლაციის მართვის ინსტრუმენტებს წარმატებით ვიყენებთ"**, - განაცხადა ბანკის პრეზიდენტმა.

24 საათი

მოკლედ

დღეს მე-9 ბლოკი ამუშავდება

მე-9 ენერგობლოკი დღეს ამუშავდება, თუმცა ენერგოსისტემა მის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას 1 ნოემბრიდან მიიღებს.

როგორც "ინტერ-პრესს" "თელასში" განუცხადეს, მე-9 ენერგობლოკის ტესტირება ხვალ შედგება. ტესტირებას გერმანიიდან ჩამოსული კომპანია "სიმენსის" წარმომადგენლებიც დაესწრებიან. **"თუ დადასტურდა, რომ ბლოკი მუშაობისთვის ტექნიკურად მზად არის, მაშინ 1 ნოემბრიდან მის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას სისტემაში გავუშვებთ,"** - განაცხადეს კომპანიაში.

"თელასის" ახალი მეპატრონე - რუსული კომპანია "РАО ЕЭС"-ი მე-9 ენერგობლოკის ჩართვას სიფრთხილით ეკიდება. მე-10 ენერგობლოკზე მომხდარი ავარიის თავიდან აცილების მიზნით, ბლოკი მუშაობას მხოლოდ "სიმენსის" წარმომადგენლების დადებითი დასკვნის შემთხვევაში დაიწყებს. უკვე გადაწყვეტილია ენერგობლოკის აირით მომარაგების საკითხიც. მე-9 ენერგობლოკი "Газпром"-ის მიერ მოწოდებული აირით იმუშავებს. რუსული კომპანია აირის ფასს, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. ევროსაბჭოს ავსტრიელმა ექსპერტებმა ქართული საბაჟო კოდექსის ინგლისური ვარიანტი და რეკომენდაციების ნუსხა პარასკევს გადასცეს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მირიან ყარაულაშვილს. როგორც შეხვედრაზე ავსტრიის საბაჟოს წარმომადგენელმა პიტერ ბენეშმა განაცხადა, ქალაქზე დაწერილი კოდექსი არ იქნება საკმარისი, თუ არ მოხდა კოდექსის თანმდევი მეორე კანონმდებლობის შემუშავება, როგორიცაა, საბაჟო ადმინისტრაციის უფლებამოვალეობების შესახებ, საბაჟო სფეროში სამართალდარღვევების შესახებ კანონები, რადგან, მათი აზრით, სპეციფიკით ეს სხვა დანაშაულია გადასახადების დამალვასთან შედარებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" საექსპორტო ნავთობსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთისათვის ბათუმის პორტში მილების შეტანა დასრულდა, საქართველოს მონაკვეთისათვის საჭირო მილების შეტანა კი ერთ თვეში დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ჩინეთი. ჩინეთმა და ავსტრალიამ ხელი მოაწერეს ჩარრო ხელშეკრულებას ვაჭრობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელშიც მიმომხილველები ხედავენ ამ ქვეყნებს შორის მომავალი თავისუფალი ვაჭრობისკენ გადადგმულ ნაბიჯს. გარდა ამისა, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ავსტრალიიდან ჩინეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების თაობაზე.

■ ■ ■

რუსეთი. მიხეილ გორბაჩოვმა საავტორო უფლება აიღო საკუთარ სახელზე, რითიც შეეცადა შეეჩერებინა საკუთარი სახელისა და გვარის არაკეთილსინდისიერი გამოყენება კომერციული მიზნებით. ასეთი გადაწყვეტილება მიხეილ გორბაჩოვმა მას შემდეგ მიიღო, რაც რუსული არყის მწარმოებელმა არყის ეტიკეტზე მისი სურათი გამოიტანა, რითიც გარკვეული მინიშნება გააკეთა გასული საუკუნის 80-იანი წლების ე.წ. "მშრალ კანონზე".

რუსეთი თავს აფხაზეთის სრულ ბატონ-პატრონად გრძნობს

ვირველი გვერდიდან

ამ ინფორმაციას აფხაზეთის უშიშროების სამინისტრო, ჯერჯერობით, ვერ ადასტურებს, თუმცა აფხაზეთის დევნილი მთავრობის უშიშროების მინისტრის ლევან კიკნაძის ცნობით, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებები, სავაჭრო-სამრეწველო გარიგებები და სხვა მსგავსი დოკუმენტები, შარშანდლიდან დღემდე, რამდენიმე ათეული გაფორმდა. საგულისხმოა ისიც, რომ არასტაბილური ვითარების გამო, აფხაზურ ეკონომიკაში რუსულ ფულს, ძირითადად, სამთავრობო სტრუქტურები და ის რუსი ბიზნესმენები დებენ, რომელთა უკან რუსი ჩინოვნიკები და მაღალი თანამდებობის პირები დგანან.

ბიჭვნითის, გაგრის, სოხუმისა და გუდაუთის ცნობილი სანატორიუმები და სასტუმროების უმრავლესობა რუსეთის თავდაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ნაწილი კი რუს ბიზნესმენებს 25-30-წლიანი იაჯარით აქვთ აღებული.

გარდა ამისა, სოხუმის ღვინისა და თამბაქოს რამდენიმე ქარხანა სხვადასხვა ფორმით რუსულ კერძო კომპანიებს აქვთ საკუთრებაში გადაცემული, რითაც თავად აფხაზური მხარეც ნაკლებად ხეირობს. ასე, მაგალითად, ადიღეის შ.პ.ს. "BAC"-მა შარშან აფხაზეთიდან გაიტანა 81.637 კგ. თამბაქოს ნედლეული, მაგრამ მან არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები და აფხაზურ მხარეს მიაყენა ზარალი 620.441 რუსული რუბლის ოდენობით.

სოხუმის მეორე თამბაქოს ქარხანა დღეს მცირე დატვირთვით მუშაობს. ის პერიოდულად უშვებს სიგარეტებს მარკით "ასტრა" და "აფხაზეთი". ახლო მომავალში იგეგმება ამ საწარმოს სრული ძალით ამოქმედება. უშიშროების ინფორმაციით, ხსენებულ თამბაქოს ქარხანას და მოსკოვის ფირმა "გეორგრავიონიკ"-ს შექმნილი აქვთ ერთობლივი საწარმო.

გუდაუთის თამბაქოს ფაბრიკის ბაზაზე ორი წლის წინათ გაიხსნა თამბაქოს ქარხანა "ЛЕОН", რომლის აქციების 50 პროცენტი ეკუთვნის სეპარატისტულ ხელისუფლებას, ხოლო დანარჩენი შ.პ.ს. "ЛА комрани"-ს, რომლის მფლობელი იყო ლევან არძინბა (აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ბიძაშვილი). არსებობს ინფორმაცია, რომ დღეს ამ ქარხნის მეწილე რუსი ბიზნესმენია. ქარხანას გააჩნია უმაღლესი კლასის ბულგარული სიგარეტების გამოშვების პატენტი. ქარხანა მთლიანად რეორგანიზებულია და დამონტაჟებულია ახალი დანადგარები.

სოხუმში, სემერჯიევის ქუჩაზე მდებარე ცნობილი ღვინის ქარხანა, რომელიც შესყიდული აქვთ რუს ბიზნესმენებს, მთლიანად ექსპორტზე მუშაობს. ხსენებული ქარხნის ტერიტორიაზე გახსნილია რუსულ-აფხაზური ფირმა "Вина и води Абхазии", რომლის ხელმძღვანელია ვალერი ავიძბა. ხაზის ამუშავებისთვის ჩეხეთიდან ჩამოტანილ იქნა ბოთლები, დაიბეჭდა სასმელ "Анакопия" –ს ეტიკეტები, საცობები ჩამოტანილია პორტუგალიიდან, რომლებზედაც გამოსახულია ფირმის ემბლემა "Вина и води Абхазии", - ყანწი და ვაზი. ქარხანა დღე-ღამის განმავლობაში 50.000 ბოთლს ასხამს. ინვესტიციის საერთო რაოდენობამ შეადგინა 3 მილიონი აშშ. დოლარი.

შარშან ადიღეის რესპუბლიკის "მაიკოპის" ლუდის ქარხნის მიერ გაწეული დაფინანსებით განხორციელდა სოხუმის ლუდის ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც ქარხანამ დაიწყო როგორც ჩამოსასხმელი, ასევე ბოთლის ლუდის წარმოება. ერთი ბოთლის ფასი 65 რუბლს შეადგენს.

წელს, იავარში, ეკატერინბურგიდან ჩამოსულმა რუსმა ბიზნესმენებმა იყიდეს გაგრაში, დემერჯიფის ქუჩაზე მდებარე ცენტარალური უნივერსამი.

სანკტ-პეტერბურგის ცნობილი კომპანია "раксофт" საკუთარ ბიზნესს უკვე მეორე წელია წარმატებით ავითარებს აფხაზეთში. წელს კომპანიამ, რომელიც ქმნის სასტუმრო კომპლექსების პროგრამული უზრუნველყოფის სისტემებს, სოხუმში ორი სასტუმროს ავტომატიზაცია განახორციელა. ეს პროგრამა ხელს უწყობს, მოსკოვში არსებული სათაო ოფისიდან დროულად გადაეცეს სასტუმროების ადმინისტარაციას ინფორმაცია ნომრების დაჯავშნის შესახებ.

აფხაზეთში აქტიურ საქმიანობას ეწევა კიდევ ერთი რუსულ-აფხაზური ერთობილივი საწარმო "ინტერხაივი", რომელიც დაკავებულია საკურორტო ობიექტების კეთილმოწყობითა და თანამედროვე ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობით.

დევნილი ხელისუფლების უშიშროების მინისტრის ლევან კიკნაძის ინფორმაციით, ძალიან მალე აფხაზეთის ტერიტორიაზე ამუშავდება მობილური კავშირგაბმულობა. ერთ-ერთმა რუსულმა კომერციულმა ფირმამ უკვე გააფორმა ხელშეკრულება "აფხაზკავშირთან" და დღეს დაჩქარებული ტემპით აწარმოებს შესაბამისი დანადგარების მონტაჟს.

შარშან, მაისში, საქართველო-რუსეთის ფსოუს საზღვარზე იმყოფებოდნენ კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის მეთაური, ფედერალური სასაზღვრო სამსახურის უფროსი და სოჭის მერი. შეხვედრის დროს მათ განიხილეს ამ საკონტროლო-გამშვები პუნქტის კეთილმოწყობის, გაფართოებისა და მოდერნიზაციის საკითხი. უკვე შემუშავებულია ახალი საბაჟო ტერმინალის პროექტი, რომელიც დაფინანსდება როგორც სამხარეო, ისე ფედერალური ბიუჯეტიდან. შეთანხმების საფუძველზე რუსულ მხარეს 30 მილიონი რუსული რუბლის გამოყოფა ევალება.

წელს კი, 5 მაისს, რუსმა სპეციალისტებმა მდინარე ფსოუზე მდებარე საქართველო-რუსეთის საზღვრის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დაიწყეს გამავალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა, რომელსაც აწარმოებს საწარმო "Автомострой". ხიდი ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს ამ წლის შემოდგომაზე, სავარაუდოდ, ეს 31 ოქტომბრამდე მოესწრება. სეპარატისტთა განცხადებით, ახალ ხიდს ექნება უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აფხაზეთის მოსახლეობისთვის.

რუსულ-აფხაზური ეკონომიკური ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა მიმდინარე წლის ზაფხულის თვეებში

ზაფხულის დასაწყისში მოსკოვის დოლგორუკის სახელობის ფონდის მხარდაჭერით გადაწყდა აფხაზეთში სერტიფიცირებული მედიკამენტების შეტანა. უახლოეს მომავალში ხელი მოეწერება ხელშეკრულებას აღნიშნულ ფონდსა და სახელმწიფო კომპანია "აფხაზფარმაციას" შორის მედიკამენტების მიწოდების თაობაზე. სოხუმში გაიხსნება სპეციალური ე.წ. "მოსკოვის აფთიაქი".

ივნისის თვეში ოჩამჩირის რაიონში ჩასულები იყვნენ მოსკოვის საკონდიტრო ფაბრიკა "ბაბაევსკის" წარმომადგენლები. "ბაბაევსკის" ხელშწყობით დაგეგმილია ამ რაიონის რამდენიმე სოფელში თხილის პლანტაციების გაშენება.

სეპარატისტული მთავრობის განცხადებით, "ფსოუ-ინგირის" რკინიგზის მონაკვეთის, რომლის სიგრძე 314 კმ-ია, კაპიტალური რემონტისათვის საჭირო 1.8 მილიარდ რუბლს რუსეთის მხარე გაიღებს. რკინიგზის ხსენებული მონაკვეთის რეაბილიტაციას გეგმავს რუსეთის სარკინიგზო ჯარების ფედერალური სამსახური.

რუსეთის შესაბამისი ორგანიზაციების დახმარებით ასევე იგეგმება გაგრის ნავმისადგომის რეკონსტრუქცია და აკვატორის ფსკერის გაღრმავება დიდი წყალწყივის გემების მისაღებად.

რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდთან მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთში ამჟამად მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.

სეპარატისტთა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გაგულიას ინფორმაციით, რუსეთში მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო 1 მლ. აშშ. დოლარის ღირებულების, აფხაზეთში გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი. ამისათვის, აფხაზეთის ხელისუფლების განცხადებით, აუცილებელია კომპანია "ჩერნომორენერგოს"-სა და რუსეთის შესაბამის კომერციულ სტრუქტურებთან ხელშეკრულების გაფორმება (საორენტაციოდ, 1 კვ.სთ ღირებულება შეადგენს 25-28 კაპიკს).

ასევე მიღწეულია შეთანხმება აფხაზეთიდან კრასნოდორის მხარეში სარეალიზაციოდ ღვინის, არყის, ჩაის, ციტრუსების, თხილის, ნახშირისა და ელექტროენერგიის გატანაზე.

აფხაზები ახლო მომავალში გეგმავენ ვესიოლოე-სოხუმის საავტომობილო ტრასის რეკონსტრუქციასა და ამოქმედებას. ისინი კონტრაქტებს ამყარებენ რუსეთის ავტოსატრანსპორტო ფირმებთან (შესაძლებელია, ერთ-ერთი ასეთი ფირმა იყოს "АВТОДОР").

კრასნოდარელი სპეციალისტების დახმარებით დაგეგმილია გუდაუთაში არსებული აგურის ქარხნის ამუშავება.

ამ ბოლო დროს რუსები აფხაზეთში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოებითაც დაინტერესდნენ. ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ფედერაციის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თხოვნით მიმართა აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. ვიცე-პრემიერს ბესლან კუბრავას, რათა გაეწიოს დახმარება აფხაზეთის ტერიტორიაზე გეოთერმული ჭაბურღილების შესახებ ტექნიკური დოკუმენტაციისა და ანგარიშის მოსამზადებლად, შემდგომში სათანადო სამუშაოების ჩასატარებლად.

ერთ-ერთი ვიზიტის დროს რუსულმა დელეგაციამ დაინტერესება გამოთქვა აფხაზეთში არსებული გრანიტებისა და კირქვის საბადოებისადმი.

დღეს რუსულ ს.ს. "ММК-холдინგ"-სა და აფხაზურ მხარეს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთში შემდეგი სამშენებლო მასალების ექსპორტის თაობაზე: კოდორის ქვიშისა და ღორღის, სანჩარისა და ლაპშინის მარმარილოს, ახალშენის მარმარილოსებრივი კირქვის, აიაბგას გაბროდიაბაზის, ტბეთის მარმარილოსა და კელასურის გრანიტის.

ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება აფხაზეთის ხელისუფლებასა და მოსკოვის საქალაქო მშენებლობის პოლიტიკის, განვითარებისა და რეკონსტრუქციის დეპარტამენტს შორის გუდაუთის რაიონში აგურისა და კრამიტის ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად 9 მილიონი რუბლის გამოყოფის თაობაზე.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები რუსულ-აფხაზური ეკონომიკური თანამშრომლობის არასრული ჩამონათვალია. რუსეთი არა მხოლოდ არღვევს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დსთ-ს ფარგლებში მიღწეულ შეთანხმებებს, არამედ, ეკონომიკური ბერკეტების წყალობით, უხეშად ხელყოფს საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.

რუსეთის ეკონომიკური აქტიურობა აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში პიკს აღწევს.

მოკლედ

თურქეთი ერაყში ჯარებს აღარ აგზავნის

ვაშინგტონმა ანკარას სთხოვა, ერაყში თურქული ჯარების გაგზავნისაგან დროებით თავი შეიკავოს, – ამის შესახებ თურქეთის პრემიერმა რეჯებ ტაიპ ერდოგანმა განაცხადა. თურქეთმა სწორედ ვაშინგტონის თხოვნით მიიღო ერაყში ჯარების გაგზავნის გადაწყვეტილება. სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა და მათი სავარაუდო დისლოკაციის ადგილი ჯერ არ არის ცნობილი. ამერიკის მთავრობამ სთხოვა ჩვენს გენშტაბს, ცოტა ხანი ვაცალოთ, – განაცხადა ერდოგანმა.

ვაშინგტონმა, როგორც ჩანს, გადაწყვეტილება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ერაყის მმართველი საბჭოსაგან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა.

ტაჯიკეთში სტუმრად მყოფმა ერდოგანმა განაცხადა, რომ უბრალოდ, არ ესმის, რის გაკეთებას აპირებს აშშ შემდეგ. "თუ ისინი რაიმე კონკრეტულს შემოგვთავაზებენ, ჩვენ მას განვიხილავთ. ერაყში ჯარების გაგზავნის დიდი სურვილი არა გვაქვს, მაგრამ დახმარებისათვის მზად ვართ." სწორედ ჯარების გაგზავნაზე ნათქვამი თანხმობის გამო, თურქეთმა ამერიკიდან 8,5 მილიარდი დოლარის სესხი მიიღო. ანალიტიკოსების აზრით, ეს ყველაფერი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: თურქეთს ფული გადაუხადეს არა იმიტომ, რომ ერაყში ჯარი გაეგზავნა, არამედ იმიტომ, რომ ქურთების წინააღმდეგ ნებისმიერი ცალმხრივი ქმედებისაგან თავი შეიკავოს.

თუმცა, თურქეთი აცხადებს, რომ არანაირი თანხის საფასურად არ დადებს ჩრდილოეთ ერაყში ჩაურევლობის პირობას. "ცხადია, რომ თურქული ჯარების ერაყში გამოჩენა ბევრ ვინმეს შეაწუხებდა. მაგრამ, თუ ჩვენ იქ ჯარებს არ გავაგზავნით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩრდილოეთ ერაყში ჩარევის პოტენციალი არ გაგვაჩნია".

დავას მოლაპარაკებით გადაწყვეტენ

რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ, მათ შორის წარმოქმნილი ტერიტორიული დავა მოლაპარაკებების გზით გადაჭრან.

უკრაინის პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, რუსეთის მთავრობის მეთაურმა კასიანოვმა განაცხადა, რომ რუსეთი ტამანის ნახევარკუნძულიდან კუნძულ ტუზლას მიმართულებით ჯებირის მშენებლობას შეაჩერებს. სამაგიეროდ, კიევი მიმდებარე აკვატორიიდან თავის სასაზღვრო ჯარებს გაიყვანს. "აქ საზღვარი დადგენილი არ არის, ამიტომ სასაზღვრო ჯარებს აქ არაფერი ესაქმებათ," – დასძინა კასიანოვმა.

მხარეები შეთანხმდენ, შექმნან კომისია გარემოს დაცვის ექსპერტების მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის, რამდენად აუცილებელია ნაპირის დასაცავად ჯებირის მშენებლობა. სანამ ისინი გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჯებირის მშენებლობა შეჩერებული იქნება.

მოლაპარაკებები საზღვრის დემარკაციის შესახებ 30 ოქტომბერს კიევში გაიმართება. მასში საგარეო საქმეთა მინისტრები მიიღებენ მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთს არც ერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან, მათ შორის - ბალტიის ქვეყნებთან და საქართველოსთან, საზღვრის დელიმიტაციის შესახებ ხელშეკრულება დადებული არა აქვს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, მან მეზობლებს კიდევ არაერთი ტერიტორიული პრეტენზია წაუყენოს.

სად არიან ექსტრადირებული ჩეჩნები?

რუსეთის მხარემ უარი უთხრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველოდან ექსტრადირებული ჩეჩნების მონახულებაზე, – ნათქვამია გუშინ სასამართლოს მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

"რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ევროპის სასამართლოს შეატყობინა, რომ სტავროპოლის საოლქო სასამართლომ ფაქტების დამდგენ მისიას პატიმრების მონახულებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ჯერ გამოძიება არ დასრულებულა. ევროპის სასამართლომ უპასუხა რუსეთის მთავრობას, რომ სტავროპოლის სასამართლო მან მხოლოდ თავაზიანობის გამო ჩააყენა საქმის კურსში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომლის ხელმომწერიცაა რუსეთი, ავალდებულებს ყველა სახელმწიფოს, ყველანაირად შეუწყოს ხელი ევროსასამართლოს გამომძიებლებს მუშაობაში. კონვენცია ყველა ხელმომწერი სახელმწიფოსაგან მოითხოვს, მის გამომძიებლებს არანაირი დაბრკოლება არ შეუქმნას ".

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე ფაქტების დამდგენი მისიის ვიზიტის გადადება ქართულმა მხარემაც ითხოვა.

თუმცა, თუ საქართველოში დაკავებული ჩეჩნების შესახებ ინფორმაცია ხშირად ვრცელდება, რუსეთში ექსტრადირებულები გადაცემის შემდეგ თვალით არავის უნახავს. ის ფაქტი, რომ რუსეთმა მათი ნახვის უფლებაზე ევროსასამართლოსაც უარი უთხრა, პატიმრების მდგომარეობის შესახებ სერიოზული ეჭვის საფუძველს ბადებს.

ბილ კლინტონი შიდსის წინააღმდეგ

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის ინიციატივით, განვითარებად ქვეყნებში შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები ფასდაკლებით გაიყიდება. შეთანხმების თანახმად, ოთხი ფარმაცევტული კომპანია, რომელთაგან ერთი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ხოლო სამი ინდოეთში მუშაობს, ამიერიდან მედიკამენტებს მესამედ ფასში გაყიდიან. წამლის ყოველდღიური დოზა დღეიდან, დოლარ-ნახევრის ნაცვლად, 38 ცენტად გაიყიდება. ბილ კლინტონის განცხადებით, ეს მსოფლიო თანამეგობრობას მისცემს საშუალებას, რომ შიდსს ებრძოლონ ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მედიცინა საერთოდ არ არსებობს. ამასთანავე შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები დაბალ ფასებში გაიგზავნება კარიბის აუზის ქვეყნებში, მოზამბიკში, რუანდაში, სამხრეთ აფრიკასა და ტანზანიაში.

აღიშნული შეთანხმება გუშინ ოფიციალურად გაფორმდა კლინტონის საპრეზიდენტო ფონდსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის. ბილ კლინტონმა გამოთქვა იმედი, რომ 2008 წლისათვის ამ წამლების მიღება უკვე ორ მილიონზე მეტ ადამიანს შეეძლება. არსებული მონაცემებით, მარტო სამხრეთ აფრიკაში ოთხ მილიონზე მეტი ადამიანია შიდსით ინფიცირებული, რომელთაგან მხოლოდ 50 ათასს შეუძლია ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენა. ეს პროექტი კი დანარჩენი დაავადებულების მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.

„კონკორდი" უკვე ისტორიის კუთვნილებაა

REUTERS

´კონკორდმა´ უკანასკნელი რეისი შეასრულა

გუშინ ლონდონის "ჰიტროუს" აეროპორტში ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა. მათი უმრავლესობა არც მიემგზავრებოდა და არც თავიანთ ახლობლებს ხვდებოდა. ხალხის შეკრება "კონკორდის" უკანასკნელმა რეისმა გამოიწვია, რომელიც მსოფლიოში ერთადერთი ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავია. გუშინ ნიუ-იორკიდან "კონკორდი" თავის უკანასკნელ რეისს ასრულებდა.

მიუხედავად იმისა, რომ "კონკორდის" რეისების შეწყვეტის ძირითად მიზეზად მისი არამომგებიანობა სახელდება, ამ უნიკალური ავიალაინერის უკანასკნელი რეისის სანახავად გამართული შოუ აშკარად მომგებიანი გამოდგა. "ჰიტროუდან" პირდაპირ ტელეტრანსლაციას ახორციელებდნენ ბრიტანეთის წამყვანი ტელეკომპანიები, აქ იყვნენ მსოფლიოს პრესის წარმომადგენლები, ფოტორეპორტიორები. აეროპორტის მაყურებელთა ტრიბუნაზე დასასწრები ბილეთები "ჰიტროუს" ადმინისტრაციამ ლატარეაში გაათამაშა. მოგებული ბილეთები კი ზოგიერთმა პირმა რამდენიმე ასეულ გირვანქა სტერლინგად ინტერნეტ-აუქციონზე გაყიდა. თავად "კონკორდის" უკანასკნელი რეისის ბილეთების ფასმა 60 ათას ამერიკულ დოლარს მიაღწია.

ფრანგულ-ბრიტანულმა "კონკორდმა" თავისი პირველი რეისი 1969 წელს შეასრულა. ავიალაინერი 100 მგზავრს იტევდა, მისი ფრენის სიმაღლე 18 კილომეტრს შეადგენდა. რაც შეეხება სიჩქარეს, "კონკორდი" აქაც შეუდარებელი იყო და საათში ორი ათასზე მეტ კილომეტრს ანვითარებდა. დაახლოებით იმავე პერიოდში ანალოგიურ პროექტებზე მუშაობა აშშ-სა და სსრკ-შიც დაასრულეს. თუმცა, ამერიკულმა "ბოინგმა" უარი თქვა, გაეგრძელებინა მუშაობა პროექტზე, რომლის მიხედვითაც ზებგერითი "USA Supesonic" უნდა გამოშვებულიყო. ანალოგიური ბედი ეწია რუსულ ზებგერით ტუ-144-საც. კრემლმა მისი ექსპლუატაციაში ყოფნა მიზანშეუწონლად მიიჩნია. ამდენად, მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთი ზებგერითი ავიალაინერი დარჩა და ეს "კონკორდი" იყო, რომელიც ბრიტანული და ფრანგული ავიაკომპანიების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

34 წლის განმავლობაში "კონკორდმა" ორ მილიონზე მეტ მგზავრს გაუწია მომსახურება. ბილეთის ფასი კი საკმაოდ მაღალი იყო და რამდენიმე ათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა. ამიტომ, კონკორდის კლიენტები მხოლოდ უმდიდრესი ადამიანები იყვნენ. კონკორდით ფრენა უმაღლეს საზოგადოებაში ფეხის შედგმას ნიშნავდა.

რაც შეეხება ინციდენტებს, ასეთი რამ "კონკორდის" ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 2000 წლის 25 ივლისს პარიზის აეროპორტში მოხდა, როდესაც ავიალაინერი აფრენიდან 90 წამის შემდეგ ჩამოვარდა, რასაც 113 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა, ეს ტრაგედია "კონკორდის" გაუქმების მიზეზი არ ყოფილა. უბრალოდ, ბოლო პერიოდში ეს უნიკალური ზებგერითი ავიალაინერი არამომგებიანი გახდა. იყო შემთხვევები, როდესაც მის ბორტზე მხოლოდ ერთი მგზავრი იმყოფებოდა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამის მიზეზი მომსახურების უზომოდ მაღალი ფასი იყო, ხოლო სხვა სპეციალისტები კი ამ კრიზისს 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ავიაკომპანიათა საერთო პრობლემის ფარგლებში მოიაზრებენ. ასეა თუ ისე, დღეიდან "კონკორდი" აღარ იფრენს. იგი უკვე ისტროიის კუთვნილება გახდა.

პალესტინის რადიკალური დაჯგუფებები შეტევაზე გადადიან

REUTERS

´ჰამასის´ აქტივისტების შეკრება ღაზაში

გუშინ პალესტინელმა მებრძოლებმა ღაზას სექტორში არსებულ ებრაულ დასახლებაზე შეტევა განახორციელეს, რის შედეგადაც მათ სამი ებრაელი სამხედრო პირი მოკლეს, მათ შორის ორი ქალია. ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ როგორ მოახერხეს პალესტინელებმა კარგად დაცულ და გამაგრებულ ნეთცარიმის დასახლებაში შეღწევა. როგორც ჩანს, მათ ბნელი ღამით ისარგებლეს. თავდასხმის შედეგად ასევე დაიჭრა ორი ებრაელი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო თავდამსხმელთა მხრიდან ერთი პალესტინელი მებრძოლი დაიღუპა.

ამ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა პალესტინურმა რადიკალურმა დაჯგუფებებმა "ჰამასმა" და "ისლამურმა ჯიჰადმა" ერთდროულად აიღეს თავის თავზე. ისრაელის სპეცსამსახურებმა უკვე შეძლეს დაღუპული პალესტინელის იდენტიფიცირება. ის ღაზას სექტორში არსებული ჯაბალიას ლტოლვილთა ბანაკში ცხოვრობდა და დაჯგუფება "ჰამასის" აქტივისტი იყო.

თავდასხმა მას შემდეგ მოხდა, რაც ისრაელის მთავრობამ პალესტინურ ტერიტორიებზე სამასი ახალი სახლის მშენებლობის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. მანამდე კი, რამდენიმე დღის წინ ისრაელის არმიის სამხედრო ავიაციამ საჰაერო შეტევა მიიტანა ქალაქ ღაზაზე, რის შედეგადაც 12 პალესტინელი დაიღუპა. იმავე დღეს "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადი" შურისძიებით დაიმუქრნენ.

გუშინვე ღაზაში "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტთა შეკრება გაიმართა. მათ განაცხადეს, რომ ებრაელ სამხედროებზე თავდასხმა პალესტინელების შურისძიება იყო და მათ მუქარა შეასრულეს. **"ჩვენ კრიმინალ მტერს ვუცხადებთ: ჩვენ თქვენზე ნადირობას გავაგრძელებთ... ჩვენი კამიკაძე ქალები და კაცები თქვენ ყველგან მოგაგნებენ და ყველგან მოგწვდებიან. თქვენ არჩევანი არ გაქვთ. თქვენ უნდა წახვიდეთ,"** - ნათქვამია ამ ორი რადიკალური დაჯგუფების ერთობლივ განცხადებაში.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" ერთობლივი ფრონტით ბრძოლის ნიშნები უკვე სახეზეა. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ორშაბათს სირიაში ამ დაჯგუფებათა ლიდერების შეხვედრა გაიმართა, სადაც ისინი შეთანხმდნენ, რომ "სიონიზმის წინააღმდეგ" ერთობლივად იბრძოლებენ.

ავღანეთში განიარაღების პროგრამა დაიწყო

ავღანეთის ხელისუფლებამ მასშტაბური პროგრამის დაწყების შესახებ გაკეთა განცხადება, რომლის მიზანსაც, დაახლოებით, ასი ათასი ადამიანის განიარაღება წარმოადგენს. ოფიციალური ქაბულის განცხადებით პროგრამა ორ წელიწადზეა გათვლილი. ამის შესახებ თავად ავღანეთის პრეზიდენტმა ჩრდილოეთ ავღანეთის ქალაქ ყუნდუზში განაცხადა. პროგრამის სახელწოდებაა - "განიარაღება, დემობილიზაცია და რეაბილიტაცია."

ჰამიდ კარზაის ამ წამოწყებისადმი დასავლეთის აქტიური მხარდაჭერის მიუხედავად, დამკვირვებლები პროგრამის განხორციელებას სკეპტიკურად უყურებენ და მიიჩნევენ, რომ ავღანელი საველე მეთაურები ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე ამჯერადაც უარს იტყვიან. სამხედრო სპეციალისტების შეფასებით, ავღანეთში შეიარაღებული დაჯგუფებების წევრთა საერთო რაოდენობა 400 ათას ადამიანს აღწევს.

განიარაღების პროგრამა იმით დაიწყო, რომ ათასმა მებრძოლმა იარაღი სახალხოდ ჩააბარა ხელისუფლებას. ჰამიდ კარზაიმ მათ ამ საქციელისათვის მადლობა გადაუხადა და ავღანეთის მოსახლეობას ანალოგიური ქმედებისაკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, მშვიდობისა და აღორძინების სახელით, სრულიად ავღანეთმა ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ძალადობას და სისხლისღვრას, რასაც ქვეყანა კატასტროფისკენ მიჰყავს. მან ასევე აღნიშნა, რომ ავღანელი მებრძოლები, რომლებიც უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში მუდმივად ომის პირობებში იმყოფებიან, თანაგრძნობას და დახმარებას საჭიროებენ.

განიარაღების პროგრამა გაერო-ს დაფინანსებით ხორციელდება. პროგრამის მიხედვით, ის, ვინც იარაღს ხელისუფლებას ჩააბარებს, სანაცვლოდ ფულად კომპენსაციას, ტანსაცმელს და პროდუქტების ტალონებს მიიღებს. ამის შემდეგ, რამდენიმე კვირაში ისინი გაივლიან გასაუბრებას და ხელისუფლება მათ სამუშაოს მიღებაში დაეხმარება.

გაერო-ს აღნიშნულ პროგრამას უკვე გამოუწნდნენ ოპონენტები. მათი აზრით, საველე მეთაურები ხელისუფლების ამ მოწოდებას არ გამოეხმაურებიან და თუკი ასეთი რამ მოხდება, ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის ჩაბარებას აზრი მაინც არ აქვს, რადგან მათ ხელში დაუდგენელი რაოდენობის ჯავშანტექნიკა და არტილერია რჩება. პროგრამა კი, ჯერჯერობით, მხოლოდ ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის ჩაბარებას ითვალისწინებს.

ნატო-ში რომ შევალთ, ისინი უკან დაიხევენ

"რუსეთი კვლავინდებურად აგრესიულადაა განწყობილი ჩვენს მიმართ და პატივს არ სცემს ჩვენს დამოუკიდებლობას," – განაცხადა ლატვიის თავდაცვის მინისტრმა "როიტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

თუმცა, მინისტრი იმედოვნებს, რომ 2004 წელს ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში განევრიანება რუსეთს აიძულებს, უკან დაიხიოს.

"ჩვენს ურთიერთობებში დაძაბულობა შემოაქვს იმასაც, რომ რუსებს დღემდე არ მოუხდიათ ბოდიში საბჭოთა ოკუპაციის გამო. ეს კი ხელს უწყობს აგრესიული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას," – განაცხადა ვალდის კრისტოვსკისმა.

"რასაკვირველია, მე შეშფოთებული ვარ, – დასძინა მან, – ჩვენი მთავარი მიზანი ყველა მეზობელთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაა, თუმცა რუსეთის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა ხელს უშლის ჩვენი სახელმწიფოს განვითარებას."

რუსი ბიუროკრატები ჯერ კიდევ შენატრიან საბჭოთა იმპერიალიზმს. "რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიპლომატთა უმეტესობა საბჭოურ წარსულშია ჩაძირული," – ამბობს ლატვიელი მინისტრი .

ლატვიის 2,3 მილიონიანი მოსახლეობის 1/3 ეთნიკური რუსები არიან, რომლებიც აქ საბჭოთა კავშირის დროს დასახლდნენ. ეროვნული ურთიერთობები ჯერაც პრობლემად რჩება.

კრისტოვსკისის განცხადებით, არჩევნების წინ რუსი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი მხარდაჭერის მოპოვებას ლატვიაში თანამემამულეების დაცვით ცდილობს. "რუსეთი განსაკუთრებით აგრესიულ განცხადებებს ლატვიისა და ბალტიის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ არჩევნების წლებში აკეთებს. ახლაც მათ წინასაარჩევნო პერიოდი უდგათ," – აღნიშნავს მინისტრი.

სასაზღვრო უთანხმოებები

ლატვიამ დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა. მას შემდეგ რუსეთთან მას ყოველთვის დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა. ბალტიის ქვეყნების პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ეს ურთიერთობები მხოლოდ სამი ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ გაუმჯობესდება.

სასაზღვრო დავები, ეკონომიკური ზეწოლა და ნატო-ში გაერთიანების დაბლოკვის მცდელობა მუდმივად აუარესებდა რუსეთის ურთიერთობებს ბალტიის ქვეყნებთან.

კრისტოვსკისს მაგალითად მოჰყავს რუსეთის უარი სასაზღვრო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, თუმცა იგი აცხადებს, რომ როგორც კი ლატვია ნატო-სა და ევროკავშირში შევა, რუსეთს მაშინვე უკან დახევა მოუწევს.

"მაშინ ეს აღარ იქნება ლატვია რუსეთის წინააღმდეგ, ეს იქნება ნატო რუსეთის წინააღმდეგ," – ამბობს იგი.

ნატო-ში გაწევრიანებისათვის ბალტიის ქვეყნები, 1991 წლიდან მოყოლებული, იბრძვიან. რუსეთის ოპოზიციის გამო, მათ ალიანსში გაწევრიანება უფრო ადრე ვერ შეძლეს. თუმცა, მას შემდეგადაც, რაც ლატვიამ მიწვევა მიიღო, რუსეთი ბალტიის ქვეყნების ტერიტორიაზე ნატო-ს სამხედრო ბაზების განთავსების კატეგორიული წინააღმდეგია.

კრისტოვსკისი აცხადებს, რომ ქვეყანა აქტიურად ემზადება ნატო-ში გაწევრიანებისათვის. "ჩვენ ვაპირებთ 3-4 წლის მანძილზე 100 მილიონი დოლარით გავზარდოთ თავდაცვის ბიუჯეტი. მომავალ წელს ამ მიზნით ჩვენ 165 მილიონი დოლარი გვაქვს გათვალისწინებული."

როიტერი

სენატი გამძრალი ერაყული იარაღის ამბავს იძიებს

აშშ კონგრესის ორივე პალატა ამთავრებს სპეციალურ გამოძიებებს, ერაყის ომის წინ ამერიკული დაზვერვის მოქმედების შესახებ.

ომის დასრულებიდან ნახევარი წლის შემდეგ, ერაყში არათუ ატომური ბომბი, ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის კვალიც არ აღმოჩნდა. ომის შემდეგ, აკრძალული იარაღის საპოვნელად ვაშინგტონმა ერაყში რამდენიმე ჯგუფი გაგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. იმის შანსი, რომ მომავალში მაინც მიაგნებენ რამეს, მინიმალურია. არადა, ბაღდადის ხელთ არსებულ მასობრივი განადგურების იარაღს ვაშინგტონი ომის დაწყების ძირითად მიზეზად ასახელებდა.

ომის შემდეგ ამერიკას ამასთან დაკავშირებით კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, თუმცა, დროთა განმავლობაში საერთაშორისო თანამეგობრობას ეს თემა მობეზრდა. ის კი არა, რომ არა ამერიკელ სამხედროებში ყოველდღიური დანაკარგები, ერაყი ახალი ამბების გამოშვებებშიც აღარ მოხვდებოდა.

თავად ამერიკაში კი, რაც დრო გადის, გამქრალი ერაყული იარაღისადმი ინტერესი სულ უფრო მატულობს. ეს ბუნებრივიცაა – ახლოვდება არჩევნები.

სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარემ რობერტსმა გუშინ "ვაშინგტონ პოსტს" განუცხადა, რომ მის მიერ მომზადებული დასკვნა უკვე 95 პროცენტით მზადაა. დოკუმენტის ავტორები ამბობენ, რომ გაოცებულნი არიან დაზვერვის მიერ მომზადებულ მასალებში მოძველებული, საეჭვო და გადაუმოწმებელი ინფორმაციის რაოდენობით.

რობერტსი აცხადებს, რომ მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია აშშ სადაზვერვო უწყებების საიმედოობას ეჭვქვეშ აყენებს.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო თავის მართლებას ცდილობს. მისი ხელმძღვანელის ტენეტის განცხადებით, რობერტსი დასკვნას ისე აქვეყნებს, რომ საკითხი ბოლომდე არ შეუსწავლია. ამერიკელი მზვერავები აცხადებენ, რომ მათ მიერ შედგენილი მასალების ნაკლოვანებები მათი უკიდურესად დაძაბული გრაფიკითაც აიხსნება.

სენატს მართლაც არ დაუკითხავს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობა, მათ შორის - პრეზიდენტი ბუში. კომისიის წევრები აცხადებენ, რომ ისინი მაინც დუმილის უფლებას გამოიყენებდნენ, როგორც ეს 11 სექტემბრის ტერაქტის საპარლამენტო გამოძიების დროს მოხდა.

რესპუბლიკელი რობერტსის კომისიის მოხსენება, როგორც ჩანს, პირველ რიგში სწორედ სადაზვერვო უწყებებს "დაატეხს რისხვას". თუმცა, დემოკრატები აცხადებენ, რომ გამოძიება რიგითი მზვერავების დასჯით არ უნდა დაკმაყოფილდეს და სადაზვერვო ფიასკოს მიზეზები უფრო ზედა ეშელონებში ეძიოს.

დემოკრატები ეჭვობენ, რომ დაზვერვა ხელისუფლებას სწორ ინფორმაციას აწვდიდა, მაგრამ თეთრი სახლი და პენტაგონი სადაზვერვო უწყებებზე ზეწოლას ახდენდნენ, რათა ამ უკანასკნელთ ერაყიდან მომავალი საფრთხე გაეზვიადებინათ, და ამასთანავე, მხოლოდ იმ ინფორმაციებს უწევდნენ ანგარიშს, რომლებიც ხელს აძლევდათ.

როგორც სენატის, ისე წარმომადგენელთა პალატის მიერ ჩატარებული გამოძიებების ანგარიშები ახლო მომავალში გამოქვეყნდება.

კატასტროფა როსტოვში: 700 მეტრი მიწის ქვეშ

გუშინ როსტოვის ოლქში, "ზაპადნაიას" მაღაროში 46 მაღაროელი 700 მეტრის სიღრმეში ბლოკრებული აღმოჩნდა. ამის მიზეზად მაღაროში წყლის ნაკადის შევარდნა იქცა. მაღაროელებთან კავშირი გაწყვეტილია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ისინი მაღაროს ე.წ. თაღში შეძლებდნენ თავის შეფარებას. წინასწარი მონაცემებით, მაღაროში წყლის ნაკადის შევარდნა, რომელიც 200 მეტრის სიღრმეზე მოხდა, მეზობელ მაღაროში არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. კერძოდ, ეს მაღაროები, უკვე დიდი ხანია, ექსპლუატაციიდან გამოსულია და მრავალი წლის განმავლობაში აქ სამუშაოები არ ტარდებოდა. ამდენად, ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ უყურადღებობამ მიტოვებულ მაღაროებში წყლის დიდი მარაგის დაგროვება გამოიწვია, რის შედეგადაც კატასტროფა უკვე "ზაპადნაიას" მაღაროში დატრიალდა. სააგენტო "რია ნოვოსტის" ცნობით, საუბარია მიწისქვეშა ტბის არსებობაზე, რომელიც "ზაპადნაიას" მაღაროს ქვევით მდებარეობს. დაზუსტებული მონაცემებით, კატასტროფის მომენტში მაღაროში 71 ადამიანი იმყოფებოდა. მათგან ზედაპირზე ამოღწევა მხოლოდ ოცდახუთმა შეძლო. სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელიც მაღაროელებისა და მაშველებისაგან შედგება, უკვე დაიწყო ავარიის ადგილზე სამაშველო სამუშაოები, თუმცა, ჯერჯერობით, არავის შეუძლია თქვას, თუ რა დრო დასჭირდება ამ პროცესს. ამ ეტაპზე მაშველები ავარიის ადგილის ამოვსებას ცდილობენ, რათა წყლის ნაკადი შეაჩერონ. მაღაროში ჩარჩენილ ადამიანთა გადარჩენისათვის სამუშაოების დაწყება მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

- სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მოინიტორინგის პროექტის ფარგლებში, ჩვენი ექსპერტების ანალიზსა და კომენტარებს შეგიძლიათ ყოველდღე გაეცნოთ გაზეთში „24 საათი".
- გთავაზობთ ყვალიფიციურ კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე დაწარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში.
- გთავაზობთ ყვალიფიციურ კონსულტაციებს საერთაშორისო ბიზნეს სამართალსა და სამეწარმეო სამართალში.

WWW.DVNK.GE

ტელ.: +995 32 751054 ფაქსი.: +995 32 751056 ელ-ფოსტა.: office@dvnk.ge

„მაკდონალდსი" პეტრა კელის პლანეტად იქცა

გიორგი ბახტაძის ფოტო

სტუმრად "მაკდონალდსში".

პეტრა კელი გერმანელი ბავშვი იყო, რომელიც სიმსივნით დაავადდა და ისე გარდაიცვალა, ერთი ოცნება ვერ აისრულა - სიცოცხლის ბოლომდე ჩვეულ გარემოში ეცხოვრა და თეთრხალათიანი ექიმები არ დაეინახა. პეტრას გარდაცვალების შემდეგ მისი ოცნება მისმა დამ აასრულა და ავადმყოფი ბავშვებისთვის "პეტრა კელის სახელობის პლანეტები" შექმნა. ამ "პლანეტებზე" გერმანელი პატარები თავს ჩვეულ გარემოში გრძნობენ და არც ექიმების თეთრი ხალათის დანახვა უხეთქავთ გულს. ეს ყველაფერი საბავშვო ბაღ "ხომლეს" პედაგოგმა თამარ ბასილაშვილმა გვიამბო. მისი ბაღის მობინადრენი ასეთ ცხოვრებაზე ვერც კი იოცნებებენ.

ნანა ქადაგიძვილი

გუშინ აღნიშნული ბაღის ბავშვებს "მაკდონალდსმა" უმასპინძლა. "მაკდონალდსის" პერსონალის მიერ მოწყობილმა თოჯინების თეატრმა და მირთმეულმა ნუგბარმა პატარებსა და მათ მშობლებს რეალობა დროებით დაავიწყა.

საბავშვო ბაღი "ხომლე" წელს 20 იანვრიდან ჩამოყალიბდა. იგი ოცამდე, ძირითადად, აფხაზეთიდან დევნილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარაზე ზრუნავს. ისინი, ძირითადად, ყრუ-მუნჯები არიან. ცერებრალური დამბლით დაავადებული ექვსი ბავშვი სტაციონარში ჰყავთ, დანარჩენი – ზოგი მშობლებს დაჰყავთ ბაღში, ზოგთან კი ბაღის პედაგოგები დადიან. **"განსაკუთრებით მძიმე პირობებში მყოფი ბავშვები ავარჩიეთ. აფხაზეთის განათლების სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 133 პატარა ჰყავს აღრიცხული, მაგრამ ჩვენ 20-საც ძლივს ვუვლით. დახმარებისთვის, თითქმის, ყველა ინსტანციას მივმართეთ, მაგრამ - უშედეგოდ. მხოლოდ აფხაზეთის განათლების სამინისტრომ მოგვხედა და სამინისტროს შენობაში ორი ოთახი დაგვითმო, თანაც შეგვპირდა, - მომავალი წლის ბიუჯეტიდან დაგაფინანსებთო. გერმანიაში "პეტრა კელის სახელობის ფონდსაც" დავუკავშირდით. იქიდან მხოლოდ სათამშოები მივიღეთ. იძულებულნი გავხდით, ისევ ბავშვების მშობლებისთვის გვეთხოვა დახმარება. ზოგი - ფულით, ზოგი პროდუქტით გვეხმარება. ჯერჯერობით იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი ორი ბავშვი ჩვეულებრივ სკოლაში მიიღეს,"** – გვითხრა თამარ ბასილაშვილმა.

"მაკდონალდში" მოწყობილი ღონისძიება "ხომლეს" პატარებისთვის პირველი იყო. ეს ზეიმი, თამარ ბასილაშვილის თხოვნით, მათ "კოკა-კოლას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა სოფო ჭყონიამ მოუწყო. "კოკა-კოლა" მსგავსი ქველმოქმედების გაგრძელებას აპირებს. სანამ ჩვენი ხელისუფლება გერმანიის მთავრობას მიბაძავს, ასეთი ერთჯერადი დახმარებებიც რაღაცას ნიშნავს.

„შევარდნაძე „თბილისობას„ წინასაარჩევნო აქციად გადააქცევს"

აცხადებს ოპოზიცია

მიუხედავად იმისა რომ, ქალაქის მერია დაჟინებით აცხადებს, - "თბილისობის" დღესასწაულის მოწყობა 1 ნოემბერს ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ იყო დაგეგმილი და ამაში საეჭვო არაფერიაო, - არც მოსახლეობას სჯერა, არც მასმედიასა და არც ოპოზიციურ პარტიებს. **"თბილისობა ნოემბერში არასოდეს ჩატარებულა; გაუგებარია, მაინც და მაინც, არჩევნების წინა დღეს რატომ უნდა დანიშნულიყო. ედუარდ შევარდნაძეს "თბილისობა" თავისთვის უნდა და არა თბილისელებისთვის, ამ ღონისძიებას იგი წინასაარჩევნო აქციად გადააქცევს,"** – აცხადებს "ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიორგი არველაძე. იგივეს ფიქრობენ "ლეიბორისტები". **"თბილისობის" არჩევნების წინა დღეს დანიშვნა მორიგი სახელისუფლებო ხრიკია. მისი მიზანი სახელისუფლებო ბლოკის შეფარული წინასაარჩევნო აგიტაცია გახლავთ - ჩურჩხელებს ამოავლებენ, გაიშაირებენ; გამორიცხული არ არის, მოსახლეობას პროდუქტი უფასოდ დაურიგონ. თანაც, სოფლებისა და რაიონების ამომრჩეველს საარჩევნო უბნებს მოწყვეტენ. ამ ხელისუფლების ხელში ჩვენს ხალხს ნამდვილად არ ეზეიმება,"** – აცხადებს "ლეიბორიტი" გიორგი გუგავა.

ასეთი განცხადებების მიუხედავად, ქალაქის ხელმძღვანელობა იხტიბარს არ იტეხს და ეჭვების გასაქარვებლად რიყეზე "თბილისობისათვის" ტრადიციულ კონცერტს არ მართავს. **"არჩევნების წინა დღეებში რიყეზე გამართული კონცერტი, სადაც, ტრადიციულად, უამრავი ხალხი იყრის თავს, შესაძლოა, დაბაბულობის კერად იქცეს,"**- აცხადებს მერია.

24 საათი

კონკურსი და კორუფცია

2002 წელს "ევრაზიის ფონდისა" და ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" მიერ ერთობლივად გამართულმა კონკურსმა გამოავლინა ექვსი გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია ახალციხის, გორის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ფოთის და ქუთაისის რეგიონებიდან, სადაც იმავე წლის სექტემბრიდან დაიწყო სხვადასხვა სახელწოდების ანტიკორუფციული პროექტები.

ნათია ნინიძე

ამ პროექტების ხელშეწყობისა და რეგიონული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირების მიზნით, ევრაზიის ფონდმა დააფინანსა "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" პროექტი - "ანტიკორუფციული ინიციატივების მხარდაჭერა საქართველოს რეგიონებში".

პროექტის მიმდინარეობის ერთი წლის თავზე 24 ოქტომბერს სასტუმრო "კოლხში" გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს საკუთარი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ.

პრესკონფერენციას ესწრებოდა "სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამასთან" არსებული "პრეს-ჯგუფი", რომელიც ახლახან შეიქმნა და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სტუდენტებითაა დაკომპლექტებული. "პრეს-ჯგუფის" მიზანია, არასამთავრობო სექტორის შესახებ ობიექტური და ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდოს მასმედიის საშუალებებს.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ თითიოეულ სამიზნე რეგიონში უამრავი დარღვევა იქნა აღმოჩენილი, როგორც სოციალურ სფეროში, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებს დაზარალებული მოქალაქეებისთვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღმოუჩენიათ სათანადო დახმარება: საპასპორტო განყოფილებებში მოქალაქეებზე პირადობის მოწმობებისა და პასპორტების დროული და კანონიერი გზებით მიღება; უსაფუძვლოდ გათავისუფლებული მასწავლებლების სამსახურში აღდგენა (ხშირ შემთხვევაში - სასამართლოს გზით); სოციალური დახმარების მიმღებ პირთა კონტიგენტის შესახებ რეალური ინფორმაციის მოპოვება და გამოქვეყნება; ავტომესაკუთრეთაგან საგზაო გადასახადების კანონდარღვევით აკრეფის ფაქტების ლიკვიდირება; უკანონოდ ჩატარებული აუქციონების მხილება და გაბათილება; სასწავლო დაწესებულებებზე ბიუჯეტიდან გაღებული თანხების მიზნობრიობის შემოწმება და დარღვევების აღმოფხვრა.

მოსახლეობისათვის მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, არასამთავრობო რეგიონულ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი შეკრების ადგილებსა და ადმინისტრაციულ შენობებში განუთავსებიათ საინფორმაციო დაფები. ადგილობრივი გაზეთებისა და ტელევიზიების საშუალებით კი უწვენებიათ საინფორმაციო-სარეკლამო რგოლები და გაუშუქებიათ კორუფციული დარღვევები.

კორუფციის დამარცხება და მთლიანად აღმოფხვრა, ალბათ, შეუძლებელია, მაგრამ პროექტებში მონაწილე ადამიანები მიიჩნევენ, რომ თავიანთი საქმიანობით, გარკვეულწილად, მაინც ზემოქმედებენ რეგიონებში არსებულ კორუფციულ გარემოზე. გამაერთიანებელი პროექტის დირექტორის ეკა ურუშაძის თქმით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ორი სოციოლოგიური კვლევის ჩატარება პროექტის საწყის და ბოლო ეტაპებზე. მიღებული შედეგები შემუშავებულ რეკომენდაციებთან ერთად მიეწოდება ანტიკორუფციულ ბიუროს შემდგომი რეაგირებისათვის და გაშუქდება მასმედიის საშუალებით.

ერთი პარლამენტი უკვე მზადყოფნაშია

ირინე სანებლიძე

2000 წლიდან საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ბავშვთა ფედერაცია, გაერო-ს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, ახორციელებს პროექტს "ბავშვთა და ახალგაზრდობის პარლამენტი". ეს არის საგანმანათლებლო პროექტი, რომელმაც, უმთავრესად, ბავშვების და ახალგაზრდების თვითგამოხატვის, დიალოგის წარმართვის და პასუხისმგებლობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას უნდა შეუწყოს ხელი.

ვახო ბაქრაძის ფოტო

სწორება დეპუტატობაზე.

უფროსების წინასაარჩევნო კამპანიისაგან რადიკალურად განსხვავებულია უმცროსების წინასაარჩევნო ეიფორია. არჩევნების ორგანიზატორების განაცხადის შემდეგ დაინტერესებული მოსწავლეები და სტუდენტები აუცილებელი საბუთებით და 20 მხარდამჭერის ხელმოწერით რეგისტრაციას გადიან. ორპალატიანი პარლამენტისთვის ყალიბდება 14-დან 18-წლამდე ბავშვების და 18-დან 21-წლამდე ახალგაზრდების ჯგუფები. პირველი ტურში მომავალი პარლამენტარების ზოგად განათლებას, ბავშვთა უფლებების ცოდნას აფასებენ. მეორე ტურში მოხვედრილები უკვე ხმის მიცემის პროცედურას გადიან.

ეს ყველაფერი უკან ჩამოიტოვა მეორე მოწვევის პარლამენტის 131-მა ბავშვმა და ახალგაზრდამ. პირველი სესია გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში ჩატარდა. პარლამენტარები პირველ სასესიო დღეზე განსაკუთრებით ღელავდნენ. მაშ შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ედუარდ შევარდნაძე აღარ მივიდოდა, ემოციები ჩაცხრა.

სხდომას თავდაპირველად უძღვებოდა საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ზურაბ გაიპარაშვილი. ტრადიციული მისასალმებელი სიტყვის შემდეგ პარლამენტარებმა აირჩიეს სხვადასხვა კომიტეტების თავმჯდომარეები, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე. პარლამენტის სპიკერატის კანდიდატურები ჯერ დასახელებულიც არ იყო, როცა მიკროფონებთან რიგი დადგა. პარლამენტარები სპიკერატის უფლება-მოვალეობების შემცირებას ითხოვდნენ. ბავშვთა პალატის სპიკერის ერთადერთმა კანდიდატმა, რომელსაც თავისი პალატის გოგონების უმრავლესობა უჭერდა მხარს, თავისი პროგრამით მოიწონა თავი. ქეთი არველაძის უახლოესი სამოქმედო გეგმაა განათლებლო რეფორმაში ბავშვების ჩართვა, დევნილ ბავშვთა და არასრულწლოვანთა კოლონიის პრობლემების გადაწყვეტა. უალტერნატივო იყო ახალგაზრდული პალატის სპიკერის კანდიდატურაც. გიორგი კობახიძე ამ თანამდებობაზე, ყოველგვარი პროგრამის გარეშე, წარმატებით გავიდა.

ბავშვთა და ახალგაზრდების პარლამენტის სესია სამ დღეს გასტანს. შემდეგი სესიისთვის პარლამენტარები იანვარში შეიკრიბებიან.

დააპატიმრეს... მერხები

მაკა ჭაიანი

ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს. სკოლას, რომელსაც უკვე 13 წელია, სახელმწიფოსგან ინვენტარი არ მიუღია, სექტემბერში 50 ახალი მერხი და 100 სასკოლო სკამი აჩუქეს, ნაცვლად იმისა, რომ საკლასო ოთახებში გაენაწილებინა, დირექციამ ისინი რომელიღაც სართულის რომელიღაც ოთახში გამოკეტა და დიდი ბოქლომიც დაადო. ამ ალოგიკური საქციელის მიზეზი არჩევნები გახლავთ.

ვახო ბაქრაძის ფოტო

მერხები არჩევნებს ელიან.

საქმე ის არის, რომ ვაზისუბანში მდებარე მე-40 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მერხები ისნის რაიონში ბლოკ ბურჯანაძე-დემოკრატების მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატმა დავით ჭიჭინაძემ შეუძინა. ინიციატივა, როგორც სკოლის დირექციაში აცხადებენ, დეპუტატობის კანდიდატისგან წამოვიდა. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ დავით ჭიჭინაძის შტაბში და არც მოსწავლეთა მშობლები მალავენ, "ბურჯანაძე-დემოკრატებს" დახმარებისთვის თავად რომ მიმართეს. ასე იყო თუ ისე, სასწრაფოდ შეკვეთილი და გამზადებული ინვენტარი 25 სექტემბრისთვის სკოლაში იყო.

ყველაფერი უხმაუროდ, მშვიდად გაკეთდა. დავით ჭიჭინაძესა და სკოლის დირექტორ თემურ ბარბაქაძეს შორის სიტყვიერი შეთანხმებაც დაიდო იმის თაობაზე, რომ სკოლა მოახლოებული ზამთრისთვის საწვავით მომარაგდებოდა, სპორტული მოედანი კი შეკეთდებოდა. კმაყოფილი იყო ყველა, განსაკუთრებით - ბავშვები, მაგრამ საშემოდგომო არდადეგებზე ისინი ისე გაუშვეს, ახალ მერხებთან ახალ სკამებზე მიჯდომა არ ღირსებიათ. "ბურჯანაძე-დემოკრატების" ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გუშინ ცდილობდა, გაერკვია, რატომ მოხდა ასე.

მცდელობა, ფაქტობრივად, უშედეგო აღმოჩნდა. **"ამ ინვენტარს არავინ მალავს. ბავშვებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა იციან, რომელ კლასებში დაიდგმება ისინი, ძალიანაც უხარიათ. საკლასო ოთახებში მათი ატანა მხოლოდ დროებით, არჩევნებამდე შევაჩერე. მინდა, საარჩევნო კომისია ნორმალურ სკამებზე, ნორმალურ მაგიდებთან იჯდეს,"** – ასე შეეცადა მდგომარეობის ახსნას სკოლის დირექტორი. **"კი, მაგრამ, ეს სკამები და მერხები ჩვენ ბავშვებისთვის მოგვიტანეს,** - ადეკვატური რეაქცია მოჰყვა თემურ ბარბაქაძის პასუხს მშობლების ერთი ნაწილისგან.

მათი მდგომარეობა ადვილი გასაგებია. ესთეტიკას რომ სულაც თავი დავანებოთ, დღე არაა, მოსწავლე შინ დახეული შარვლითა თუ რეიტუზით არ დაბრუნდეს. **"ვერ წარმოიდგენთ, როგორ სხედან გაკვეთილებზე. საზურგე მათ სკამებს არა აქვს და ჩანთის შესანახი – მერხებს. გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, - მერხები მოაქვთო, მაგრამ რად გინდა, აღარ დაგვიდგეს,** – ხმადაბლა წუწუნებენ მშობლები, - **განა, რამდენნი იქნებიან იმ საარჩევნო კომისიაში, ყველა მერხი და ყველა სკამი დაჭირდებათ? ჩაკვდა ბავშვებში სიახლის მოლოდინი."**

დავით ჭიჭინაძე ამ უცნაური ამბის მიღმა საცნაურ კონტურებს ხედავს. **"ეს ყოვლად გაუგებარი განმარტებაა,** - აცხადებს იგი, - **იმისთვის, რომ საარჩევნო კომისიის წევრები თავს კომფორტულად გრძნობდნენ, ბავშვები დამტვრეულ მერხებთან უნდა ისხდნენ? ჩვენ ეს მერხები მათთვის მოვიტანეთ და არა არჩევნებისთვის. მაქვს ინფორმაცია, რომ სკოლების ხელმძღვანელებზე ხდება ზეწოლა, ჩვენგან დახმარება რომ არ მიიღონ. დაედგათ ინვენტარი და საერთოდ არ ეთქვათ, ვისი მოტანილი იყო. საქმისთვის ნამდვილად ასე ჯობდა."**

ხელისუფლებისკენ თითის გაშვერის უფლებას ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს ის აძლევს, რომ მსგავსი პრობლემები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც შეექმნა. დავით ჭიჭინაძის განცხადებით, საკლასო ოთახებში მერხები 84-ე სკოლის ხელმძღვანელობამაც ვერ დაალაგა, 89-ე სკოლას მათი მიტანილი შეშა დააბრუნებინეს, 167-ე ბაგა-ბაღში კი ხმა გაავრცელეს, - შენობის გადახურვა მშობლების მიერ აკრეფილი ფულით მოვახერხეთო. მხოლოდ მე-8 რუსული გიმნაზიის დირექტორმა არ დამალა საჩუქრად მიღებული ინვენტარი.

საინტერესოა, რომ "ახალი საქართველოსთვის" დარაზმული სახელისუფლებო ბლოკისგან მე-40 სკოლას წინასაარჩევნოდაც არაფერი მიუღია. ისიც საინტერესო იქნება, რისთვის გამოიყენებს საარჩევნო კომისია არჩევნების დღისთვის ბოქლომახსნილ "ბურჯანაძე-დემოკრატების" საჩუქარს. განათლების მინისტრის დაპირებების მიუხედავად, საარჩევნო უბნები კვლავ სკოლებში იხსნება, საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად კი ხელისუფლების მიერ კარგად მართული სკოლის დირექტორებიც ინიშნებიან.

"ვიმკურნალებ, კომპიუტერი რომ მქონდეს"

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.

კომპიუტერი რომ მქონდეს.

გიორგი კობახიძე ლტოლვილია. იგი 43 წლისაა და დაბადებიდან წელს ქვემოთ არის მოწყვეტილი; ამჟამად მოხუცებულთა თავშესაფარ "სავანეში" ცხოვრობს.

როცა გიორგის მშობლები გარდაეცვალა და მისთვის სოხუმში მარტოდ დარჩენა შეუძლებელი შეიქნა, ბიძაშვილის დახმარებით, ის თბილისში ჩამოვიდა და მასთან ორი კვირით დასახლდა. "შემდეგ ჩემს ყოფილ მეგობარს ზაალ სიხარულიძეს დავუკავშირდი. ის დამპირდა, რომ საკუთარი მანქანით ერევანში წამიყვანდა სამკურნალოდ. ისე მოხდა, რომ, ერევნის ნაცვლად, ქუთაისის ინვალიდთა სახლში აღმოვჩნდი",- ამბობს გიორგი და იქ გატარებული წლების შესახებ არაფერს ყვება, რადგან უკიდურესად ცუდ პირობებში იმყოფებოდა. ის 1999 წელს, უკვე მძიმე მდგომარეობაში თბილისში დაბრუნდა. გიორგის თქმით, ლევან კაპანაძემ, რომელიც ინვალიდთა ლიგის ერთ-ერთი წარმომადგენელია, თბილისში ჩამოიყვანა; მისივე სახსრებით ჩაუტარდა ოპერაცია. ლევან კაპანაძე და მისი ოჯახის წევრები, თითქმის, ორი წელი პატრონობდნენ მას. "ფაქტობრივად, საიქიოდან დამაბრუნეს," - ამბობს გიორგი.

საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. იქ საინვესტიციო პროგრამაზე მუშაობას შეუდგა, რომელიც ინვალიდთა თემატიკას შეეხებოდა; ასევე, შეადგინა სოციალურ-გონივრული განვითარების კომპლექსური პროგრამა და აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების შესახებ პროექტიც დაწერა.

გიორგი კობახიძე პროფესიით ფილოლოგია; დამთავრებული აქვს იურიდიული ფაკულტეტიც. 1990 წელს სოხუმში კომერციული ფირმა ჰქონდა გახსნილი, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ ყოველგვარი საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა შეწყდა.

"ომის პერიოდამდე, ასე თუ ისე, ვაკონტროლებდი ჩემს ჯანმრთელობას, ახლა კი, უსახსრობის გამო, ბევრი პრობლემა შემექმნა," - ამბობს ის. გიორგი ცხოვრების უმეტეს ნაწილს საწოლში ატარებს, რის გამოც, ნაწოლები გაუჩნდა; თანაც მის ავადმყოფობას შარდის შეკავებაც დაემატა და სასწრაფოდ უნდა იმკურნალოს. ორი თვის წინ, გამოკვლევის მიზნით, რესპუბლიკურ საავადმყოფოში დააწვინეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ქმედითი ზომების მიღება ვერ მოხერხდა.

"ახლა ვცდილობ, ცოტა ფული ვიშოვო, რომ ჩემი სახსრებით შევძლო სტაციონალური მკურნალობის ჩატარება. ეს ჩემთვის აუცილებელია. თუ საკუთარი სტაბილური შემოსავალი მექნება, ყველა არსებული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია",- ამბობს გიორგი.

მას რამდენიმე ინვალიდი მეგობარი ჰყავს, რომლებსაც ტელეფონით ელაპარაკება. (მისთვის ურთიერთობის ერთადერთი საშუალება ტელეფონია, რომლითაც შეზღუდულად სარგებლობს, რადგან ოთახში არ უდგას). "ჩემმა მეგობარმა გია ჩიხლაძემ პროგრამაში, "ვის უნდა ოცი ათასი", მიიღო მონაწილეობა და იქ მოგებული თანხით კომპიუტერი იყიდა. შეიძლება ითქვას, რომ მან ავტომატურად სამუშაო იშოვა," - გვითხრა მან. გიორგი დარწმუნებულია, რომ თუ მასაც ექნება კომპიუტერი, მუშაობას შეძლებს - საკუთარი ფული გაუჩნდება, იმკურნალებს და მომავალში ბინასაც შეიძენს. "მე სამსახური უკვე ვიშოვე - ელექტრონული აუქციონი; ამ საქმის პრაქტიკა სოხუმში მქონდა. ახლა მთავარია, კომპიუტერი შევიძინო და ყველაფერი რიგზე იქნება", - ამბობს ის.

თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის- "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით," კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stagesngo@hotmail.com

ორი სიტყვით

თბილისი. გლდანში მდებარე არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრში აცხადებენ, რომ დედაქალაქში ფართომასშტაბიანი რეიდები, რომელთა მიზანია ქუჩაში მყოფ არასრულწლოვანთა დაკავება და რეგისტრაციაში გატარება, ცენტრის შენობაში სარემონტო სამუშაოების გამო, დროებით შეჩერებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილწყალკანალიზაციის" ორგანიზაციებისა და მოსახლეობის დავალიანებამ 55,8 მილიონ ლარს მიაღწია. ამ დავალიანებაში მოსახლეობის წილი 29 მილიონი ლარია.

წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობამ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურად 29 მილიონი ლარი უნდა გადაიხადოს, ხოლო, რეალურად, ამ პერიოდში მხოლოდ 17-18 მილიონი ლარის ამოღება ხერხდება, რაც გადასახდელი თანხის 55-60 პროცენტია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის დაბინძურება ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

ბოლო დღეებში სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტორების მიერ ჩატარებული რეიდების დროს ქალაქში სანიტარიული ნორმებისა და წესების დარღვევის 86 ადგილი გამოვლინდა. როგორც სანიტარიული სამსახური ამბობს, კვირის ბოლომდე მდგომარეობა მხოლოდ 47 ადგილზე გამოსწორდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ოცდამეთერთმეტე დღეა, სახელმწიფო კანცელარიის წინ „საქართველოს ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასამბლეის" წევრები საპროტესტო აქციას აგრძელებენ. მათი მოთხოვნები უცვლელია - ამოქმედდეს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის 32-ე მუხლი, რაც ინვალიდთა ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, აქციის მონაწილენი საქართველოს ხელისუფლებას გადადგომისკენ მოუწოდებენ. აქციის დაწყებისთანავე ინვალიდებმა დახმარების თხოვნით სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს საქართველოში გაერო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლებს, თუმცა მათი მხრიდან რაიმე რეაგირება არ ყოფილა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობაში საქართველოში პროსტიტუციისა და ჰომოსექსუალიზმის მიმდევართა რაოდენობის ზრდასა და ამ მხრივ ქვეყანაში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე იმსჯელეს. კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის ბადრი ჩლაიძის განმარტებით, სამართალდამცავები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ მეძავებისა და ჰომოსექსუალების მიმართ, უფრო მეტიც, მათი მფარველობის კარგად ორგანიზებული სისტემა აქვთ შექმნილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიის შენობის წინ 50-მდე მრავალშვილიანმა და მარჩენალდაკარგულმა დედამ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი თბილისობის დღესასწაულისათვის, ერთჯერადი დახმარების სახით, 100-100 ლარს ითხოვდნენ. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, ქალაქის მერი ვანო ზოდელავა მათ ამ დახმარების გაცემას ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ დაჰპირდა, თუმცა დანაპირები ჯერ კიდევ არ შეუსრულებია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში, სანიტარული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს წერილობით მიმართა და პრობლემის სასწრაფოდ გადაჭრა მოსთხოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი იტალიიდან დაბრუნდა, სადაც 20-22 ოქტომბერს საერთაშორისო ორგანიზაცია "ვენეციის კომისიის" მიწვევით ესწრებოდა საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სემინარს. "ვენეციის კომისიის" წევრი ქვეყნები ყოველ ოთხ თვეში ერთხელ იკრიბებიან და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ საერთო პრობლემებთან და სიახლეებთან დაკავშირებით.

პერიოდულად კომისია აქვეყნებს ბიულეტენებს, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების, მათ შორის - ქართველი მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იბეჭდება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1996 წელს გაწევრიანდა საერთაშორისო ორგანიზაცია "ვენეციის კომისიაში". **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბის წარმომადგენლის ილია შაბალკინის განცხადებას, თითქოს ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი საქართველოში იმყოფება, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე "პროვოკაციად" აფასებს.

"ეს ისეთი სამხედრო უწყების განცხადებაა, რომელიც საკუთარ საქმიანობას ვერ არეგულირებს. ჯერ ამბობდნენ, გელაევი პანკისის ხეობაშიაო, ახლა ამბობენ - სვანეთშიო, ხვალ შეიძლება თქვან, ბორჯომში ან ლიკანში ისვენებსო," - განაცხადა ჩხეიძემ. მისი თქმით, გელაევის, ან მისი რაზმის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის ფაქტი არც ქართველ და რუს მესაზღვრეებს და არც ეუთოს დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ და ამგვარი ინფორმაციის გავრცელების მიზანი პანკისის ხეობაში ვითარების დაძაბვაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ექიმები 27 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით ტუბერკულოზზე გამოიკვლევენ ხონის №9 კოლონიასა და ქუთაისის №2 საპყრობილეში მყოფ პატიმრებს, რომელთა რიცხვი 500-ს აღწევს. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მრჩეველმა, ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორმა კახა იშხნელმა უთხრა, ასეთი გამოკვლევა სამედიცინო დეპარტამენტმა წლეულს ავჭალის, რუსთავისა და ქსნის კოლონიებში ჩაატარა. გამოკვლეული 1500-ზე მეტი პატიმრიდან ტუბერკულოზით დაავადებული 56 პირი აღმოჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, 39 წლის ზაზა ფოდიაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს ავტომატი „აკ-74“ ერთი მჭიდით და ექვსი ვაზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ბაღში 22 ოქტომბერს საღამოს სტუდენტთა შორის ურთიერთშელაპარაკებას შედეგად სამი ადამიანის დაჭრა მოჰყვა.

როგორც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, 19 წლის ზვიად ბლიაძემ ურთიერთშელაპარაკების შემდეგ დანით ზურგში დაჭრა 22 წლის ვაჟა ჯანელიძე. საპასუხოდ, ჯანელიძემ დანით ზვიად ბლიაძე და მისი ძმა, 26 წლის ლაშა ბლიაძე დაჭრა. სამივე მათგანი ამჟამად საავადმყოფოში არიან მოთავსებული.

საქმეში ბრალდებული, ჯერჯერობით, არ არის გამოკვეთილი და, შესაბამისად, ვინმეს დაპატიმრების სანქცია ჯერ არ გაცემულა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს თანაშმრომლებმა ფალსიფიკაციის ფაქტზე ამხილეს თბილისში სტანისლავსკის ქუჩა №5-ში მდებარე ინდივიდუალური საწარმო „ციცოს“ მეწარმე ციცო ბებიავა. შემოწმების შედეგად საამქროდან ამოღებულია ფალსიფიცირებული ხორცის პელმენი „ოჯახური“. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მასალები გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მომავალ კვირას, სოხუმში, საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციის შტაბბინა გაიხსნება იმ საერთაშორისო პოლიციელებისათვის, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს ეგიდით იმოქმედებენ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას თქმით, სოხუმში უკვე დიდი ხანია ფუნქციონირებს დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის შტაბები.

სოხუმში მუდმივად იქნება პოლიციის 2 წარმომადგენელი, გალის რაიონში - 10 და ზუგდიდის რაიონში – 8. მისივე თქმით, ამ მისიას უხელმძღვანელებს გერმანიის წარმომადგენელი. მასში ასევე შევლენ პოლიციელები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის - რუსეთიდან. სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო პოლიციელების ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იქნება გალის რაიონისკენ, რადგან აქ ყველაზე ფეთქებადი სიტუაციაა დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების მოღვაწეობის გამო.

მისი ინფორმაციით, საერთაშორისო პოლიციელების ფუნქცია იქნება სპეციფიურ საკითხებში კონსულტაციების გაწევა გაერო-ს დამკვირვებელთა მისიისთვის, მხარეთა სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინირება, მათი მხარდაჭერა მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები გუშინ, გამთენიისას, რამდენიმე საათის განმავლობაში ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში ბომბს ეძებდნენ.

როგორც ტელეგრაფის ხელმძღვანელობა აცხადებს, დაახლოებით დილის ხუთ საათზე შენობის დაცვის სამსახურს უცნობმა მამაკაცმა ანონიმური ზარით შეატყობინა, რომ შენობა დანაღმული იყო და რამდენიმე წუთში აფეთქდებოდა.

აღნიშნულის გამო ფოსტა-ტელეგრაფის 200-მდე თანამშრომელი გარეთ გამოიყვანეს, თუმცა ჩატარებული შემოწმების შედეგად განგაში ცრუ აღმოჩნდა. **პრაიმ-ნიუსი**

პოლიციელთა „კაცური შეთავაზება“ და მოქალაქეობრივი პოზიცია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა საკუთარი თვალით დაინახა, როგორ გამოსძალეს პოლიციელებმა მძღოლს ფული. მათთან მივიდა და ვინაობის დასახელება მოსთხოვა, რასაც პოლიციელების მხრიდან ჭიაბერაშვილის უფლებების უხეში შელახვა მოჰყვა.

"ვინ ხარ? რა შენი საქმეა, ვინ ვართ, რას ერევი ჩვენს საქმეში!" - ამ სიტყვებს პოლიციელებმა გინება მიაყოლეს და ჭიაბერაშვილს მობილური ტელეფონი ძალადობით წაართვეს.

"ამის შემდეგ სხვა ტაქსში ჩავჯექი. აბანოთუბანში მანქანას, რომელშიც მე ვიმყოფებოდი, საგზაო პოლიციის ოცმეთაური ტარიელ ჯანაძე გადაუდგა. მოვიდა ჩემთან და გამომიცხადა - წამოდი საკანში, უნდა დაგაკავოთო. რა თქმა უნდა, ჩემი სათქმელი იქაც ვთქვი. ჯანაძე ქეჩოში მწვდა და გამათრია. მოხდა გაწევ-გამოწევა. პოლიციის მანქანაში ჩემი ფეხით ჩავჯექი. ჯანაძე წინ ჩაჯდა, უკან კი ის პოლიციელი მომიჯდა, რომელმაც მობილური წამართვა და ჩემი მისამართით კვლავ გააგრძელა გინება. ის პოლიციელი ელგუჯა სამსონიძე გახლავთ; მემუქრებოდა, არ ჩერდებოდა," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რომელსაც მთაწმინდა-კრწანისის №1 განყოფილებაში პოლიციურ-თბილისური გარჩევების მოსმენა მოუწია. განყოფილებაში ჭიაბერაშვილი იცნეს და მასთან ურთიერთობის გამწვავება ინანეს კიდეც. "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა მას შემდეგ, რაც ის რეგისტრაციაში არ გაატარეს, როგორც დაკავებულმა მოითხოვა განცხადების დაწერა და საქმისთვის მსვლელობის მიცემა. **"თბილისელი კაცები არა ვართ. ამოვწუროთ ეს ინციდენტი უპრობლემოდ. საქმეს ნუ გავართულებთ, არ გინდა განცხადების დაწერა, ცოდოები არიან პოლიციელები,"** - ასეთი

პოლიციამ ზურაბ ჭიაბერაშვილი დააკავა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი პოლიციას უჩივის.

შეთავაზებებით სურდათ ჭიაბერაშვილის განყოფილებიდან გაშვება სამართალდამცველებს. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის №1 განყოფილებაში ჭიაბერაშვილთან მოსალაპარაკებლად სასწრაფოდ გაჩნდნენ საგზაო პოლიციის შეფებიც. თუმცა, ჭიაბერაშვილმა პოზიცია არ დათმო და სამართალდამცველები იძულებულნი გახდნენ, შეესრულებინათ მისი კატეგორიული მოთხოვნა. დაკავებულმა განცხადება დაწერა და საგზაო პოლიციის თანამშრომლები ქრთამის აღების ფაქტზე ამხილა. ჩვენი ინფორმაციით, მისი განცხადება გუშინვე გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. **"საქმეს მსვლელობა აუცილებლად მიეცემა და სათანადო შეფასებებიც იქნება"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გენერალური ინსპექციის გამომძიებელმა გოგა ფოლადიშვილმა.

ერთი სიტყვით, სხვისი უფლებების დაცვისას თავად ჭიაბერაშვილის უფლებები დაარღვიეს, რის გამოც "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი უკან დახევას არ აპირებს და საქმის გამოძიებას მოითხოვს.

"მე ვარ საქართველოს ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელმაც კანონდარღვევა დავაფიქსირე. სწორედ ამის გამო სცადეს ჩემი პიროვნული და საკუთრების ხელყოფა. დაირღვა ჩემი უფლებები. საქმე ისაა, რომ მე კანონმდებლობა კარგად ვიცი და შევძელი ჩემი უფლებების დაცვა. ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან არა იმიტომ, რომ შეურაცხყოფა მომაყენეს, არამედ იმიტომ, რომ დავიცვა ათასობით მოქალაქის უფლებები, რომლებსაც პოლიცია ყოველდღიურად უზღუდავს კანონით მინიჭებულ უფლებებს", - გვითხრა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რომელიც კანონდარღვევად აფასებს იმ ფაქტსაც, რომ პოლიციის განყოფილებაში რეგისტრაციაში არ გაატარეს და "ახლობლური" მიდგომითა და "კაცური გაგების" ფარგლებში შესთავაზეს საქმის "მოყომარება".

ქართველ მესაზღვრეებს რეფორმის განხორციელებაში პოლონელი კოლეგები დაეხმარებიან

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს რეფორმების განხორციალებაში კიდევ ერთი ქვეყანა - ამჯერად, პოლონეთი დაეხმარება.
საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ და მისმა პოლონელმა კოლეგამ, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პოლონეთის სასაზღვრო ძალების მთავრსარდალმა იოზეფ კლიმოვიჩმა ორ ქვეყანას შორის დაწყებული საქმიანი ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმეს – ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაციას.

დეკლარაციის საფუძველზე პოლონეთისა და საქართველოს სასაზღვრო უწყებების თანამშრომლობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართება. საუბარია უკანონო მიგრაციის, ნარკობიზნესის, ტერორიზმისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ორი ქვეყნის ერთობლივი ბრძოლის შესახებ, საქართველოს სასაზღვრო უწყების პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნის პროცესში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და პოლონეთის გამოცდილების გაზიარებაზე.

იოზეფ კლიმოვიჩის განცხადებით, პოლონეთი მზად არის, დაეხმაროს საქართველოს სასაზღვრო უწყების რეფორმაში, რაც მის პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნასა და საგამომძიებო ფუნქციების მინიჭებასაც გულისხმობს. **"გლობალიზაციის პროცესმა მსოფლიოს ყველა ქვეყანა (ბუნებრივია, მათ შორის საქართველოც და პოლონეთიც) თითქმის ერთნაირი პრობლემების წინაშე დააყენა. ორივე ქვეყანას უკანონო მიგრაციის, იარაღის კონტრაბანდის, საერთაშორისო ტერორიზმისა და ნარკოტრაფიკის პრობლემა აქვს. სწორედ ამიტომ, ჩვენი თანამშრომლობა აუცილებელია. მით უფრო, რომ ჩვენ თავის დროზე გამოცდილება გერმანიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იტალიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გაგვიზიარეს"**, - განაცხადა ოიზეფ კლიმოვიჩმა.

"პოლონეთის, ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის გამოცდილება, რომელიც ამ ქვეყნის სასაზღვრო უწყებამ ბოლო 10-15 წელიწადში შეიძინა, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პოლონეთის სასაზღვრო ძალები უკვე პოლიციურ სტრუქტურად ჩამოყალიბდა. მათ დიდი გამოცდილება აქვთ სანაპირო დაცვის საკითხებშიც; შესაბამისად, საქართველოსთვის პოლონეთთან თანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანია", - განაცხადა ვალერი ჩხეიძემ და პოლონელ კოლეგას დახმარების პროგრამის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა.

პოლონური პროგრამის პირველი ეტაპი მომავალ წელს დაიწყება. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ოფიცერთა სამუშაო ჯგუფი პოლონეთში გაემგზავრება და ამ ქვეყნის სასაზღვრო სამსახურის სპეციფიკას ადგილზე გაეცნობა.

24 საათი

საპასპორტოს უფროსისა და შინაგან საქმეთა მინისტრის დავაში პროკურატურა ჩაერთო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მინისტრის ახალი ბრძანებით, გოჩა სახეჩიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს და საპასპორტოს ყოფილი უფროსი სამსახურში დააბრუნეს, მაგრამ კანონიერ გადაწყვეტილებას ამჯერად გოჩა სახეჩიძე დაუპირისპირდა და საპასპორტოს კანონიერი უფროსი კაბინეტში არ შეუშვა. ვისი იმედით არ აღასრულა სახეჩიძემ მინისტრის და სასამართლოს ბრძანება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, მისთვის კანონის დარღვევის გამო პასუხი არავის მოუთხოვია. პირიქით, ათ დღეში შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალი ბრძანება გამოსცა – სახეჩიძე კვლავ ისანი-სამგორის რაიონის საპასპორტოს უფროსის თანამდებობაზე დააბრუნა, ხუბულია კი ქალაქის საპასპორტოს უფროსის მოადგილედ დანიშნა.

თანამდებობრივად დაწინაურებული საპასპორტოს ყოფილი უფროსი ახალ სამსახურში არ გამოცხადებულა. მან ყოფილი თანამდებობის დასაბრუნებლად ამჯერად საოლქო სასამართლოს მიმართა. ხუბულიას პრეტენზია ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამაც დააკმაყოფილა და შინაგან საქმეთა მინისტრს კანონმორჩილება მოსთხოვა.

სასამართლო სააღსრულებო ფურცლის სამინისტროში მისვლიდან ორ კვირაში რამინ ხუბულია არა თუ დააბრუნეს ძველ თანამდებობაზე, არამედ იგი საერთოდ დაითხოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან და მასზე სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს.

პოლიციის ორგანოებიდან საპასპორტოს უფროსის გათავისუფლებას და მის წინააღმდეგ სამართლებრივ დევნას საფუძვლად დაედო საპასპორტოში ხუბულიას საქმიანობის შემოწმება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონით, პოლიციის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა პროკურატურის პრეროგატივაა, გენერალურმა ინსპექციამ მასალები თბილისის პოლიციის საგამოძიებო ნაწილს გადაუგზავნა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის ხუბულიას საქმეზე გამოძიებაც სწორედ იქ დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხუბულიას მიმართ დაშვებული კანონდარღვევა კვლავ სასამართლოზე გამოვლინდა, როდესაც საგამოძიებო ნაწილი ყოფილი კოლეგისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას ითხოვდა. პროკურატურამ ქვემდგომი ორგანო არაუფლებამოსილ პირად ცნო, მკაცრი საყვედური გამოუცხადა, აღძრული საქმე გააუქმა და ხუბულია უდანაშაულოდ გამოაცხადა.

ამის შემდეგ საპასპორტოს ყოფილმა უფროსმა თანამდებობის დასაბრუნებლად ბრძოლა საოლქო სასამართლოში განაახლა, რომელმაც მისი მოთხოვნა კვლავ დააკმაყოფილა, მაგრამ მინისტრმა არასასურველი თანამშრომელი ამჯერად გლდანი-ნაძალადევის რაიონის საპასპორტოში გაამწესა, რამაც ხუბულია ისევ სასამართლოს კართან მიიყვანა.

ვიდრე რამინ ხუბულია და შინაგან საქმეთა მინისტრი ისანი-სამგორის რაიონის საპასპორტოს უფროსის თანამდებობისთვის ერთმანეთს ერკინებიან, წელიწადნახევარი გავიდა და, როგორც ჩანს, ამ საკითხზე სასამართლო დავა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რადგან სასურველი რაიონის საპასპორტოს უფროსის თანამდებობა კვლავ მინისტრის მეგობარს გოჩა სახეჩიძეს უკავია.

ამასობაში რამინ ხუბულიამ სამართლის საპოვნელად მიმართა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურას, სადაც სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის მუხლით აღიძრა. დასრულდება თუ არა გამოძიება და სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობისთვის დაისჯება თუ არა რეალური დამნაშავე, ძნელი სათქმელია. ფაქტია, აღნიშნულ საქმეს რაიონის პროკურატურა მკაცრად ასაიდუმლოებს და კომენტარის გაკეთების კატეგორიული წინააღმდეგია. ამ ეტაპზე ჩვენთან საუბარს თავს არიდებს თავად დაზარალებული რამან ხუბულიაც, თუმცა გვპირდება, რომ მომავალში გამოაქვეყნებს თავის საქმეში არსებულ ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს არა მარტო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობაში, არამედ უფრო მძიმე დანაშაულში ამხელს.

მოკლედ

მძღოლთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 25 ოქტომბრიდან კოსტავას ქუჩაზე, გმირთა მოედნიდან ფილარმონიის მოედნამდე ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების, გამტარუნარიანობის გაზრდის და ე.წ. საცობების აღმოფხვრის მიზნით, სატრანსპორტო საშუალებებს აეკრძალათ გაჩერება და მარცხნივ მოხვევა. ნიკოლაძის, ღამბაშიძის, ბოცვაძის ქუჩებისა და ვერის შესახვევიდან გამომავალი ტრანსპორტი იმოძრავებს მხოლოდ მარჯვნივ.

თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს პრესცენტრი

ყაჩაღები ცხელ კვალზე დააკავეს

გუშინ ბათუმიდან საჩხერის მიმართულებით მიმავალ "იკარუსის" მარკის ავტობუსზე, რომელიც მგზავრებით იყო სავსე, ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. იმერეთი-გურიის ე.წ. საზღვართან ავტობუსი ექვსმა ახალგაზრდამ გააჩერა. ავტობუსში ასვლისთანავე ახალმა მგზავრებმა სხვადასხვა ტიპის იარაღი ამოიღეს, ყვირილითა და მუქარით ფული და ძვირფასეულობა მოითხოვეს. შეშინებულ მგზავრებს რაც კი გააჩნდათ, ყველაფერი ყაჩაღებს ჩააბარეს. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ნადავლით "ხელდამშვენებულმა" ყაჩაღებმა მძღოლს ავტობუსის გაჩერება უბრძანეს და იქვე ახლოს, ტყეში გაუჩინარდნენ.

მომხდარიდან ორი საათის შემდეგ ოთხი თავდამსხმელი სამართალდამცველებმა ტყის სიღრმეში დააკავეს. ორმა გაქცევა შეძლო. "ყაჩაღებს ოპერატიულად გავყევით ცხელ კვალზე და ალყაში მოვაქციეთ ტყის სიღრმეში. სამართალდამცველთა სიმრავლის გამო მათ წინააღმდეგობის გაწევა გადაიფიქრეს და იარაღის გამოყენება არც კი უცდიათ. სამწუხაროდ, ორი ყაჩაღი გაგვექცა, თუმცა მათი ვინაობა უკვე დადგენილია და შორს ვერ წავლენ", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ზაზა ძნელაძემ.

სამტრედიელები - პაატა ცინცაძე, ალექსანდრე ქართველიშვილი, იმედა ავალიანი და კობა ადეიშვილი უკვე წინასწარი დაკავების საკნებში იმყოფებიან. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ექსპერტები დაზარალებულების დაზიანების ხარისხს ადგენდნენ.

24 საათი

მკვლელობა თბილისში

თბილისში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. კინოთეატრ "ამირანიდან" გამოსულ 21 წლის ზაზა კაციტაძეს, რომელიც მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად იყო, ერთი პიროვნება მიუახლოვდა და, ყოველგვარი შელაპარაკების გარეშე, მუცლის არეში დანით დაჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მუცელში არტერია აღმოაჩნდა გადაჭრილი და ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

მკვლელობის თვითმხილველთა თქმით, ზაზა კაციტაძეს ლაშა ფირცხელაური დაესხა თავს. ჩვენი ინფორმაციით, კაციტაძეს და ფირცხელაურს წარსულში ერთი გოგო უყვარდათ, რის გამოც რამდენჯერმე ფიზიკური შეხლა-შემოხლაც მოსვლიათ.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურას, სადაც მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ლაშა ფირცხელაური მკვლელობაში ეჭვმიტანილად, ჯერჯერობით, არ უცნია. იგი ამჟამად მიმალულია. გუშინ გამოძიებამ დაკითხა მკვლელობის თვითმხილველნი და ფირცხელაურის ბინა გაჩხრიკა.

24 საათი

პარიზში სამი პაპარაცის სასამართლო პროცესი იწყება

პარიზის სასამართლო იწყებს იმ სამი ფოტოგრაფის სასამართლო პროცესს, რომელიც 1997 წლის 31 აგვისტოს პრინცესა დიანასა და მისი მეგობრის დოდი ალ-ფაედის ფოტოების გადაღებას ცდილობდა. როგორც ცნობილია, სამი პაპარაცი სენის სანაპიროს გვირაბში მომხდარი ტრაგედიის მიზეზი გახდა, როცა პრინცესა დიანას „მერსედესი“ თავისი მგზავრებით გვირაბის მე-13 ბოძს შეასკდა.

ჟაკ ლანჟევინს, კრიტიან მარტინესს და ფაბრის შასერის დიანასა და დოდის პირად ცხოვრებაში უკანონოდ შეჭრის ბრალდება წაუყენეს. სამართალდამცველებს სარჩელით მიმართეს დოდის მამის, ეგვიპტელი მილიარდერის მოჰამედ ალ-ფაედის ადვოკატებმა.

სარჩელისა და პროცესის იურიდიული საფუძველი გახლავთ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ზღუდავს პრესის ჩარევას მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში. ამ კანონის თანახმად, აკრძალულია ავტომანქანაში მსხდომი ადამიანების ფოტოგრაფირებაც. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, პაპარაცებს ერთწლიანი სასჯელი და სოლიდური ჯარიმის გადახდა ელით.

ალან ჩოჩიევს ვატიმრობიდან არ გაათავისუფლებენ

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი იდეოლოგი ალან ჩოჩიევი, რომელიც 14 ოქტომბერს ვლადიკავკაზში დააკავეს, პატიმრობაში დეკემბრის შუა რიცხვებამდე, სასამართლო პროცესის დაწყებამდე დარჩება მიუხედავად იმისა, რომ ალან ჩოჩიევმა პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით უვადო შიმშილობა გამოაცხადა.

ალან ჩოჩიევი სეპარატისტთა მოძრაობის "ადამონ ნიხასის" ერთერთი დამაარსებელია, ჩრდილოეთ ოსეთის შსს-ს საგამომძიებო ორგანოებმა მას ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში წაუყენეს ბრალი.

იგი მას შემდეგ ცნეს ბრალდებულად, რაც ალან ჩოჩიევმა რუსეთის გენპროკურორს ვლადიმერ უსტინოვს და ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარეს მიხეილ შატალოვს საპროტესტო წერილით მიმართა და მოითხოვა "საქართველოს ხელისუფლების იმ ფაშისტური რეჟიმის შეფასება, რომელმაც ოსების გენოციდი განახორციელა".

გარდა ამისა, ჩოჩიევი თავის მიმართვაში ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტს ალექსანდრე ძასოხოვს საქართველოს ხელისუფლებასთან ალიანსში ადანაშაულებდა.

ალან ჩოჩიევის დაკავების გამო ცხინვალში პროტესტს გამოთქვამენ;

შეიქმნა "ალან ჩოჩიევის გათავისუფლების კომიტეტი", რომლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მისი დაპატიმრების მიზეზი გახდა ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სურვილი, აღეკვეთა ვლადიკავკაზში, მთავრობის სახლის წინ, ალან ჩოჩიევის მიერ დაგეგმილი ანტიფაშისტური აქცია. **პრაიმ ნიუსი**

ასი წლის უნახავ მეგობარზე, ხაჭაპურზე და იმაზე, რომ...

ქართულ „დედა ენას" ბილეფელდშიც სწავლობენ

ანა გაგნიძე-მუსმანი
გერმანიიდან

- გოგონა, ოთახი "ე-14" სად არის?

- აი, აქეთ, ხელმარცხნივ, ოღონდ ქართული "ე" კი არა, გერმანული "E" აწერია.

შეუმჩნევლად მეღიმება და მივყვები პატარა გოგოს, რომელიც ახლა ერთ მამაკაცს სუფთა გერმანულით უხსნის რაღაცას. ნეტავ, ჩემს ბიჭსაც თუ ასე ეცოდინება ქართული, ვფიქრობ და ...

■ ■ ■

ლიფშტატიდან ბილეფელდში ორმოცდახუთ წუთში ჩავედით. სამს აკლია ხუთი წუთი. როდესაც რავენსბერგის პარკთან ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაზე შევუხვიეთ, და თან ქონგურებიანი შენობაც დავინახეთ, გავიფიქრე, - დღეს მაინც არ დავაგვიანეთ-მეთქი. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს, პაემანზე მივდიოდე მთელი ოჯახით - ჩემი გერმანელი მეუღლით და ორი წლის შვილით, დაახლოებით, 13 წლის უნახავ მეგობართან ჯიმისთან შესახვედრად.

მე და ჯიმი ერთად ჩავირიცხეთ 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე. ორი წელი ერთ ჯგუფში ვსწავლობდით, ერთად ვქეიფობდით და, რადგან სულ ათნი ვიყავით, ერთად ვჭორაობდით კიდეც. მალე მე დღეზე გადავედი და ეს იყო და ეს. წლების მერე ტელევიზიაში მოვკარი თვალი ჯიმის, მაგრამ ისეთი დრო იყო, სალაპარაკოდ არც იმას ეცალა და არც მე. ასე დავიკარგეთ.

■ ■ ■

- ანა, 18 ოქტომბერს ბილეფელდში ქართული ენის შემსწავლელი კურსები იხსნება და ხომ არ წამოხვალთ?

- ვინ ხსნის?

ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოება, აი, სავიზიტო ბარათი.

ცალი თვალით დავხედე ბარათს, თან ბავშვს ვაჭმევ და, უცებ, თვალებს არ ვუჯერებ. გერმანულად შევსებულ ბარათზე ლურჯი ასოებით წერია: თავისუფალი ჟურნალისტი და მწერალი ჯიმშერ ბედიანაშვილი.

■ ■ ■

უმაღლესი სახალხო სკოლის შენობაში, დაახლოებით, 60-მდე კაცია შეკრებილი. ქართული სკოლის გახსნა ქართული წესით იწყებაო,- მეუბნება ჩემი ქმარი ჩუმად; უკვე ოთხი ხდება. მე გაბრწყინებული ვიღიმები, თან ლუკას ვუყურებ და ვნატრობ, - ნეტავ არ აჭინჭყლდეს. ლუკა არც აპირებს ცუდად მოქცევას და იმას ეთამაშება, ვინც ყურადღებას აქცევს. დღეს, რატომღაც, ყველა ყურადღებას აქცევს ამ ბავშვს. ჩვენს წინ ასაკოვანი ქალბატონი ზის. "იზა ბები", - ამბობს ლუკა. რატომ გერმანელ ბებიებს არ ეძახის იზა ბების ჩემი შვილი? - ვფიქრობ ჩემთვის. იქნებ, ამჩნევს ბავშვი, რომ ეს ქართველი ბებიაა და ქართველ ბებიას ხომ იზა ბები ჰქვია... ერთი, ახლა მის ტვინში ჩამახედა?!... ნეტავ საათზე დედა ენის ძეგლის ფოტო იყოს გაკრული... ისე, სად იშოვეს ეს ფოტოები და წიგნები! ნამდვილი დედა ენები და ქართული წერის რვეულები. რვეულებს იოახიმს ვუჩვენებ. არც ასოების მესმის და ვერც რვეულის გამიგიაო, - ამბობს თავისთვის. ყველა მოლოდინშია და, აი, საზოგადოების თავმჯდომარე ჯიმი ბედიანაშვილი აცხადებს იმას, რასაც თითოეული სტუმარი თავისებურად აანალიზებს. „ქართველ-გერმანელი ბავშვების, ქართველზე დაქორწინებულებისა და ყველა საქართველოს მეგობრისათვის იხსნება ქართული ენის, ისტორიის, კულტურის შემსწავლელი კურსები. გარდა ამისა, მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ქართულ სიმღერას და ცეკვას. გადაწყვეტილი გვაქვს, ჩამოვაყალიბოთ ქართული თეატრალური წრე და..."

■ ■ ■

- იცი, ხანდახან მეც მინდა იმის გაგება, რაზეც ჩემი ცოლი და ბავშვები ლაპარაკობენ და არ მესმის. შენ რამდენი ხანია, რაც ქართველების სიძე ხარ?

- ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ ჩემს სიდედრს და სიმამრს ვერ ველაპარაკები მესამე პირის გარეშე.

- მე კი ასე მგონია, ცოლების გარეშე რომ წავიდეთ საქართველოში ერთი სამი კვირით, ისეთი ქართულის ცოდნით დავბრუნდებით, რომ...

რუდიგერი, ფოლკერი და იოახიმი დგანან და ლაპარაკობენ. სამივე გერმანელს ქართველი ცოლი ჰყავს, სამივე საქართველოშია ნამყოფი, სამივემ საყველპურო ქართული იცის და სამივე მოწადინებულია, ისწავლოს ის ენა, რომელზეც მისი ცოლ-შვილი ერთმანეთს ესაუბრება. მოწადინება ერთია და შესრულება - მეორე. "მასწავლებელზეა დამოკიდებული და გარემოზე, ივლის ჩემი ქმარი კურსებზე თუ არა", - ვფიქრობ გუნებაში და მახსენდება ერთი გერმანელის რეპლიკა, - თუ ასე ჩქარა ილაპარაკა მასწავლებელმა, ახლა თქვენ რომ ლაპარაკობთ, ტყუილია რამის სწავლაო. ვნახოთ. ჩემს შვილს ჯერ კიდევ ორი წელი აქვს სწავლის დაწყებამდე. ქართულის მასწავლებელი ქალბატონი ლია ცინცაძეც, მერი ხუცურაულიც, ასევე, ქალბატონი ნონა სანიკიძე გამოცდილი პედაგოგები არიან და, როგორც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, - ჩემთვის უფრო ძნელი იქნება, ის სიყვარული რომ ვაგრძნობინო, რომლითაც ქართული „დედა ენა" არის დაწერილი, ვიდრე "ა"-სა და "ბ"-ს დამახსოვრებინებაო. მართალია. ნეტავ, შეძლებს უცხო ქვეყანაში დაბადებული ადამიანი ქართული სულის აღქმას? მეორე მხრივ კი, ქართველმა ცოლებმა, ქმრებმა, დედებმა ხომ გავითავისეთ გერმანული წესი, ადათი, ხასიათი?

- ნინო, ქართულ ცეკვაზე ივლი ჯემალ და გოჩა მასწავლებელთან?

- nain.

- რატომ არა?

- ჯერ ქართული უნდა ვისწავლო, თორემ დამცინებენ.

- რვეული და წიგნი უკვე მოგცეს?

- კი.

- მოგწონს?

- ძალიან ლამაზია.

ნეტავ, ჩემთვის რომ ეკითხათ, - მოგწონს თუ არა „დედა ენაო", - რას ვუპასუხებდი? ლამაზია? რატომ მახსენდება ან რა შუაშია ახლა ეს სტრიქონები: "რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი..." ნეტავ, სად არის ჩემი შვილი? ისევ გურამს ეთამაშება? ან რატომ მოეწონა ეს გურამი ასე და არ სცილდება?

- დედა, "ხაჩაპური" გინდა?

ნეტავ მალე გავიდეს ეს ორი წელი... მოეწონება კი ლუკას დედა ენა? ჯერჯერობით, საქმე კარგადაა - ხაჭაპური უკვე მოსწონს და, ხომ გაგიგონიათ, - მადა ჭამაში მოდისო...

■ ■ ■

ჯიმის ვემშვიდობები.

რაღაც ვეღარ დავილაპარაკეთ. უნდა ვესტუმროთ ერთმანეთს.

საქართველოში ვერ ვახერხებდით, თორემ აქ რა პრობლემაა - ერთ საათში ჩვენთან ხარ, თუ არა და, შაბათობით მაინც შევხვდებით ერთმანეთს აქ, ბილეფელდში, ქართულ სკოლაში.

პირველი გასაუბრება. პედაგოგები ლია ცინცაძე და მერი ხუცურაული-მარქსტი.

საზეიმო გახსნა. ქ. ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე დავით კოწიწაშვილი, საზოგადოების თავმჯდომარე ჯიმშერ ბედიანაშვილი, თავმჯდომარის მეორე მოადგილე ვახტანგ მებადური.

სახალხო უმაღლესი სკოლის შენობა, სადაც განთავსებულია გერმანულ-ქართული საზოგადოება.

www.24hours.ge 24 B

შაბათის სტუმარი

შიში დემოკრატიის გამო

მაია ჭალაბანიძე

იქნებ ასეც იყოს: თავისი ექსპერიმენტული ჯგუფის პირველ გაკვეთილს რეჟისორი თემურ ჩხეიძე ასე დაიწყებს: შეგიძლიათ რეპეტიციების გარეშე ცხოვრება? ამ შეკითხვაზე, ჯობს, არავინ გასცეს დადებითი პასუხი, უმალ დატოვებს აუდიტორიას და იქნებ, მერე მაესტროს მადლობელიც დარჩეს. ეს იქნება მალე. ჯერ რეჟისორების, დრამატურგებისა და თეატრის მხატვრების ჯგუფი არ შეკრებილა და ზუსტი სახელიც არ ჰქვია. იდეა კი ასეთია:

- ჯგუფში, ჯერჯერობით, იქნებიან 3 რეჟისორი, 2 მხატვარი, (ვინც ცხოვრებას თეატრს დაუკავშირებს) და ახალგაზრდა მწერალი, ვისაც დრამატურგიაში სურს მოღვაწეობა.

- ეს ექსპერიმენტი იქნება?

- თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ საზოგადოებას ერთად არასდროს უსწავლია, ექსპერიმენტულია. პრინციპულად მინდა, რომ ამ პროფესიის ადამიანები ყველაფერში ერთად იყვნენ - თეორიულ ლექციაზე, რეპეტიციაზე. შიგნიდან გაიცნონ თეატრი. არა მარტო რეჟისორი, დრამატურგიც ძალიან კარგად უნდა მიხვდეს, რა არის რეპეტიცია, რა უნდა თეატრს...

ასეც ხომ ხდება - ნიჭიერი ადამიანი წერს პიესას, წასაკითხად არა უშავს, მაგრამ თეატრისთვის არ ვარგა.

თანდათან, მინდა, ამ ჯგუფს მსახიობებთანაც ჰქონდეს კავშირი და თეატრალური უნივერსიტეტის ბაზაზე ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად ნამუშევრები გააკეთონ.

- ამგვარი თანამშრომლობის აუცილებლობამდე დიდი გამოცდილების მერე მიხვედით. მწარეა ეს გამოცდილება?

- ორიგინალური არ ვარ. იტალიაში, მილანში, ერთმა ნაცნობმა რეჟისორმა კონსერვატორიასთან არსებულ თეატრალურ სტუდიაში მეცადინეობის ჩატარება მთხოვა. ჯგუფში 25 ბავშვი იყო... ყველა სამსახიობოზე სწავლობდა, მაგრამ შემდგომში ზოგი დრამატურგობას აპირებდა, ზოგი - რეჟისორობას. პირველ ორ კურსზე ამ სპეციალობებს არ სწავლობდნენ. ეს იყო ზოგადად თეატრალური განყოფილება, სადაც ანბანს სწავლობდნენ. ძალიან მომეწონა, რადგან ყველაფერი, რაც კეთდება, მსახიობში იყრის თავს. იმ ადამიანმა, ვისაც მწერლობა, დრამატურგია უნდა, თავი მსახიობის ტყავში უნდა იგრძნოს...

- ფიქრობთ, რომ ამგვარი ჯგუფის შექმნით რეჟისორისა და დრამატურგის მუდმივ შინაგან კონფლიქტს მოაგვარებთ?

- მაგას არ ვფიქრობ. შინაგანი კონფლიქტი ყოველთვის იქნება.

ასეთი კონფლიქტი ქალისა და კაცის ურთიერთობებშიც არის ჩადებული, მაგრამ ამის გამო ჩვენ სიყვარულზე უარს არ ვამბობთ.

- ზოგჯერ ეს შინაგანს სცილდება და დრამატურგს ხელნაწერს მიუყრიან ხოლმე...

- ეს უკვე აღზრდაზეა...

თავისთავად, შინაგანი კონფლიქტი, ალბათ, ჩემსა და მსახიობებს შორისაც არის. თავად ის ფაქტი, რომ დღეს ერთს ვაძლევ სამუშაოს და მეორეს არა - უკვე მიზეზია... ამ კონფლიქტებს ვერ მოვშლი. უბრალოდ, მინდა, ეს ორი პროფესია ერთმანეთს დავაკავშირო.

- იყვნენ ბუმბერაზი არტისტები, პრიმაარტისტები, რომლებიც არა მხოლოდ ნიჭიერებას, ინტელექტსაც ფლობდნენ და ა.შ. დღეს ეს ფენომენი აღარ არსებობს, რატომ?

- ვისაც თქვენ გულისხმობთ, გამონაკლისები იყვნენ. ამას დროც ხელს უწყობს. ჩვენ შორეულ წარსულზე ვსაუბრობთ. ასეთი მსახიობები ყოველ ეპოქაში კანტიკუნტად იყვნენ, მაგრამ წლების მანძილზე გარკვეული რაოდენობა გროვდება. დარწმუნებული ვარ, ამ სიაში ჩვენი ეპოქიდან რამდენიმე მსახიობი მოხვდება.

- დიახ, მაგრამ საერთო სენი - გაუნათლებლობა თეატრსაც შეეხო...

- საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში წიგნს დიდი ადგილი ეკავა. ერთ რამეზე შევთანხმდეთ - საკუთარ თავზე იმიტომ არ ვსაუბრობ, რომ დაგანახოთ, თურმე რა კარგად ვიქცეოდი. ხანდახან მგონია, რომ ჩვენი და ჩემი შემდგომი აღმოვჩნდით ბოლო თაობა, ვინც განათლება წიგნით მიიღო. დღესაც ვიცნობ წიგნიერ ახალგაზრდებს, უბრალოდ, მასობრივ მოვლენაზე ვსაუბრობ, რომელმაც თეატრშიც ჰპოვა ასახვა...

- დღეს თეატრი სხვაა, სხვა მოთხოვნებია, სხვა ესთეტიკა - ამ დონემ აიწია? ვითარდება?

- ვფიქრობ, ძალიან ცუდი მაშინვე ჩანს. კარგი რომ შეაფასო, დისტანცია სჭირდება. ერთი რამ მიხარია: დღევანდელი თეატრალური სურათი საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგი კარგია, ზოგი - უარესი, ზოგიც - უვარგისი... მაგრამ ამ მრავალფეროვნებას დისტანციით უნდა უყურო - რა დარჩება, რა განვითარდება, რა გამოდგება ერთჯერადი...

- სიახლეებს რევოლუცია ბადებს თუ ევოლუცია?

- ორივე. მეტი ეფექტი რევოლუციას აქვს, მაგრამ ეს საშიშიცაა - შეიძლება, მხოლოდ მოკლას და არაფერიც არ დაბადოს. ევოლუცია რაღაცას მოკლავს, მაგრამ, სამაგიეროდ, აუცილებლად დაბადებს.

- 13 წელია პეტერბურგში მოღვაწეობთ...

- პეტერბურგში-ც. ამას თქვენ კი არა, იმას ვუსწორებ, ვინც რაღაცეებს მაბრალებს. 3-4 თვე პეტერბურგში ვარ. ეს ის დროა, რაც ერთი სპექტაკლის დადგმას სჭირდება. დანარჩენ დროს თბილისში ვატარებ. ქუჩაში შემხვდებიან და უკვირთ - უი, დაბრუნდი?! საიდან დავბრუნდი, არსადაც არ წავსულვარ...

- როგორ თანაცხოვრობს ერთმანეთთან პეტერბურგისა და თბილისის თეატრალური მოთხოვნები, ტრადიციები?

- ВДТ ათწლეულების მანძილზე აწყობილი თეატრი იყო. შესანიშნავი სკოლა ჰქონდა, ძალზე სწორ პრინციპებზე აშენებული. ხელმძღვანელის გარდაცვალების გამო დღესაც კი ბევრი რამ არ მორღვეულა. დარჩენილია ძველი თაობა, რომელიც ახალს რაღაცას გადასცემს... ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ყოველ მეტრში და სანტიმეტრში ვგრძნობ - ყველაფერია გაკეთებული იმისთვის, რომ რეპეტიცია ჩატარდეს, სპექტაკლი იყოს. ხალხის ფსიქიკა იმაზეა მომართული, თუ რა შეიძლება თეატრში, ანუ, ჩემს სახლში და რა - არა.

რა ვქნა, ძალიან მრცხვენია, მაგრამ... იქ რომ ჩავედი, ლამის, ერთ კვირაში გამიჩნდა შეგრძნება, თითქოს, მთელი ცხოვრება მათთან გავატარე. აი, ასე დაიწყო ყველაფერი, თორემ იქ მხოლოდ ერთი სპექტაკლის დასადგმელად მიმიწვიეს.

თუ დამიჯერებთ, იქ რომ ვარ - აქაურობა მენატრება, და პირიქით... ბევრი ამის გამო ღიზიანდება, მაგრამ...

- ეს, ალბათ, ეჭვიანობით მოსდით.

- ცოლი მიშვებს და...

- არის ის, რასაც რეჟისორი თემურ ჩხეიძე არ აკეთებს თბილისში და აკეთებს პეტერბურგში?

- ჩემი თავი დავიჭირე, რომ იქ ნაკლებად მეშინია ხანგრძლივი და ძალიან ყურადღებით დასაკვირვებელი სცენის გაკეთება. აქ არ შეიძლება, ხელი გაუშვა მომენტს, თორემ - გაგეცქეცა და ამას თავის პლუსები აქვს. აქ სულ შემართული ხარ...

- ეს ქართველი მაყურებლის დადებითი მხარეა?

- დიახ და რუსი მაყურებლის ის თვისებაც ასევე დადებითია. პეტერბურგსა და თბილისში მუშაობა ერთმანეთისგან რადიკალურად არ განსხვავდება.

იქ რომ ვარ, აქაური მსახიობების პლუსებს უფრო ვგრძნობ...

- თქვენ ერთგვარი გამოსავალი "ანტიგონე"-ში იპოვეთ, როცა მოსკოვში ოთარ მეღვინეთუხუცესი ათამაშეთ.

- ძალზე სამწუხაროა, მაგრამ იდეა მე კი არა, ოლეგ ტაბაკოვს ეკუთვნის. თავიდან, როდესაც ტაბაკოვმა "ანტიგონე"-ს დადგმა შემომთავაზა, უარივით ვთქვი - ასეთ კრეონს თქვენთან ვერ ვიშოვი-მეთქი. არაფერი მითხრა და ერთ თვეში დამირეკა - კრეონი ვიპოვეო. ვინ-მეთქი, და - მეღვინეთუხუცესიო.

- თეატრებმა სარდაფებში, პატარა სივრცეებში გადაინაცვლეს. რა აქვს ამას ცუდი და რა შეიძლება კარგი ჰქონდეს?

- ეს პროცესი 30-40 წლის დაწყებულია. უხეშად რომ გითხრათ, პატარა სივრცე კინოკამერის მაგივრობას წევს. ამას თავისი პენი და ეფექტი აქვს. ცოტათი მიკვირს, როდესაც პატარა სივრცეში დიდი სცენის პრინციპებით დგამენ... მე და თქვენ სტადიონზე ასე ვერ ვილაპარაკებთ (უხეში მაგალითი მომყავს). არის რაღაც იმაში, როდესაც მსახიობი ახლოს მოდის... 40 მაყურებლიან დარბაზში სპექტაკლის დადგმის ერთი მცდელობა მეც მქონდა... რაღაც მომნუსხველი ამას ნამდვილად აქვს.

- პატარა თეატრებში ბევრია დამოკიდებული მსახიობზე. რეჟისორისთვის თითქმის შეუძლებელი ხდება, რაღაც ხერხებით დაფაროს მათი ხარვეზები - უნიჭობა, სიყალბე და ა.შ. პატარა თეატრში რეჟისორი, ამ მხრივ, უძლურია...

- თუ არ ჰყავს ისეთი მსახიობი, რომელიც ამას ვერ ფარავს - დიდ სცენაზე უნდა დადგას.

რაც უნდა მდაბლად ეჭიროს თავი, როდესაც ასეთ სივრცეში დგამს, უკვე პრეტენზიაა - მე, თქვენ, მაყურებელს გეუბნებით, რომ მყავს ასეთი მსახიობი; თავს უფლებას ვაძლევ, თქვენთან ახლოს დადგეს და ითამაშოს...

- ეს გზა თეატრის განვითარებაა?

- თეატრის განვითარება ფორმების ძიებაა.

მახსოვს, 30 წლის წინ მოსკოვში, რკინიგზის სადგურზე მივედით, ჩავსხედით "ელექტრიჩკაში". ჩვენ სკამებზე ვისხედით, სკამებს შორის კი მსახიობები თამაშობდნენ. ფანჯრებზე ჩამოფარებული იყო. მატარებელი ერთ-ერთ სადგურზე მივიდა, გახსნეს ფარდები და... სადღაც ვიღაცას ხვრეტდნენ (სპექტაკლი რევოლუციურ თემაზე იყო). მატარებელი დაიძრა, რაღაც მოქმედება მიდიოდა - გოგონამ წყალში დაიხრჩო თავი... უცებ, ეს ფარდები ასწიეს და ჩვენი მატარებელი მდინარეზე გადადიოდა... საოცარი ეფექტი იყო, როგორ ამთხვევდნენ, არ ვიცი. მოკლედ, რაღა არ ხდება...

ორი პიესა მაქვს ახლა და სულ ვფიქრობ, პეტერბურგში დავდგა (იქ დიდი სცენაა), თუ მარჯანიშვილში... ასე ვუდგები ამ საკითხს - სად რა სივრცეს მოითხოვს. რაც უფრო მეტი არჩევანი გვაქვს, უკეთესია...

არავინ არ უნდა თქვას - აი, ეს არის ქართული თეატრის გზა... დავანებოთ თავი გზების ძიებას... დავარქვათ ბილიკი. მწერლობაში ასე ხდება?! - რატომ წერ შენ პატარა ლექსებს რატი ამაღლობელო, არ ჯობია, დიდი პოემები დაწერო?...

თავისთავად, არჩევანი უკვე კეთდება მაშინ, როცა რეჟისორი პიესას ირჩევს დასადგმელად; არჩევანი გაკეთებული აქვს თეატრს, რომელიც წყვეტს, რას დგამს - ეს კი პოზიციაა. გაზეთშიც ხომ ასეა - რაღაცას არ ბეჭდავ და ეს იმიტომ არ ხდება, რომ კრძალავ, უბრალოდ, ახლა ეს არ გჭირდება. ეს პოზიციაა და არა ცენზურა. მაგრამ, როდესაც მკარნახობთ - როგორ დავდგა - უკვე ცენზურაა. შეგიძლიათ, დაიწუნოთ ჩემი სპექტაკლი, მაგრამ, ნუ გადამაკეთებთ, რა... (ჯერ ერთი, ვერ გადამაკეთებ).



თემურ ჩხეიძე

- ჩვენი გაზეთის 15 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ რობერტ სტურუასთან. რეჟისორის მოსაზრებების გამო, არა მაშინვე, არამედ რამდენიმე თვეში სხვადასხვა გაზეთებმა სპეციალური რუბრიკები შემოიღეს, სადაც სტურუას ლამის ანათემას გადასცემენ - "ლიტერატორები", "მხატვრები", "პოლიტიკოსები", მუშა, მეწვანილე და ა.შ.

- იცით, ზოგიერთ ასეთ გაზეთში კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატებია მოყვანილი, რომელიც მართლა საშინელება გამოდის. ვიცი სტურუას საუბრის მანერა. საუბრისას ყველაფერს მნიშვნელობა აქვს - ინტონაციას, გამომეტყველებას. ცოცხალ ეთერში ყველა სიტყვა რომც არ თქვა, მაინც გასაგებია. როცა ეს ნათქვამი იბეჭდება, სხვა ელფერს იძენს...

- რას იტყვით იმ ტენდენციაზე, რომელიც მუდმივად შეფობს საქართველოში - ყველამ ერთად უნდა გადაწყვიტოს, რა თქვას სტურუამ, რა თქვას ჩხეიძემ...

- ხალხს მოეჩვენა, რომ სტურუა შეურაცხყოფას აყენებს "ვეფხისტყაოსანს." ის საუბრობს სპექტაკლზე - შეგიძლია დაეთანხმო და შეგიძლია - არა. კატეგორიულად ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ სტურუას "ვეფხისტყაოსნისთვის" შეურაცხყოფის მიყენება ჰქონდა აზრად.

რობიკო იქ საუბრობს წამყვანზე, რომელსაც რაღაც არ მოსწონს და ა.შ. აი, ამაზე წყდება ციტირება და აღარ გრძელდება ფინალი, სადაც ირკვევა - ეს წამყვანი იმისთვის არის, რომ ყველას შეაყვაროს ნაწარმოები...

ამის შესახებ რობიკოსთან არ მისაუბრია და არც ვისაუბრებ (არც კი ვიცი, რა უნდა ვკითხო).

ერთი რამ კი უნდა ვთქვა - ჩვენ არ უნდა ვილაპარაკოთ, პირდაპირ უნდა დავდგათ. როდესაც საუბრობ, ისე არ გამოდის. რომ დადგამ, შეიძლება, მსგავსი არაფერი იყოს. დარწმუნებული ვარ, დადგამდა სპექტაკლს და არაფერი ისეთი იქ არ იქნებოდა.

- განსაკუთრებით, თქვენ გეცოდინებათ, რას ნიშნავს ეს. "ჩაქოლვის" პიონერი ხართ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, "ჯაყოს ხიზნების" გამო ლამის საქართველოდან გაგაძევეს... ასე რომ, ერთი საუკუნეა, არაფერი შეცვლილა. მაშინ - თქვენ, ახლა - სტურუა...

- გახსენება აღარ მინდა... მახსოვს, 3000-მდე წერილი მოვიდა ტელევიზიაში. აქედან 90 პროცენტი ჩემს გასახლებასა და დაწვას ითხოვდა, თან მისამართიც იცოდნენ - ლენინის მოედანზე უნდოდათ ამ რიტუალის ჩატარება. მახსოვს, უკვე "თეთრ კურდღელს" ვაკეთებდი და სამონტაჟოში ვიჯექი. ვიღაც კაცი მოვიდა. მოუტანია თავისი მედლები და ორდენები და ვესტიბიულში დაუყრია: სანამ "ჯაყოს ხიზნებს" არ გაანადგურებთ, ამ მედლებს აქედან არ ავიღებო.

რამ გამოიწვია ასეთი მტკივნეული რეაქცია, არ ვიცი. დღეს რომ ნახოთ ეს სპექტაკლი, დარწმუნებული ვარ, მკითხავთ - რა იყო იქ სასკანდალო... სტურუა შემიძლია დავაწყნარო - იმ მხრივ ვიყავი მასზე უარეს დღეში, რომ უკვე გაკეთებულზე მედავებოდნენ. სტურუას მხოლოდ ნათქვამზე ედავებიან.

იცით, რა მოქმედებს ცუდად ასეთ დროს? მსგავსი განზრახვა რომ არ გქონია და გაბრალებენ, რომ ერს აყენებ შეურაცხყოფას. დღეს იმ ფილმს რომ ვუყურებ, სულ სხვა, რეჟისორული პრეტენზიები მაქვს - ბევრ რამეს სხვაგვარად გავაკეთებდი.

- რა დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ ამ გამოცდილების შემდეგ - საზოგადოებრივ აზრს უნდა გაუწიო ანგარიში თუ არა?

- გათვალისწინება შეიძლება კიდეც, მაგრამ საკითხავია, უნდა დაჰყვე საზოგადოებრივ აზრს?! ეს თავად ადამიანმა, კონკრეტულად, უნდა გადაწყვიტოს.

მაქვს პიესა, "არტ". ვინც კი წაიკითხა, გაფართოებული თვალებით მიყურებდა, ამას რას დგამსო... ზოგმა მხოლოდ მაგრძნობინა, ზოგმა პირდაპირ მომახალა და ზოგმა - გამოხედვით - რას აკეთებო... მე კი კატეგორიულად მინდოდა დადგმა... ვიმუშავეთ და, საბოლოოდ, ჩემი დადგმებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეუმცდარი ვარ, მაგრამ არის რაღაც, რასაც სიტყვებით ვერ იტყვი, ის უნდა დადგა. მხოლოდ მე ვიცი, დაახლოებით მაინც, რა იქნება. ოღონდ, გულში და გონებაში ვიცი.

მხატვარს (მაგალითად გოგი მესხიშვილს) რომ ჰკითხო, მოყევი, რას დახატავო... ან, ყანჩელს მოაყოლო თავისი სიმფონია - ძალიან მაინტერესებს, რას მოჰყვება...

მიმაჩნია, რომ სპექტაკლზე წინასწარ საუბარი არ შეიძლება, ეს ძალან ინტიმური რამ არის.

- ხშირად ამ პოლიტიკისგან გამწარებული საზოგადო მოღვაწეები ქვეყნისთვის კრიტიკულ დროს (მაგალითად, ახლა) ერიდებიან პოზიციის გამოხატვას. ეს სწორია?

- კონკრეტულ ფაქტებზე პოზიციის გამოხატვა არ მინდა. ჩემი აზრით, რასაც გესაუბრებით - პოზიციაა. არ მსურს, აქტიურად ჩავება არჩევნებში და რომელიმე პარტიის მხარეს ვიყო. ამ ვითარების გამომწვევ მიზეზებზე მშვიდად დაკვირვებას ვარჩევ. უნდა გავერკვე, რა ხდება. ეს პროფესიული ჩვევა არ არის - ხასიათია...

უკვე იმდენი და ისე თავხედურად ლაპარაკობს, ისე ზუსტად იცის ყველაფერი, რომ... ასე კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვი. რამდენიმე რაღაც არის, რისი დაჩემებაც შემიძლია - ნამდვილად 1943 წლის 18 ნოემბერს დავიბადე, დედაჩემმა ეს გარკვევით მითხრა.

რა თქმა უნდა, მჯერა იმის, რითიც ბიბლია იწყება - გამოგვაგდეს, დასჯილები კოლონიაში ვართ და რატომ უნდა ვიყოთ ბედნიერები?

- ადრე გამოთქმული თქვენი მოსაზრება წავიკითხე იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში წესრიგის დამყარებასა და ტირანიას შორის ერთი ნაბიჯია. ახლაც ასე ფიქრობთ?

- მაშინ, ალბათ, იმ ჭკუაზე ვიყავი... ახლა სხვა რამე მინდა ვთქვა: მე მგონი, არაფერი ისე არ სპობს დემოკრატიას, როგორც ჭარბი დემოკრატია.

- შეხედულებათა ცვლა თქვენი პროფესიისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. ალბათ, ერთსა და იმავე სპექტაკლს რამდენიმე წლის წინ და ახლა სხვაგვარად გადაწყვეტდით...

- თან, სპეციალურადაც კი არა. ყოფილა ჩემს ცხოვრებაში შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მასალა გარკვეული ინტერვალის შემდეგ დამიდგამს. რაც დრო გადის, სპექტაკლში დასმულ პრობლემებს სხვაგვარად ვუყურებ. ეს ძალაუნებურად ხდება - ასაკი მემატება, ვბერდები...

- ზემოთ ხსენებული გამონათქვამებიდან, რომელი იყო შეცდომა?

- მოდით, ორივე მოსაზრებას ასე დავარქვათ - შიში. შიშმა ამიტანა იმის გამო, რომ თითქოს ეს დემოკრატიის დამხობის უმოკლესი გზაა... ასე მეჩვენება.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

"მამაკაცისთვის დიდი პატივია ღირსების ორდენის კავალრობა"

აზერბაიჯანის კულტურის მინისტრმა პირველი ორდენი შევარდნაძისგან მიიღო

თეიმურ სახანდილოვის ფოტო

კოლეგები პრესკონფერენციაზე

ვერა ნეფარიძე

მოსკოვში ქართული კულტურის დღეების წარმატებული პრეზენტაციის შემდეგ საქართველოს კულტურის მინისტრმა გუშინ აზერბაიჯანის ოფიციალურ დელეგაციას უმასპინძლა. მოსკოვში გამართული ქართული კულტურის დღეებისგან განსხვავებით, ოფიციალურ და არაოფიციალურ სტუმრებს თბილისში ქვეყნის პირველი პირიც დახვდა.

როდესაც საქართველოს კულტურის მინისტრს ვკითხეთ, მოსალოდნელი იყო თუ არა მოსკოვში ქართული კულტურის დღეებზე პრეზიდენტ პუტინის სტუმრობა, სესილი გოგიბერიძემ გვიპასუხა, რომ ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ქართულ დელეგაციას პრეზიდენტი შევარდნაძე უხელმძღვანელებდა. თბილისში ხომ ასე მკაცრად არ იცავენ სუბორდინაციის დაუწერელ კანონებს - გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი ფოლად ბიულბიულ ოღლი ჯერ ღირსების ორდენით დააჯილდოვა, მოგვიანებით კი მასთან ერთად ფილარმონიაში აზერბაიჯანელი მუსიკოს-შემსრულებლების კონცერტსაც დაესწრო. ამისათვის არ ყოფილა აუცილებელი თბილისში აზერბაიჯანის ახლად არჩეული პრეზიდენტის სტუმრობა. აზერბაიჯანის მთავრობაში გამოცდილი მინისტრი თბილისში უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკის კარნახით ჩამოვიდა.

იმის მიუხედავად, რომ ფოლად ბიულბიულ ოღლი მრავალი აზერბაიჯანული ტიტულის მფლობელია, ორდენები მისთვის არავის მიუნიჭებია. "არც საბჭოთა პერიოდში და არც მერე არანაირი ორდენი არ მოუნიჭებიათ ჩემთვის. ეს ჯილდო პირველია. ამას გარდა, მამაკაცისთვის დიდი პატივია ღირსების ორდენის კავალრობა", - აზერბაიჯანის კულტურის მინისტრმა ქართული ჯილდოს შესახებ შთაბეჭდილებები პრეზიდენტთან შეხვედრამდე სასტუმრო "მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე გაგვიზიარა. მინისტრს პრესკონფერენციაზე ახლდნენ კონცერტის მონაწილეები და აზერბაიჯანის მასმედიის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, ფოლად ბიულბიულ ოღლი ოფიციალური ვიზიტით თბილისში აპრილის ბოლოს უნდა ჩამოსულიყო. გუშინ ვიზიტის გადადებასთან დაკავშირებული დეტალები არ დაუკონკრეტებიათ. უბრალოდ, ითქვა, რომ მიზეზები ობიექტური იყო. თავად მინისტრმა კი სტუმრობის მიზეზი ასე ახსნა: "ყოველთვის მიხარია ჩემს მეორე სამშობლოში ჩამოსვლა. ჩემი სტუმრობის ძირითადი მიზეზი ამჯერად ის ჯილდოა, რომელიც პრეზიდენტმა შევარდნაძემ მომანიჭა". სტუმარმა, ასევე, ახსენა მარნეულის შეხვედრა, რომელიც დღეს არის დაგეგმილი. საქართველოს ხელისუფლებამ ჯილდოსთან ერთად აზერბაიჯანის კულტურის მინისტრს სხვა სახის სასიამოვნო სიახლეც დაახვედრა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე პირველად წარადგინეს თბილისის მერის დადგენილება, რომელიც თბილისში აზერბაიჯანის დრამატული თეატრის აღდგენას ითვალისწინებს. დადგენილების მიხედვით, უნდა შეიქმნას თეატრის სტრუქტურა და ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე გამოიყოს საჭირო რაოდენობის საშტატო ერთეულები. როგორც სესილი გოგიბერიძემ თქვა, თბილისის კინოსა და თეატრის ინსტიტუტს ჰყავს აზერბაიჯანელი სტუდენტების ორი თაობა. ასე რომ, თეატრის აღდგენა შემოქმედებით პრობლემებს არ უკავშირდება.

თავის მხრივ, აზერბაიჯანის კულტურის მინისტრმაც "მოიწონა თავი" და გვაცნობა, რომ მალე აზერბაიჯანში გამოვა "ვეფხისტყაოსნის" ემირ მამედლისეული თარგმანი. "რა თქმა უნდა, ეს არ არის რუსთაველის პირველი გამოცემა აზერბაიჯანში, მაგრამ მანამდე ჩვენთან არ არსებობდა ქართულიდან პირდაპირი თარგმანი", - თქვა ფოლად ბიულბიულ ოღლიმ. აღსანიშნავია, რომ გამოცემას დართული ექნება საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების წინასიტყვაობები. წიგნი მცირე ტირაჟით დაიბეჭდება.

წინ, ბოლშევიკური წარსულისაკენ!

ერდმანის პიესა სარდაფში

თეონა ჯაფარიძე.

ვაკის თეატრალური სარდაფის პუბლიკამ რეჟისორ ოთარ ეგაძის მორიგი სპექტაკლი იხილა - ნიკოლაი ერდმანის პიესა "თვითმკვლელი" უკვე მეხუთედ ითამაშეს მსახიობებმა, თუმცა სცენაზე ჯერ კიდევ საპრემიერო სუნი ტრიალებს.

ეს არ გახლავთ მხოლოდ სარდაფის მუდმივი დასის ძალებით დადგმული სპექტაკლი. მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილი მსახიობები ჯერ მხოლოდ "დამწყებების", "ახალგაზრდების" კატეგორიებს მიეკუთვნებიან, მაგრამ ერდმანის ამ პიესამ მათ საშუალება მისცათ, სცენაზე თავი ერთად მოეყარათ. მითი მსახიობთა ახალი თაობის არ არსებობის შესახებ, შეიძლება ითქვას, გაბათილდა. ყოველ შემთხვევაში, ოდნავ გამოიკვეთა ძველი თაობის კონტურები იმ დასისა, "ჟორდანიას" ჯგუფს რომ ეძახდნენ, და "ანა ფრანკს" თუ "სამანიშვილს" რომ დგამდნენ. ამ ძველი, პოპულარული ჯგუფისაგან განსხვავებით, მათ პირველად მიეცათ შესაძლებლობა, მაყურებლის წინაშე ერთად წარმდგარიყვნენ.

როგორც აღმოჩნდა, ჯგუფის წევრები ორი წლის წინ, თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაქსაქსულან სხვადასხვა სცენაზე თუ ისე, უსაქმოდ (როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე). რეჟისორი ოთარ ეგაძე იხსენებს: "ერდმანის ამ პიესის დადგმა ორი წლის წინ მინდოდა მათთან ერთად, როგორც სადიპლომო ნამუშევრისა. უბრალოდ, მსურდა მათ, როგორც მომავალ მსახიობებს, თავიანთი ძალები მოესინჯათ. მაგრამ, მაშინ ეს ტექნიკურად ვერ განხორციელდა. "სარდაფი" რუსთაველზე ამ პიესისათვის პატარა

ზვიად სხირტლაძე და დათო გოცირიძე

აღმოჩნდა. "ვაკის სარდაფი" კი ჯერ აშენებული არ იყო. მერე კი ყველა დაიქსაქსა. ეს იყო და ეს." ზუსტად ვერ გეტყვით, რუსთაველზე მდებარე "სარდაფის" სცენა აღმოჩნდა პატარა თუ "ვაკის სარდაფისა" - უფრო დიდი, მაგრამ ერდმანის "თვითმკვლელი" ამ დროსა და საზოგადოების დღევანდელ განწყობას რომ ეხმიანება, ცხადია. თუმცა, ოთარ ეგაძე ჯერუტად უარყოფს ამ მოსაზრებას და კიდევ ერთხელ მიმანიშნებს პიესის მოქმედების კონკრეტულ დროზე - 1924, 1925 წლებზე.

ბოლშევიკური წარსული სცენიდან, პირველ რიგში, სცენოგრაფიისა და მუსიკალური გაფორმების (მხატვარი ეკა სოლოღაშვილი, მუსიკალური გაფორმება კი, როგორც ყოველთვის, ზურა გაგლოშვილის) საშუალებით ხდება თვალშისაცემი: კედლის პანოზე ფრაგმენტულად იკვეთება სოციალისტური სახელმწიფოს გარიჟრაჟის პრესის აგიტაციური ლოზუნგები: "სამშობლო საფრთხეშია", ან კიდევ - "კულტურა მასების საკუთრებაა". ეგაძე უარყოფს, მაგრამ ვერ უმკლავდება დღევანდელი მაყურებლის პოლიტიზირებულ წარმოსახვას, რომელსაც, როცა ერდმანის პიესაში თვითშეიარაღებით კოლექტივზეა საუბარი, და იქვე ვინმე სტეფანესა და აგნესას მოიხსენიებენ, რატომღაც, ჩვენი თანამედროვე მასკულტურის ვარსკვლავები უდგება თვალწინ; დარბაზიც შესაბამისად რეაგირებს; ან კიდევ მთავარი გმირის, პოლკოვნიკოვის რეპლიკისას, - "ალო მთავრობაა?" - ამ როლის შემსრულებელი ზვიად სხირტლაძე გაკვირვებული მაყურებლისკენ რომ შემოტრიალდება და მრავალმნიშვნელოვნად ამბობს, - "დამიკიდა. მთავრობამ დამიკიდა", - მაყურებელს ვერაფრით დააბრუნებ შორეულ 1924–ში - ეს ხომ ჩვენი დროა. მაგრამ, ეს მხოლოდ წვრილმანებია. მთავარი მაშინ იწყება, როცა პიესის გმირი, რომელიც უმუშევრობის ნიადაგზე ცოლსა და სიდედრს აზის კისერზე (ცოლის როლს შესანიშნავად მოერგო მსახიობი ბუბა გოგორიშვილი, ხოლო სიდედრის სახით ასე გარდაქმნილი ნანკა კალატოზიშვილი სარდაფის პუბლიკამ, ვგონებ, პირველად იხილა), თვითმკვლელობას გადაწყვეტს. პირველად მას სწორედ ინტელიგენციის წარმომადგენელი გამოეცხადება (ნოდარ ცერცვაძისათვის ეს პირველი როლია თეატრში - მას სტუდენტური კინოს ეპიზოდებიდან იცნობს მცირერიცხოვანი მაყურებელი). ინტელიგენციის წარგზავნილს სამღვდელოება, მსუბუქი ყოფაქცევის ქალები თუ ვაჭრები მოჰყვებიან და იწყება სპეკულაცია, თუ ვისი სახელით დაწერს თვითმკვლელი სიკვდილისწინა წერილს; იწყება ბრძოლა, თუ ვის დარჩება ნადავლი-მსხვერპლი, რომ შემდეგ მისი სიკვდილი თავიანთი მიზნების მისაღწევად კარგად შეფუთონ და მოტყუებულ მასებს მიჰყიდონ. ხშირად გაისმის ფრაზები - "ინტელიგენციის სახელით მოვითხოვთ", ან კიდევ, - "მთავარია, ახალგაზრდები გადმოვიბიროთ" (სხვათა შორის, ეს რეპლიკა სპექტაკლში მღვდელს ეკუთვნის).

რეჟისორი ოთარ ეგაძე გვიმტკიცებს, რომ ერდმანის ნაწარმოებში არანაირი რეჟისორული კორექტივები არ შეუტანია და პიესა ხელუხლებელი სახით შემოგვთავაზა, მაგრამ მაყურებელთა დარბაზში ბავშვიც კი გრძნობდა (და ბავშვები რაოდენ გასაკვირი და არასასურველიც უნდა იყოს, რატომღაც, მასიურად ესწრებოდნენ მათთვის შეუფერებელ სპექტაკლს), რომ მაშინდელი ტყუილი საოცრად ჰგავს დღევანდელს. ისე კი, ალბათ, კარგია, რომ ორი წლის წინ პიესის დასადგმელად რეჟისორს შესაფერისი სცენა არ გააჩნდა, თორემ წინასაარჩევნოდ ამდენი ავადმყოფურად პოლიტიზირებული ადამიანი (მათ შორის, მეც) გულს ხომ ვერ მოიოხებდა.

ტანჯვის კუნძული აზერბაიჯანში

ანა კორძაია-სამადაშვილი

ლადო ფოჩხუა საკუთარ სახლში

"ეს იცი, რა არის?!" - დაიწყო მხატვარმა ლადო ფოჩხუამ აზერბაიჯანის ამბების მოყოლა. "წარმოიდგინე - კუნძული ნარგინი, ბაქოსთანაც".

ეს კუნძული ადამიანთა ტანჯვის ადგილია. 1914 წელს მასზე 1500-მდე ავსტრიელი და გერმანელი ტყვე იმყოფებოდა. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მათი არსებობა დაავიწყდათ (!), და უბედურები შიმშილით ამოწყდნენ; ალბათ, ერთმანეთსაც ჭამდნენ, ვინ იცის... 30-იანებში კუნძული დახვრეტის ადგილი იყო: "ხალხის მტრები" ზღვაში გაჰყავდათ, გზაში ბევრს გული უსკდებოდა, სიკვდილით დასჯამდე კვდებოდნენ. მერე იქ სამხედრო ბაზა იყო, ყაზარმების ნანგრევები დღესაც დარჩა. ამ კუნძულზე მხოლოდ აბზინდა იზრდება, ძლოკვები ცხოვრობენ, ხვლიკები დარბიან და კოღოები წუიან - ესა და ეს.

მთავარი ღირსშესანიშნაობა ხომალდების სასაფლაოა. ზღვიდან ისეთი სანახავი არაა, როგორიც ზემოდან, ბორცვებიდან - დაჟანგული ხომალდები ამოხოცილ ვეშაპებს ჰგავს. "ჩემთვის ეს ბოროტების იმპერიის ნაშთები იყო, რომელმაც მრავლის ცხოვრება შეიწირა, მრავლის ოცნებები გაჰყვა – მათ შორის, ჩემიც - სოხუმი. და აბზინდას დაუვიწყარი სუნი დგას. ამბობენ, რომ ის უბედურების თანმხლებია, და ეს ასეა; და ყველგან ძლოკვები დასრიალებენ. არ მეგონა, რომ შევეჩვეოდი, მაგრამ ორ საათში დამავიწყდნენ".

ესეც პეიზაჟი, სადაც წელს მთელი კავკასიის მასშტაბით, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, "ლენდ-არტი" განხორციელდა. საქართველოდან მასში გუგა კოტეტიშვილი და ჩვენი დღევანდელი სტუმარი ლადო ფოჩხუა იღებდნენ მონაწილეობას.

"ჩემთვის ეს კუნძული ასე დაიწყო,- მიამბობდა ლადო, - თეთრი სანაპირო, ნიჟარები, ზეთისხილის კოხტა ბაღი, რაღაც სცენა, ზაფხულის ამფითეატრი, მოკლედ, ოდისევსი ვიყავი ითაკაზე. იქ ვარდისფერი შუქურა დგას, სადაც ერთი რუსი მოხუცი და სამი ძუკნა ცხოვრობს. ჯოჯოხეთი მერე იწყება, პოსტმილიტარისტული. სამოთხიდან ჯოჯოხეთში აღმოვჩნდი".

სწორედ აქ დაიწყეს მსოფლიოს სხვადასხვა მხრიდან ჩასულმა ხელოვანებმა თავიანთი პროექტების განხორციელება. "დავფიქრდით, ვინ რას ვიზამდით. შესანიშნავი ნამუშევრები გამოვიდა - ძალიან განსხვავებული. ყველამ თავის სამშობლოს ნაწილი მოიტანა. ფრანგმა დიდი ფიცრებისგან დალეწილ ყაზარმაში ბუდე გაიკეთა - სიცოცხლის კერა. ძველი ფიცრები იყო და ერთზე დიდი ასოებით "სოხუმი, ბათუმი, თბილისი" ეწერა. ლატვიელმა ხელოვანმა გაიხადა, წყალში შევიდა, მიუწვა დაუცველი ჟანგიან ხომალდს და მოეხვია. ვილნიუსელი ახალგაზრდა, უბრალოდ, ხტოდა. თავს დესანტელად გრძნობდა. ის ხტებოდა - შუქურიდან, ყაზარმებიდან, 5 მეტრის სიმაღლიდან."

ლადო კი წერილებს წერდა: ჟანგზე – ცარცით, კედლებზე - ნახშირით. თავის მეგობარს, ამერიკაში მყოფ გოგონას სწერდა "წერილებს კუნძულიდან". მერე კი კრემატორიუმი გააკეთა – ხვლიკების და თოლიების ნარჩენებს საღამო ჟამს ყველას თანდასწრებით ნაპოვნი ნავთობით მოუკიდა ცეცხლი.

ისე, სად ლადო და სად - აზერბაიჯანი? "არტ კურტიზანი ვარ," - გაეცინა ლადოს. "ყველაფერს ვაკეთებ კონცეპტუალიზმიდან აკადემიზმამდე - კუდიანი ვარსკვლავივით დავეკიდე და აღარ მოვდივარ".

გამოფენა ქარვასლაში

ახალგაზრდა თეატრალური მხატვრები წარმოგვიდგენენ...

დიმიტრი როგავა

23 ოქტომბერს თბილისის ისტორიულ მუზეუმში (ქარვასლა) გაიხსნა და თვის ბოლომდე გასტანს ახალგაზრდა თეატრალურ მხატვართა (სცენოგრაფთა) გამოფენა.

გამოფენის მოწყობას ორგანიზება გაუკეთა ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალური ხელოვნების ახალგაზრდულმა კავშირმა, რომელსაც დიდი წინაპრის შვილთაშვილი, თავად საინტერესო თეატრალური მხატვარი, ნინო გუნია ხელმძღვანელობს (თავმდაბლობის უიშვიათესი მაგალითით, თავად ნინომ საკუთარი ნამუშევრები არ გამოფინა და ასპარეზი სხვებს დაუთმო).

დიდი ხანია, თბილისს არ ახსოვს ასე ერთად შეკრებილი ნიჭიერ შემოქმედთა თაობა.

წარმოდგენილ ავტორებში ზოგიერთი უკვე არათუ ცნობილი და აღიარებული მხატვარია, არამედ საკმაოდ პრესტიჟული თეატრების მთავარი სცენოგრაფები არიან: შოთა გლურჯიძე - თეატრალური სარდაფის, ნინო ჩიტაიშვილი - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის, ხოლო გიორგი ნადირაძე -გრიბოედოვის სახელობისა და თავისუფალი თეატრების.

ზემოთ ჩამოთვლილ მხატვართა ნამუშევრებში ახალი და საინტერესო მოულოდნელობას სრულიადაც არ წარმოადგენს, თუმცა არ შეიძლებოდა გულგრილი დაეტოვებინა ვინმე უკვე დადგმული სპექტაკლების ("ვენეციელი ვაჭარი", "ფიგაროს ქორწინება", "ძია ვანია") ესკიზებს. ამ უკანასკნელისათვის შოთა გლურჯიძე წლევანდელ "ოქროს ნიღაბზე" საუკეთესო მხატვრად აღიარეს.

საერთოდ, მთელი გამოფენა განმსჭვალული იყო ახლებური აზროვნებით, საინტერესო სცენიური გადაწყვეტებით, სივრცისა და ნაწარმოების სულის უჩვეულო აღქმით...

ერთადერთი გულდასაწყვეტი ისაა, რომ თუ რომელიმე ჯერ გაუხორციელებელ პროექტს შესრულება ეღირსა, ძნელად თუ მოიძიებენ თეატრები მათ დასაფინანსებელ თანხებს. არადა, რა დასანანია, როცა, უსახსრობის გამო, მხატვრებს ხშირად უწევთ კომპრომისებზე წასვლა. ხსენებული გამოფენა სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ის შემოქმედთა ჭეშმარიტ ნაზრევს ასახავს.

"შუშის სამხეცე" (ვირტუალური ვერსია), "გუშინდელნი" (ნიღბები), "შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე" (ნიღბები და კოსტუმების ესკიზები), "ჰამლეტი", "სეჩუანელი კეთილი ადამიანი", "ჯადოსნური ფლეიტა", "ქარიშხალი", "კავკასიური ცარცის წრე", "სამოთხის ჩიტი", "თვითმკვლელი"... - ეს არასრული სიაა იმ ნაწარმოებებისა, რომლებსაც გამოფენა გვთავაზობს. ამ ნამუშევრებზე, ალბათ, მომავალში ხელოვნებათმცოდნეები ბევრს იმსჯელებენ.

გამოფენა გაიხსნა და დამთვალიერებელს ელოდება. ვურჩევ მხატვრობისა და თეატრის მოყვარულებს, აუცილებლად ეწვიონ მას და ნიჭიერი ახალგაზრდების ნატიფი ხელოვნებით დატკბნენ.

"გავაჯაზე" და ეგ არის

დალი კუპრავა

თეიმურ სახანდილოვის ფოტო

ზეზვა ღუღუნიშვილი ოტელოს მონოლოგს კითხულობს

ჟურნალისტები - ელზა ჯმუხაძე, მარიკა წულაძე და ლევან ლომაძე შეამხანაგდნენ და გადაიღეს მეტ-ნაკლებად ცნობილი პარლამენტარების ფოტოები - ვინ ოტელო იყო, ვინ ნაპოლეონი, ვინ გესტაპოს შეფის კალტენბრუნერის მუნდირში გამოწკეპილი; იყვნენ დარტანიანებიც, ანჟელა დევისებიც და პოლიცმაისტერებიც. თავდაპირველად ამ ფოტოების აუქციონის იდეა დაბადებულა და შემდეგ, - ცოტა რომ დავასვენოთ და გავამხიარულოთ პოლიტიკოსებიცო, - შოუს იდეაც წამოსულა. სცენარისტის ან მსახიობების დასაქირავებლად ჟურნალისტებს ფული ვინ მისცა, მაგრამ ისინი უფულობამ ვერ შეაჩერა და საღამოს საკუთარი ძალებით გაუმკლავდნენ. ერთი ის იყო, რომ ხარჯი მაინც გასწიეს და აუქციონზე შემოსული თანხა ამას როგორ აუვიდა, არ ვიცი. შოუ ჩატარდა.

"რა იმათი ბრალია, რომ კარგი ჩანაფიქრი დონეზე ვერ განახორციელეს," - დაინდო ორგანიზატორ-შოუმენები პოეტმა იზა ორჯონიკიძემ, მაგრამ ბოლოს მასაც უღალატა მოთმინებამ და შოუს დასრულებას ვეღარ დაელოდა.

"მომწონს იმდენად, რამდენადაც ჟურნალისტების გაკეთებულია, ნუ ვიქნებით ძალიან მომთხოვნები," - ასე შეაფასა "ნოანოაში" ჟურნალისტების მიერ მოწყობილი პოლიტიკური შოუ-აუქციონი ჟურნალისტმა ნანა დადიანმა, რომელმაც ფოტოზე შაკირას საბჭოთა ვერსია - ლუდმილა ზიკინა განასახიერა.

მე სწორედ ამავე მიზეზით არ მომეწონა, რომ შოუ ჟურნალისტების ნახელავი იყო. რა ვქნა, ვერ ვეგუები გამოთქმას, - "გემოვნებაზე არ დავობენ," და მომწონს, რომ "პური მეპურემ უნდა გამოაცხოს".

ნუ ვიდავებთ, მაგრამ, როგორც ტუსოვკების უსტაბაში, ვანიკო თარხნიშვილი იტყვის, ვიყოთ იმდენად "ქულურები" (მაგრები - ინგლ. cool-იდან, რუს. "კრუტოი"), რომ შეურაცხყოფა მაინც არ მივაყენოთ ერთმანეთს და "პროფესიონალიზმი" საღადაოდ არ გავხადოთ.

კონცეპტუალურად ჩანაფიქრში ჟურნალისტების გადაწყვეტილებას ვერ დაინუნებდი: ქვეყნის გადასარჩენად იუმორი მოვიხმოთ, პოლიტიკოსები და საზოგადოება დაძაბულობისგან გავათავისუფლოთ.

კი ბატონო, წინასაარჩევნოდ გადავიქცეთ მშვიდობის მტრედებად, მაგრამ საფრენად ორი ფრთა მაინც ხომ უნდა გვქონდეს, გეზის მისაცემად თავ-ნისკარტზე რომ არაფერი ვთქვათ?!

სვეტი მესვეტეს და მესვეტე გაზეთსო, - ნათქვამია და სწორედ გაზეთისა და პროფესიისადმი გულშემატკივრობამ გადამაწყვეტინა, თორემ, კაცმა რომ მკითხოს, - მაინც რა იყო იმ "ნოანოაში" განსხვავებული, რაც სხვა "ტუსოვკებზე" არ ყოფილა, საღერღელი რამ აგიშალა და, ღამის, მესვეტეობა მოგანდომაო, - ვეტყვი, - ბევრი არაფერი, ცოტა უფრო ნაკლები გემოვნება და პროფესიონალიზმი.

ხომ არაფერს ვამბობ ზოგიერთებისგან სიტყვების რახუნზე, თემისა და პრობლემის აქტუალობის ვრცლად წერის ოსტატობაზე, რომელსაც მკითხველის ინტერესი ვეღარ აუდის და წაუკითხავი რჩება?! ეს, ასე თუ ისე, მაინც ჯდება ჟურნალისტიკის ჩარჩოებში და გემოვნებაზე ან ჰონორარზეა დამოკიდებული; ან მარტივად, პატივმოყვარეობაზეც, - ბევრს დავწერ, ბევრი მექნება და ბევრიც ვიქნებიო. პარლამენტარების ნაწილიც ხომ ასე იქცევა – მთავარია, ბევრჯერ და ბევრი ილაპარაკო, რომ ხალხს დაამახსოვრდე. არც იმას ვახსენებ, რომ დროა, ზოგიერთებმა "მადლობა მოუხადა" და "ბოდიში გადაუხადა" გაარჩიონ ერთმანეთისგან.

მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ, რაც ჟურნალისტის საქმე არ არის, ჟურნალისტმა არ უნდა გააკეთოს, რაგინდ სასიკეთო მიზნებიც უნდა ამოძრავებდეს. სირცხვილი სულაც არ არის, რომ ჟურნალისტი შოუსთვის კარგ სცენარს ვერ წერდეს. არც ის არის თავისმომჭრელი, რომ სტანისლავსკის სამსახიობო სკოლა არ ჰქონდეს გავლილი, მაგრამ თანაგრძნობის და თანამონაწილისგან დაკრული ტაში მოწონებად არ უნდა ჩათვალოს. ვითომ მიმტევებლობით და, - "რა მოხდა, სხვა რა, ყველაფერი კარგადაა?"- ამ გზით არ გაიფუჭა საზოგადოებამ საზოგადოება? იგავ-არაკის მამლისა და გუგულის არ იყოს, დავაჯერეთ ერთმანეთი, რომ კარგად ვმღერით. ვუძახოთ ერთმანეთს სარაჯიშვილები და სოტკილავები, რა გამოვა, ვნახოთ. თუმცა, გამოსულია და ეგ არის - ხეირიანი ბევრი ვერაფერი.

არჩევნებს რა ვუთხრა, თორემ რა მეცირკებოდა

დალი კუპრავა

თბილისის ცირკი "გაცოცხლდა"

გიორგიძე ბახტაძის ფოტო

როცა ბადრი პატარკაციშვილის მორიგი შოპინგის ერთ-ერთი შენაძენი ცირკი გახდა, სხვებთან ერთად მეც მეეჭვებოდა, ალბათ, შენობის სტრატეგიული მდებარეობა სხვა ფუნქციით დაიტვირთება-მეთქი. გუშინ სახალხო ზეიმად დაგეგმილმა ცირკის სეზონის გახსნამ ეჭვი გამიფანტა. ცირკთან ავტობუსები იდგა წარწერით "ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი"; დარბაზში არსებული წარწერებიც იმას მიგვანიშნებდნენ, რომ სოციალურად დაუცველნი და უპოვარნი არ დავიწყებიათ, ცირკის შესასვლელთან გამართული ტაშ-ფანდური ხომ სიცოცხლეს მოგანდომებდა. გუშინ ცირკში საცირკო წარმოდგენა ნამდვილად შედგა. იმ ცირკის რა მითქვამს, "ფოკუსნიკი" თუ არ გამოვიდა. პირველივე ნომერი, რომელიც ორკესტრის მოპირდაპირე ლოჟაში გათამაშდა, მართლაც, კოპერფილდისეული ოსტატობით შესრულდა. სეფიაშვილის მუშურ-გლეხური საარჩევნო ჰიტის შემდეგ ყველაზე მაჟორული და იმედისმომცემი, რაც საქართველოში გაისმა, პრეზიდენტის "საცირკო" ფრაზა იყო, - რაკი ცირკის აღდგენას ვეღირსეთ, აწი რაღა გვიჭირს, საქართველო გაბრწყინდებაო. ამავე სიტყვაში ის სოციალურ პრობლემასაც შეეხო და საქართველოს მოსახლეობას აღუთქვა, რომ ბილეთის ფასი ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იქნება. ამის შემდეგ ჩამობნელდა და როცა კვლავ განათდა, პრეზიდენტი ლოჟაში აღარ იყო.

ფედერიკო ფელინივით მიყვარს-მეთქი ცირკი, - ვერ დავიკვეხნი. ვერც ჩარლი ჩაპლინის საცირკო აკადემიზმზე მექნება პრეტენზია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ცირკი ესტრადა არ არის, თუნდაც - ქართული. ცირკის არენა თავად ზეიმი უნდა იყოს და მას "არტიმედის" ვოკალური შედევრები ხიბლს ვერანაირად ვერ შემატებენ. სტეფანეს, "ქუჩის ბიჭების", მაია ჯაბუას ნამღერი ქართული ლირიული სიმღერები - დაკარგულ სიყვარულზე, აუხდენელ ოცნებაზე და ცრემლებით დანამულ თვალებზე, ლელა წურწუმიამ მისთვის ჩვეული ცეცხლოვანი რიტმით გამოაცოცხლა და ბავშვებს და უფროსებს კვლავ პრეზიდენტისეული ფრაზის განწყობა დაუბრუნა. აჩი მეფარიძემ ადამიანის ოცნებას ფრთები შეასხა და "გაასწორა" - თეთრფრთებშესხმული, არენის თავზე სულ ინგლისური მღერა-მღერით დაფარფატებდა.

არენაზე კი შიგადაშიგ, ცეკვა-სიმღერებს შორის ნამდვილი ეკვილიბრისტები, ჟონგლიორები, კლოუნები და ცხოველებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ისეთი კლასისა, რომ კიდევ ერთხელ გვახსენებდა ჩვენი განვითარებადი, მაგრამ უკვე გზაგაკვალული ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

შეგნებულად ავარიდე თავი ისეთ ტრაფარეტებს, როგორიცაა, - "ჩვენ რალა ცირკი გვინდა;" "ცირკი არ არის მთელი ქვეყანა, პარლამენტი და კანცელარია?" (ეს უკანასკნელი ვოლიერშიცაა ჩასმული, როგორც არენაზე - ლომ-ვეფხვები).

ბადრი პატარკაციშვილს ცირკის ქალაქისთვის გადაცემაზე ჯერ არაფერი უთქვამს. ერთადერთი ეროვნული ჯერჯერობით ზოოპარკი დაგვრჩა; და თუ მასაც ცირკის ბედი ეწევა, ცხოველების ჩანაცვლება იქაც "არტიმედელებს" მოუწევთ.

ერთი სიყვარულის ამბავი

დღეს ანი ჟირარდო 72 წლის გახდა

სალომე კიკალეიშვილი

"ძალიან უშნო ვარ, მაგრამ აბა, ვისთვისღა უნდა გავლამაზდე?" – კითხულობს 72 წლის ანი ჟირარდო.

მათ ერთმანეთი გადასაღებ მოედანზე გაიცნეს. არადა, სულ რაღაც 10 წლის წინ, მედიცინაზე შეყვარებულს, ბებია-ქალობა ჰქონდა გადაწყვეტილი. დღეს კი... თვით ლუკინო ვისკონტიმ მიიწვია რომში გადაღებებზე; "როკო და მისი ძმები" - ასე ერქვა ფილმს. იანვრის სუსხიან დილას რომში ჩასული მსახიობი, ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანდა, რადგან იქ, სულ უცხო გარემოში არც ისე კმაყოფილი რეჟისორი (ნადიას როლი სხვა მსახიობს უნდა შეესრულებინა და მისგან უარის მიღების შემდეგ გადაწყდა ანის ბედი), უაზროდ ღამაზი, ახირებული ალენ დელონი და დათვივით გაბურძგნული, მოლუშული იტალიელი ვარსკვლავი რენატო სალვატორე დახვდნენ. ეს ყველაფერი ცოტათი აშინებდა კიდეც დიდთვალება, პატარა, ფრაგ ქალბატონს. თუმცა, დრო მალე გავიდა და უკვე გაშინაურებულ ანის რენატომ სულ რაღაც ორი დღით მილანში გასეირნება შესთავაზა. ანის აღარასოდეს დაავიწყდება რიცხვი 19 – მათი გამგზავრების თარიღი და ეს პატარა გასეირნება, რომელიც ქორწინებით და მშვენიერი ქალიშვილის ჯულიას დაბადებით დამთავრდა. დახვეწილი ფრანგი ქალი ნამდვილ იტალიელ სენიორას დაემსგავსა - ხშირად შეხვდებოდით მას მხარზე გადაკიდებული ბაზრის დიდი ჩანთით გამყიდველებთან აზარტულად მოვაჭრეს.

საღამოობით ლაზანიასა და სხვა იტალიური კერძების მომზადებით ირთობდა თავს. საკმარისი იყო ცოტა ხნით დაშორებოდა განუყრელი წყვილი ერთმანეთს, რომ ანის უმალ შიში იპყრობდა: "ნეტა რას შვრება ახლა რენატო? ის, ხომ ასეთი დაუდევარი და ჯიუტი, რისკიანი და საშინლად ხიფათიანია". სიცოცხლით სავსე რენატო კი ხშირად უმეორებდა: "რისკიანი თავგადასავლები საჭიროა, აბა, თავი ცოცხლად ხომ უნდა ვიგრძნო"?! არანორმალური სისწრაფის მოყვარული საჭესთან, გიჟი მოთხილამურე, ძალიან აზარტული; მაშინაც კი, როდესაც პატარა ჯულიას ეთამაშებოდა, ისე ყვიროდა და ედავებოდა, თითქოს დიდ ადამიანს ეთამაშება მთელ ქონებაზეო; ხმაურიანი ოჯახი, ბევრი მეგობარი, ვნებიანი, მოსიყვარულე წყვილი და უამრავი ცარიელი ღვინის ბოთლი – ამაზე ოცნებობდა რენატო და სწორედ ასეთი იყო მათი ოჯახი.

ანი თავისი ცხოვრებით კმაყოფილი იყო, თუმცა კინო, გადასაღები მოედანი ისეთი სანატრელი იყო... მოულოდნელად ანის პარიზში, მარსელ კარნესთან ეპატიჟებიან გადაღებებზე. ანი უმალ თანხმდება. "იქნებ უკეთესიც იყოს," - რენატო მიყოლებით ხსნიდა ვისკისა და ღვინის ბოთლებს. ცხოვრება გართულდა კაცთან, რომელიც ხშირად უგონოდ მთვრალი იატაკზე იძინებდა. "იქნებ დრომ, განშორებამ უშველოს," - ფიქრობდა ანი.

პროფესია, რომელმაც ერთ დროს ორი ადამიანი ერთმანეთს დააკავშირა, მათი განშორების მიზეზიც გახდა. ანის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. იგი ბევრს მუშაობს გამოჩენილ რეჟისორებთან: მარსელ კარნესთან, კლოდ ლელუშთან... მასზე პრესტიჟული გაზეთები გამუდმებით წერენ, გავლენიანი კრიტიკოსები გამუდმებით ახსენებენ... "სად არის თქვენი ქმარი? რატომ აღარ თამაშობს კინოში"? - ეკითხებოდნენ ცნობისმოყვარე ჟურნალისტები. რენატო სულ უფრო და უფრო ნაკლებად ჩნდებოდა ეკრანზე. ცოლის ასეთი პოპულარობა ტემპერამენტიან იტალიელს "მესიე ჟირარდოდ" გადაქცევის შიშს ჰგვრიდა. ის ნელ-ნელა ჩამორჩა ცოლს და, მიუხედავად ანის მუდარისა, აღარც პარიზში ჩადიოდა. სამაგიეროდ, გამუდმებით ურეკავდა, ღამღამობით მთვრალი: "ანი, ჩამოდი, ცუდად ვარ, მჭირდები..." ხშირ შემთხვევაში ანი ტოვებდა ყველაფერს - ბავშვს, გადაღებებს და პარიზი-რომის რეისით უმალ მათ სახლში, ფორტე დეი მარლიში ჩნდებოდა.

თხილამურებით მთაში სრიალი, რენატოს ბედნიერებისგან გაბრწყინებული თვალები... შემდეგ ისევ რომი-პარიზი და ისევ მარტოობა, გადაღებები... ხშირად მორიგი "გამოძახებისას" ჩასულს, გაბურძგნული რენატო რომელიმე ბარში მაგიდაზე ჩაძინებული უნახავს. ძალით გამოფხიზლებულს კი, ვეღარც უცვნია ანი, - "ვინ ხართ? სად მიგყავართ?" "არა უშავს, ნუ შეგეშინდებათ. ასეთი რამ ხშირად მოსვლია; გაუვლის",- აწყნარებდა ანის ბარმენი. დროდადრო მათი შეხვედრები სულ უფრო მძიმდებოდა. სიცოცხლით სავსე, ცელქი, დათვივით მოუხეშავი რენატო ნელ-ნელა პატარა ბავშვს ემსგავსებოდა - დაახლოებით ისეთს, როგორიც ჯულია იყო ბავშვობაში. მასთან სეირნობა რისკს კი არა, ბავშვზე ზრუნვასა და მის მოვლას ჰგავდა. იგი აღარც რეჟისორებს ახსოვდათ. "შენი დრო ჯერ არ დამდგარა. მალე, მალე ყველაფერი კარგად იქნება",- ხშირად უმეორებდა ქმარს ანი. თუმცა, რენატომ კარგად იცოდა, რომ მისი დრო უკვე წავიდა, და ეს დრო აღარასოდეს დაბრუნდებოდა. როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა რაღაცის შეცვლა, მას "მისიე ჟირარდოსი" შეეშინდა. ახლა კი.....დაბერდა, გალოთდა, დამძიმდა. მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმი იყო "როკო და მისი ძმები", რადგან სწორედ ამ ფილმით გახდა პოპულარული და სწორედ ამ დროს გაიცნო თავისი ერთადერთი სიყვარული –ანი ჟირარდო.

1988 წელს ხმელთაშუა ზღვაზე ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად დასასვენებლად ჩასულ ანის უეცრად ატყობინებენ: "რენატო სალვატორე გარდაიცვალა"... რა იგრძნო იმ წუთას? - სიცარიელე, რაღაც დიდი, მძიმე ტვირთისგან გათავისუფლება, რომელსაც, თითქოს, მთელი ცხოვრება პატარა ლოკოკინასავით ზურგით დაატარებდა.

ლონდონში კარგი დარია

ნინო ჟანიშვილი

Frieze Art Fair – ლონდონის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა ყველასათვის ყველაფერს ყიდის. თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობა ლონდონში პირველად მოეწყო. აქამდე ბრიტანეთის დედაქალაქი უცხოური გალერეების და კურატორების მოზიდვით თავს არ იწუხებდა, ამჯერად კი ლონდონს 100-ზე მეტი მსოფლიოს წამყვანი სამხატვრო გალერეა ეწვია ევროპიდან და ამერიკიდან. რიჯენტ პარკში გალერეები ყიდიან ახალ-ახალ აღმოჩენებს და პოპულარული, "ვარსკვლავი" მხატვრების ნამუშევრებს.

ბაზრობა ჟურნალ Frieze Magazine-ის გამომცემლებმა - მეთიუ სლოთოვერმა და ამანდა შარფმა გახსნეს. ორგანიზატორებმა ბაზრობის მოსაწყობად ლონდონის რიჯენტ პარკში 7 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი დაიქირავეს. ბაზრობის საგამოფენო სივრცის მოწყობა კი არქიტექტორ დევიდ აჯაის მიანდეს. არქიტექტორმა უნივერმაღის ტიპის მაღალი შენობა ააგო, რომელსაც გამჭვირვალე სახურავი აქვს. მომხიბლავია თავად რიჯენტ პარკი ლამაზი ხეებითა და მწვანე მოლით. თანაც, ამ დღეებში ბრიტანეთის დედაქალაქში მზიანი და გრილი ამინდი ყოფილა - შესანიშნავი გარემო ხელოვნების ნიმუშების დასათვალიერებლად და შესაძენად.

ბევრი თვითმხილველი მიმომხილველი წერს, რომ ამიერიდან ფრიზის არტ-ბაზრობა შემოდგომის სეზონის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდება. ეს ბაზრობა ისეთივე პოპულარობას მოიპოვებს, როგორც - Art Basel Miami Beach (რომელიც ზამთარში იმართება) და ნიუ იორკის Armory Show (რომელიც გაზაფხულზე იმართება). ვარაუდობენ, რომ ფრიზის ბაზრობა დაჩრდილავს ბერლინის, პარიზის, კიოლნის და ვენის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობებს, რომლებიც, ასევე, შემოდგომაზე იმართება. "ლონდონი უფრო ენერგიული ადგილია, ვიდრე კიოლნი, ბერლინი ან მილანი," – ამბობს ბრუნო ბრუნეტი, ბერლინის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობის დირექტორი.

ფრიზის ბაზრობაში ლონდონის ყველა ცნობილი და წამყვანი გალერეა მონაწილეობს. გამოფენილია 1000-ზე მეტი თანამედროვე ბრიტანული ხელოვნების ნიმუში. თუმცა, გაზეთ "გარდიანის" ხელოვნების კრიტიკოსის აზრით, თანამედროვე ბრიტანული ხელოვნება დიდ გასაჭირშია. "ბრიტანეთში, – წერს ადრიან სერლი, - მთელი ყურადღება მიმართულია YBA-ის (ახალგაზრდა ბრიტანელი მხატვრები) თაობაზე. მაგრამ, ახალი თაობის ბრიტანელ მხატვრებს მყიდველები არ ჰყავთ. ბრიტანულ ხელოვნებას ძალიან ცოტა კოლექციონერი ეტანება. ამიტომ ბრიტანელი მხატვრები საზღვარგარეთ მიდიან, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ბიენალეებში - იქნებ საერთაშორისო დონის კურატორებმა მოჰკრან თვალი მათ ხელოვნებას. მათი ნამუშევრები კერძო კოლექციებშიც ხვდება. თუმცა, ამ კერძო კოლექციების მფლობელები ისევ მუზეუმების დირექტორები არიან. მოძებნონ და შეარჩიო კოლექციონერი, ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც იმ გალერეის ზუსტად შერჩევა, რომელსაც თავს ანდობ. ეს რისკიანი ბიზნესია. ბრიტანეთში თანამედროვე ხელოვნებას ერთადერთი ადამიანი – ჩარლზ საათჩი ყიდულობს".

ლონდონის ბაზრობა მხოლოდ სახალისო სანახაობა არ გახლავთ - მონაწილეთა გადასახადის წყალობით, ბაზრობის შემოსავალმა 1,3 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. გარდა ამისა, არაერთი ობიექტი გაიყიდა საკმაოდ მაღალ ფასში. ჯეი ჯოპლინმა, გალერეა "ვაით ქიუბის" დირექტორმა 95 ათას ფუნტ სტერლინგად გაყიდა ძმების - კეიტ და დინოს ჩეპმენების ბრინჯაოს ქანდაკება "ჯვარცმა". ლაიფციგის და ბერლინის გალერეებმა კი წარმატებით გაყიდეს ნეო რაუხის ტილოები. ამ აღმოსავლეთგერმანელ მხატვარზე დიდი მოთხოვნაა – ლონდონის ბაზრობაზე რაუხის თითო ნამუშევარი 120 ათას დოლარად ფასობდა.

ამიერიდან ლონდონში ფრიზის ბაზრობა ყოველწლიურად გაიმართება.

ბაზრობის ექსპონატი – დედოფალი ელიზაბეტი

ათეულები

კვირის გესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

წიგნი	ავტორი	გამომცემლობა	რაოდენობა
1. საბავშვო ენციკლოპედია		"მაყურ სულაკაურის გამომცემლობა"	8
2. "დღეს" (კრებული)		"რუსთაველი 2 პრინტი"	7
3. "ვეძიო და ავაფრიალო"	რეზო გაბრიაძე	"სანი"	6
4. "შერეკლები"	რეზო გაბრიაძე	"სანი"	6
5. "გოდორი"	იოარ ფილაძე	"რუსთაველი 2 პრინტი"	6
6. "საბოლოო პორველი"	გურამ დოჩანაშვილი	"სანი"	5
7. სონეტები	უილიამ შექსპირი	"მაქმი"	5
8. "შვილოპე"	ნატა ტონია	"ლოგოსი"	4
9. "პოეზია და სახურავის პინაფარი კარლსონი"	ასტრიდ ლინდგრენი	"დროება"	4
10. "ადამიანის სევდა"	გიორგი ზოტელი	"სანი"	4
11. "ფაზის ზღაპრები"	ოტია იოსელიანი	"მაქმი"	4

აშშ-ს ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

შემსრულებელი	სად	როდის	შემოსავალი მილიონ $-ში	ბილეთის ფასი $-ში
1. მაიკი თაისონი, ჯეიმს ოტო	ფილადელფია, პენსილვანიის შტატი	10 ოქტომბერი	1.3	80, 45
2. "აეროსმიტი", "ქისი", "სალივა"	ვუდსტოკი, ტეხასი	5 ოქტომბერი	1.3	175; 65
3. "აეროსმიტი", "ქისი", "სალივა"	სელმა, ტეხასი	4 ოქტომბერი	1.1	127; 45
4. "აეროსმიტი", "ქისი", "სალივა"	ფენიქსი, არიზონა	8 ოქტომბერი	1.0	125; 49.50;
5. "ფლიტვუდ მეკი"	ლას ვეგასი, ნევადა	18 ოქტომბერი	1.0	250; 125; 85
6. "აეროსმიტი", "ქისი", "სალივა"	მაუნთინ ვიუ, კალიფორნია	10 ოქტომბერი	0.9	125; 50
7. "ფლიტვუდ მეკი"	ჩაიკერსფილდი, კალიფორნია	15 ოქტომბერი	0.9	125; 95; 35;
8. "ფლიტვუდ მეკი"	ლოს ანჯელესი, კალიფორნია	13 ოქტომბერი	0.9	135; 85;
9. შერი, ტომი ფრიდი	ვაშინგტონი, DC	10 ოქტომბერი	0.9	79; 35
10. შერი, ტომი ფრიდი	სენტ ლუისი, მისური	4 ოქტომბერი	0.8	77; 37

ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

ფილმი/რეჟისორი	მსახიობი	უკანასკნელი შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
1. The Texas Chainsaw Massacre მარკუს ნისპელი	ჯესიკა ბილი, ერიკ ბოგოსიანი	28,094,014	28,094,014
2. Kill Bill Vol.1 ქუენტინ ტარანტინო	უმა თურმანი, დევიდ კარადინი, ლუცი ლიუ	12,424,841	43,236,778
3. "გაჭედული სასამართლო" გარი ფლედერი	დასტინ ჰოფმანი, ჯონ ტრავოლტა, ჯონ კიუზაკი, რეჩელ ვაისი	11,836,705	11,836,705
4. "ჩიკის სული" რიჩარდ ლინკლეიტერი	ჯეკ ბლეკი, მოლ უეიტი, ჯონ კიუზაკი	11,006,233	54,898,026
5. "მისტიკური მდინარე" კლინტ ისტვუდი	შონ პენი, ტიმ რობინსი, კევინ ბეიკონი, ლორენს ფიშბერნი	10,445,547	13,532,943
6. "კარგი ბიჭი!" ჯონ ჰიუზმანი	მოლი რინგუოლდი, შეილი ბროდერიკი, ვანესა რეჯგრივი, ბრიტანი მერფი	8,932,672	25,713,653
7. "წარმოუდგენელი ბორტები" ჯოელ კოენი	ჯეკრინ ზეტა ჯონსი, ჯორჯ ქლუნი, ჯეფრი რაში	6,515,010	22,720,755
8. "უდროოდ" კარლ ფრანკლინი	დენზელ უაშინგტონი, ედი მერფი	4,002,023	35,230,719
9. "ტორკვილის შიის ქეიპ" ოდრი უელსი	დენიელ დეი-ლუისი, ვინსენტ როშა	3,379,245	33,657,196
10. Rundown პიტერ ბერგი	როკი, შონ ვილიამ სკოტი	2,780,695	44,518,785

საქართველოს ჩემპიონატი ერთი საათით უკან იწევს

პრეზიდენტის მხარდამჭერები "ლოკომოტივის" სტადიონზე მოილხენენ

ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, დრო ერთი საათით უკან გადაიწევს. ეს ცვლილება ჩვენს ფეხბურთზეც იქონიებს გავლენას. საქართველოს ჩემპიონატის მომავალი ტურის მატჩები, რომლებიც 27 ოქტომბერს ჩატარდება, ჩვეულებრივზე ადრე, დღის სამ საათზე დაიწყება. საქართველო პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 27 ოქტომბრიდან მატჩები სწორედ დღის სამ საათზე შედგება.

ორშაბათს გასამართ მატჩებს შორის არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი. "დინამო"-"კოლხეთის" მატჩი ერთი საათით გვიან, დღის ოთხ საათზე დაიწყება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას ტელეკომპანია "იმედი" აწყობს. კომპანიის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობას, "დინამოს" მატჩი ერთი საათით გვიან დაეწყოთ. ტელეკომპანიის თხოვნა დააკმაყოფილეს.

27 ოქტომბრის ტურს საინტერესო ფაქტიც ახლავს თან. მაშინ, როდესაც დანარჩენი სტადიონები საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებს, "ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს პრეზიდენტის მხარდამჭერი აქცია-კონცერტი გაიმართება. სამთავრობო ბლოკის წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დამსწრეთ, ტრიბუნების გარდა, მოედანზეც შეუშვებენ. ამის გამო "სპარტაკ"-"ტორპედოს" მატჩი, რომელიც სწორედ "ლოკომოტივზე" უნდა გამართულიყო, "შევარდენის" სტადიონზე გადაიტანეს.

ადრე ჩვენს სტადიონებზე რაგბისტებს არ უშვებდნენ - მოედნის საფარს გააფუჭებენო. ახლა კი "ლოკომოტივზე" ფეხბურთის თამაშიც აკრძალეს. სამაგიეროდ სტადიონის მინდორს პრეზიდენტის მხარდამჭერები დატკეპნიან.

მორისი მანიაკი აღმოჩნდა

ჯოდი მორისი

ინგლისური "ლიდსის" ფეხბურთელს, ჯოდი მორისს კვლავ გაუპატიურება ედება ბრალად. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ანალოგიური საქმე მის წინააღმდეგ ორი კვირის წინათაც აღიძრა, მას შემდეგ, რაც პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც სამართალდამცავებს ამცნო, რომ ის ორმა მამაკაცმა გააუპატირა. ორიდან ერთ-ერთი სწორედ 24 წლის მორისი აღმოჩნდა.

ჯოდი მორისი საკუთარ სახლში დააპატიმრეს. მასთან ერთად აიყვანეს მისი მეგობარი კრისტოფერ დიკი, რომლის გვარი ორი კვირის წინანდელ გაუპატიურების საქმეშიც ფიგურირებს.

რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ მორისი და მისი მეგობარი პოლიციიდან გაუშვეს, თუმცა, როგორც სამართალდამცავები იუწყებიან, ცოტა ხნით. პოლიციელთა განცხადებით, მორისის და დიკის წინააღმდეგ მათ საკმარისზე მეტი მტკიცებულება აქვთ.

ჯოდი მორისის კლუბის, "ლიდსის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელს ვარჯიშებზე სიარული და მატჩებში მონაწილეობა აუკრძალა მანამ, სანამ ეს ამბავი არ გაირკვევა. "ლიდსის" წარმომადგენლები იმასაც აცხადებენ, რომ მორისის ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში, ფეხბურთელს კლუბიდან გაუშვებენ.

სალგადო შეშფოთებულია

მიჩელ სალგადოს პირადმა აგენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთელი შეშფოთებულია მისი კლუბის, მადრიდის "რეალის" მოქმედებით. შეგახსენებთ, რომ სალგადოსა და "რეალს" შორის ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს ფეხბურთელის კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებით. სამეფო კლუბის სპორტულმა დირექტორმა, ხორხე ვალდანომ პრესის საშუალებით განაცხადა, თუ სალგადო კონტრაქტს მალე არ მოაწერს ხელს, მაშინ სხვა კლუბის მოძებნა მოუწევსო. "იმისთვის, რომ "რეალში" დარჩეს, სალგადო ბევრად უფრო დიდ ანაზღაურებაზე ამბობს უარს. მისი ერთადერთი მოთხოვნა ის არის, რომ კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დეტალები პრესაში არ გახმაურდეს. ის შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ კლუბმა, მის კონტრაქტთან დაკავშირებით საჯარო განცხადებების პოლიტიკა არჩია", - ამბობს სალგადოს აგენტი გინეს კარბახალი.

ფეხბურთი

გია ფირცხალავა: "დინამოდან"... ბრაზილიაში

გოჩა ალადაშვილი, გია ფირცხალავა და ჯოვანი ჟიომედისი

თბილისის "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის პოსტის დატოვების შემდეგ გია ფირცხალავას ფეხბურთთან კონტაქტი არ გაუწყვეტია და ამას არც აპირებს. ეს, ალბათ, არავისთვის არ უნდა იყოს მოულოდნელი. წარმატებული საფეხბურთო კარიერა, ხელმძღვანელი თანამდებობა ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, შემდეგ ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო საფეხბურთო კლუბში. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ფირცხალავა ფეხბურთით ქრონიკულად არის დაავადებული და ამ "სენისგან" განკურნებას არც აპირებს. ამ დღეებში "დინამოს" ექსდირექტორი დაბრუნდა ბრაზილიიდან, სადაც ადგილობრივი საფეხბურთო წრეების მიწვევით იმყოფებოდა. "24 საათს" მან ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.

მიხეილ აბაიშვილი

- თბილისის "დინამოს" კრიზისიდან გამოყვანა და ბოლოდროინდელი წარმატებები, ბადრი პატარკაციშვილთან ერთად, გია ფირცხალავას სახელსაც უკავშირდება. თქვენ შეაჩერეთ არჩევანი ივო შუშაკზე. გამართული საკადრო, საორგანიზაციო და სასელექციო პოლიტიკის წყალობით, "დინამომ" სახე იცვალა და ერთ სეზონში დაიბრუნა ქვეყნის საუკეთესო კლუბის სახელი. ამის მიუხედავად, თქვენ მაძლობით გაგისტუმრეს გუნდიდან. რა მოხდა თქვენსა და კლუბის პრეზიდენტს, ბადრი პატარკაციშვილს შორის?

- ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი იყო. რაც შეეხება "დინამოდან" ჩემი წამოსვლის მიზეზებს, ამაზე პასუხის გასაცემად ჯერ მზად არ ვარ. პოსტი ისე დავტოვე, რომ კლუბის პრეზიდენტთან, ბადრი პატარკაციშვილთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში შევძლებ მასთან შეხვედრას და მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებ კომენტარს. მიუხედავად ამისა, მადლობელი ვარ ბატონი ბადრის, რადგან მომეცა საშუალება, განმეხორციელებინა ის გეგმები, რომლებიც ერთად დავისახეთ.

"დინამოში" მე მადლობისთვის არ მივსულვარ. "დინამო" ყველა ქართველისთვის უსაყვარლესი გუნდია და, მგონია, ნებისმიერი ქართველი თავს ბედნიერად ჩათვლის, თუ "დინამოსთვის" რაიმე სამსახურის გაწევის საშუალება მიეცემა. გამიხარდება, თუ ჩათვლიან, რომ იმ წარმატებაში, რომელსაც გუნდმა ბოლო პერიოდში მიაღწია, მეც მიმიძღვის წვლილი. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის ძალა და ენერგია არ დამიშურებია. ვწუხვარ, რომ წამოწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე. შედგენილი გვქონდა 3-წლიანი გეგმა, რომელსაც ეტაპობრივად, დასახულ ვადებში ვახორციელებდით. პირველი ეტაპი - მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელის მოწვევა, გუნდის კრიზისიდან გამოყვანა, ქვეყნის ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში გამარჯვება, კარგად მოგეხსენებათ, წარმატებით გავიარეთ. მეორე ეტაპად რამდენიმე მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელით გაძლიერებას და ევროტურნირებში ღირსეულად გამოსვლას ვგეგმავდით. "დინამოს" ვუსურვებ, ეს საქმე ბოლომდე მიეყვანოს, იმ სიმაღლეებისთვის მიეწიოს, რაზეც ყველა ქართველი გულშემატკივარი ოცნებობს.

სწორი ნაბიჯი გადადგა პატარკაციშვილმა, როდესაც "დინამოს" პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. რაც უფრო ახლოს იქნება იგი გუნდთან, მით უფრო წაადგება საქმეს.

- თქვენ ახლახან დაბრუნდით ბრაზილიიდან, სადაც საფეხბურთო წრეების მიწვევით ბრძანდებოდით. რა მიზანს ისახავდა ეს ვიზიტი?

- თბილისის "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე ყოფნისას საერთაშორისო საფეხბურთო წრეებთან კონტაქტების დამყარებას ვეშურებოდი. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ბრაზილიასთან კონტაქტი პრიორიტეტულად მიმაჩნდა. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ეს ქვეყანა ნამდვილი საფეხბურთო ოაზისია და მასთან კავშირი "დინამოს" და ქართულ ფეხბურთს სიკეთის მეტს არაფერს მოუტანს. ბრაზილიაში მოღვაწეობს ჩემი უახლოესი მეგობარი გოჩა ალადაშვილი, რომელიც იქაურ საფეხბურთო სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

მან ჯერ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში ისწავლა, რის შემდეგაც წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სამწვრთნელო სკოლა და ასპირანტურა, საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. ახლა ბრაზილიის ქალაქ კურიტიბაში ცხოვრობს და ადგილობრივ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს.

სწორედ კურიტიბას უნივერსიტეტის პერსონალური მიწვევით ჩავედი ბრაზილიაში. გამგზავრებისას "დინამოს" დირექტორის პოსტი უკვე დატოვებული მქონდა, მაგრამ ფეხბურთთან კავშირი არ გამიწყვეტია და ამას არც ვაპირებ.

კურიტიბაში შევხვდი ცნობილი კლუბების ხელმძღვანელებს, გავეცანი ამ კლუბების მართვის სტრუქტურას, დავამყარე საქმიანი ურთიერთობები იმ დონეზე, რომ შესაძლებელია საქართველოსა და ბრაზილიას შორის სხვადასხვა საფეხბურთო პროგრამის განხორციელება. ამ კონტაქტების წყალობით, შესაძლებელია, პერსპექტიული ქართველი ფეხბურთელები სტაჟირებაზე მივავლინოთ ბრაზილიის წამყვან საფეხბურთო კლუბებში, ქართული კლუბებისთვის ორგანიზაცია გავუკეთოთ საწვრთნელ შეკრებებს და მრავალი სხვა.

- მაგრამ თქვენ ახლა, ასე ვთქვათ, უგუნდოდ ხართ.

- ამას რა მნიშვნელობა აქვს? მიუხედავად ამისა, მოხარული ვიქნები, თუ, პირველ რიგში, სწორედ "დინამოს" წაადგება ჩემს მიერ დამყარებული კონტაქტები. თუ რომელიმე სხვა ქართული კლუბი ისურვებს ბრაზილიელებთან რაიმე სახის თანამშრომლობას, სიამოვნებით დავეხმარები.

- გოჩა ალადაშვილის სახელი რამდენჯერმე გაისმა ქართულ მედიაში. როგორც ცნობილია, ალადაშვილის დახმარებით, "დინამოში" რამდენიმე ბრაზილიელი ფეხბურთელი გაისინჯა. რისი წყალობით ახერხებს ეს ადამიანი ასეთი საქმეების მოგვარებას?

- გოჩა ალადაშვილი ერთადერთი ქართველია ბრაზილიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ, პარანას შტატში, რომლის დედაქალაქიც სწორედ კურიტიბაა. კურიტიბა დიდი ქალაქია. მისი მოსახლეობა დაახლოებით 1,5 მილიონს შეადგენს. მიხარია, რომ ამ დიდ სივრცეში სწორედ გოჩა ალადაშვილი წარმოადგენს საქართველოს. იგი უდიდესი სიყვარულით, ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს არა მხოლოდ კურიტიბაში და პარანას შტატში, არამედ მთელ ბრაზილიაში. არ გეგონოთ, რამეს ვაჭარბებდე. როგორც უკვე გითხარით, გოჩა კურიტიბაში ლექციებს კითხულობს. ბრაზილიის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა უმეტესობა მისი სტუდენტია. ისინიც და კლუბების ხელმძღვანელებიც დიდ პატივად მიიჩნევენ გოჩასთან ურთიერთობას და მეგობრობას. შემიძლია, ამ თემაზე ბევრი ვისაუბრო, მაგრამ მხოლოდ მოყოლით თავს არ შეგაწყენთ. მალე გოჩა ალადაშვილს ქართული საზოგადოებრიობა თავისი საქმეებითაც გაიცნობს, თუმცა, უფრო კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით.

- რომელ კლუბებთან გქონდათ ურთიერთობა?

- ძირითადად, "ატლეტიკო პარანაენსთან" და "კურიტიბასთან". შევხვდი "კურიტიბას" პრეზიდენტს, ჯოვანი ჟიომედისს. ახლა ეს გუნდი ბრაზილიის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა.

შევხვდი ასევე "ატლეტიკო პარანაენსეს" ხელმძღვანელებს, კერძოდ, მის დირექტორს, ანტონიო კარლოშ გომეშს. დავესწარი ორ მატჩს, "კურიტიბა" - "პაისანტოსს" და "ატლეტიკო პარანაენსე" - "ფლუმინენსეს".

- საპასუხო ვიზიტს თუ უნდა ველოდეთ?

- დიდი იმედი მაქვს. მე პერსონალურად მოვიწვიე "ატლეტიკო პარანაენსეს" დირექტორი ანტონიო კარლოშ გომეში, რომელსაც გოჩა ალადაშვილთან ერთად დეკემბერში თბილისში ველი.

ინფორთეკა

ფეხბურთი. მილანის "ინტერის" კაპიტანმა ბრაზილიელი რონალდო გააკრიტიკა. მადრიდის "რეალის" თავდამსხმელმა არაერთხელ გამოთქვა თავისი კმაყოფილება "ინტერის" მწვრთნელის პოსტიდან ექტორ რაულ კუპერის დათხოვნის გამო. "ვფიქრობ, რონალდო დიდ შეცდომას უშვებს. ფეხბურთელის კარიერა მოულოდნელობებითაა აღსავსე. რას იზამს რონალდო, თუ კუპერი ხვალ "რეალის" მწვრთნელი გახდება? ამას გარდა, მას მეტი პატივისცემა მართებს იმ პროფესიის ადამიანების მიმართ, რომელსაც თავადაც ფლობს", - განაცხადა ძანეტიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. თურქეთის ნაკრების მეკარე რუშთუ რეჩბერი უკმაყოფილოა, რომ კატალონიურ "ბარსელონაში" გადავიდა. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე, როდესაც თურქებმა მესამე ადგილი დაიკავეს, რუშთუ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. "ბარსელონაში" გადასვლისთანავე თურქმა მეკარემ ტრავმა მიიღო და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ახლა რუშთუ ნანობს, რომ თურქეთი მიატოვა და "ბარსელონას" სათადარიგოთა სკამზე ამოყო თავი.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისური "ასტონ ვილას" ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კლუბის თურქ მცველთან, ალფაი ოზალანთან კონტრაქტი დაუყოვნებლივ გაწყვიტოს. ხელშეკრულების თანახმად, ალფაის 2004 წლის ივნისამდე უნდა ეთამაშა "ასტონ ვილაში". ამ მკაცრი სასჯელის მიზეზი გახდა თურქეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამასწინანდელი მატჩი, როდესაც ალფაიმ შეურაცხყოფა მიაყენა დევიდ ბექჰემს, როდესაც ამ უკანასკნელმა სამარცხვინოდ შეასრულა თურქების კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი. ალფაის თქმით, მას არ დასჯიდნენ, ბექჰემის ადგილზე ნებისმიერი სხვა ფეხბურთელი რომ ყოფილიყო. თურქი მცველი იმასაც ამტკიცებს, რომ პროვოკატორი თავად ბექჰემი იყო, რომელმაც ალფაის შეაფურთხა. ასეა თუ ისე, ალფაის "ასტონ ვილას" დატოვება მოუწევს. მისით უკვე დაინტერესდნენ გერმანული "ჰერტა" და თურქული "გალათასარაი".

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსი" იტალიური "რომას" ბრაზილიელი ნახევარმცველის, ემერსონის შეძენითაც დაინტერესდა. მაგრამ თავად ფეხბურთელს აბრამოვიჩის გუნდში გადასვლა არ უნდა და "რომაში" დარჩენის იმედი აქვს. "დარწმუნებული ვარ, ჩემი კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებული პრობლემები მალე გადაწყდება. მე მიყვარს "რომა" და იმედი მაქვს, ეს გუნდი დასახულ მიზნებს მიაღწევს", - განაცხადა ემერსონმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ჰოლანდიური "ეინდჰოვენის" თავდამსხმელმა, მატეა კეჟმანმა კატალონიურ "ბარსელონაში" გადასვლის სურვილი გამოთქვა. "უკანასკნელ კვირას "ბარსელონასთან" მოლაპარაკებები განვაახლე. ამ კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით ერთი წლის წინ მივაღწიეთ შეთანხმებას, თუმცა, ჩემი ტრანსფერი მაშინ არ შედგა. იმედი მაქვს, მიმდინარე სეზონის ბოლოს "ბარსელონაში" გადასვლას მაინც შევძლებ. თუ ეს მოხდება, ძალიან მოხარული ვიქნები", - განაცხადა კეჟმანმა და დაადასტურა, რომ "ბარსელონას" გარდა, მას რამდენიმე ინგლისური კლუბიდანაც აქვს მიწვევები.

ინფორთეკა

ოლიმპიზმი. ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა განცხადებით, 2004 წლის თამაშებზე ანტიდოპინგურ რეჟიმს ბევრად უფრო მკაცრად მიადევნებენ თვალყურს, ვიდრე ადრეულ თამაშებზე იყო. ამასთან დაკავშირებით, პრიორიტეტულად მიიჩნევა საბერძნეთის დედაქალაქისთვის იმ ტექნოლოგიების გადაცემა, რომელიც დოპინგის გამოვლენაში დაეხმარება ოლიმპიადის მასპინძლებს. ათენი 2004-ის ორგანიზატორები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ერთობლივად აცხადებენ, რომ დოპინგთან ბრძოლა უკომპრომისო იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე ორგანიზაცია ბოლომდე მიიყვანს საქმეს, თუნდაც, ოლიმპიური თამაშები უძლიერეს სპორტსმენთა მოკვეთის საფრთხის წინაშე დადგეს.

■ ■ ■

სათხილამურო სპორტი. ახალი სათხილამურო სეზონის წინ საერთაშორისო სათხილამურო სპორტის ახალმა დირექტორმა, შვეიცარიელმა იორგ კაპოლიმ 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ ამცნო ჟურნალისტებს. კერძოდ, ამ ასპარეზობებში შეტანილი იქნება გუნდური სპრინტი ვაჟებსა და ქალებს შორის. მიუხედავად ამისა, ახალი დისციპლინების შეტანა პროგრამაში გასათამაშებელი მედლების რაოდენობაზე გავლენას არ მოახდენს. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის და ოლიმპიური თამაშების პროგრამებიდან ვაჟთა 10 კმ და ქალთა 15 კმ რბენებს ამოიღებენ.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ახლახან სერენა უილიამსი ამერიკულ სერიალ "სთრით თაიმის" ეპიზოდურ როლში გადაიღეს. სერიალს ადგილობრივი ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე უჩვენებენ.

მსოფლიო რეიტინგში მესამე ჩოგნად გამწესებულმა 22 წლის სერენამ საკუთარი თავი პირველად გამოსცადა მსახიობის ამპლუაში. სახელოვანი ჩოგბურთელი ფილმშიც სპორტსმენის როლს ასრულებს. სცენარის მიხედვით ის ნარკომაფიის ინტრიგაში იხლართება და ოთხი წლით სატუსაღოშიც აღმოჩნდება. ციხიდან გამოსვლის შემდეგ უილიამსის გმირი ნარკობარონებზე შურისძიებას იწყებს და შიგადაშიგ მუშტი-კრივზეც არ ამბობს უარს.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ცნობილი ბელგიელი ჩოგბურთელების ჟიუსტინ ენენისა და კიმ კლიისტერსის პატივსაცემად მათმა თანამემამულეებმა ჩოგბურთელთა გამოსახულების მქონე ახალი საფოსტო მარკები გამოუშვეს. მარკებზე აღბეჭდილია 2002-2003 წლებში ამა თუ იმ პრესტიჟულ ტურნირზე ენენისა და კლისტერსის გამარჯვებები. ახალი მარკების გაყიდვა გუშინ დაიწყო.

■ ■ ■

ფორმულა 1. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, "ჯორდანის" საჯინიბოს მეპატრონე ედი ჯორდანი, "ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი და BAR-ის მეთაური დევიდ რიჩარდსი ფორმულა 1-ის მხცოვანი იმპრესარიოს ბერნი ეკლსტოუნის სავარაუდო მემკვიდრეებად მიიჩნევენ თავს. ეკლსტოუნი ჩემპიონატის აქციათა მთავარი მფლობელი და ბრიტანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. ფორმულა 1-ის ბოსი 72 წლისაა და, გამორიცხული არ არის, ჯანმრთელობის გაუარესებამ საქმიანობაში ხელი შეუშალოს. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან ექსპერტები.

■ ■ ■

ფორმულა 1. ახლახან "BAR-ჰონდას" ხელმძღვანელი დევიდ რიჩარდსი ბაჰრეინში, ქალაქ საჰირში იყო. საჰირი, მოგეხსენებათ, 2004 წლის სამეფო რბოლების მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპს მასპინძლობს. რიჩარდსს მასპინძლობდა ბაჰრეინის ტახტის მემკვიდრე, პრინცი სალმან ბინ ჰამედ ალ ხალიფა. როგორც ჩემპიონატის ოფიციალური საიტი იტყობინება, საჯინიბოს ხელმძღვანელი ახალი ტრასის მშენებლობით აღტაცებული დარჩენილა. ტრასის მშენებლობისთვის 150 მილიონი ევრო ყოფილა გამოყოფილი. "BAR-ჰონდას" შეფზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რვასართულიან კოშკურას, რომელიც სპატიო სტუმართათვის ყოფილა განკუთვნილი. კოშკურიდან ტრასა მთელი სიგრძე-სიგანით მოჩანს.

რიჩარდისის თქმით, აპრილამდე (ფორმულა 1-ის საჰირის ეტაპამდე) ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი, მაგრამ ის, რაც უკვე ვნახე, ძალზე შთამბეჭდავიაო.

ფორმულა 1-ის ბოსმა ბერნი ეკლსტოუნმა ჯერ კიდევ შარშან მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბაჰრეინს გრანპრისთვის უნდა ემასპინძლა. ასეთი პატივის მოსაპოვებლად ბაჰრეინს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რადგან მოცილეებად ჰყავდა არაბეთის გაერთიანებული სახალიფო, ეგვიპტე და ლიბანი. საბოლოოდ, პრინცის წყალობით, რომელიც ავტოსპორტის დიდი ქომაგია, გრან-პრიზე კონტრაქტი ბაჰრეინმა მოიპოვა.

რაგბი

მესამე და აფრიკული

საქართველო – სამხრეთ აფრიკა 19:46

ჰაატა თოთაძე

საქართველო: *კოპალიანი, დადუნაშვილი (ა. გიორგაძე 75), მარგველაშვილი (ნიკოლაენკო 75), გუჯარაიძე, დიდებულიძე, ბოლღაშვილი, წიკლაური, ჩხაიძე (ზედგენიძე 78), მოდებაძე, ჯიმშელაძე (კვირიკაშვილი 61), ქავთარაშვილი, კაცაძე, ელოშვილი, ხონელიძე, მაჩხანელი (ხამაშურიძე 63)*

1 ლელო – დადუნაშვილი

1 გარდასახვა – *ჯიმშელაძე*

4 ჯარიმა – *ჯიმშელაძე 3, კვირიკაშვილი*

სამხრეთ აფრიკა: *სეფაკა (სანტონი 69), სმიტი, რაუტენბახი, ბოთა, ბუმი, შოლცი, როსოუ, ვან ნიკერკი (ბურგერი 64), დე კოკი, ჰუგარდი, პოლსე, გრიფი (მიულერი 77), ფური, ტერბლანში, ლუბშერი*

7 ლელო – *როსოუ 2, ჰუგარდი, ვან ნიკერკი, ფური, ბოთა, ბურგერი*

4 გარდასახვა – *ჰუგარდი*

1 ჯარიმა – *ჰუგარდი*

მსაჯი: *ს. დიკინსონი (ავსტრალია)*

- აბა, დავსხედით! იწყება, კაცო, თამაში იწყება და მაყურებინეთ ნორმალურად!

"მსოფლიო სპორტში" ტევა არაა. მოქმედი მორაგბეები, რაგბიზე მწერალნი თუ, უბრალოდ, რაგბის მოყვარულნი, ყველანი აქ არიან.

- ბიჭო, ეს შეშინებული ხომ არაა? სულ ხელიდან როგორ უნდა უვარდებოდეს ბურთი?

თამაში ჩვენებმა დაიწყეს, აფრიკელთა მოგერიებული ბურთი კი ჩხაიძეს გაუვარდა ხელიდან.

- არა უშავთ ბიჭებს, არა, რას

იტყვი?

- ჰო, ჯერჯერობით კარგად თამაშობენ. ამას ეძახიან ჩვენები მეორე შემადგენლობას?

- ეტყობა, ვიღაცამ უთხრა, მიდით, რაც იცით, ის ითამაშეთო და ესენიც თამაშობენ.

- მანამდე რა, უთხრეს, არ ითამაშოთო?

- მანამდე უთხრეს, ისინი არ ათამაშოთო. ჰოდა, ესენიც მაგას ცდილობდნენ და ვერც თვითონ თამაშობდნენ.

- თხუთმეტი წუთი მაგარი ბიჭები ვართ, აი, მერე გვერხევა ხოლმე.

- მერეც რომ ვვარგოდეთ, ჯგუფიდან გასვლაზე ვიფიქრებდით, ერთი თამაშის მოგებაზე კი არა.

- მე მგონი, დაიწყო. ათ წუთში სამი ლელო გავუშვით. ერთი საათის მერე რაღა იქნება! ვერ გავიგე, რატომ ვერ იჭერენ მეტოქეს, "კასანიას" ხომ არ თამაშობენ?!

- რაც იციან, იმას აკეთებენ. ერთი კარგად გაგვითამაშეს ფლანგზე, მანამდე კი პალიკომ აიკიდა ერთი ლელო, კარგად გაატარა აფრიკელი. ჩხაიძეც გამოსწორდა. შეტევაშიც ისე რომ თამაშობდეს, როგორც დაცვაში, გაციცლებით კარგი იქნებოდა.

- მე მგონი, ისევ დავიწყეთ თამაში.

ტაიმის ბოლოსკენ ჩვენებმა გამოასწორეს თამაში და სამი ქულის მოპოვება შეძლეს. ერთ-ორ ეპიზოდში მეტოქის ლელოსაც უწიეს, მაგრამ შიგ ვერ შევიდნენ მარტივი შეცდომების გამო. ერთხელ აუტის მოწოდებისას შეცდით, მეორედ კი მსაჯმა ბლოკი დააფიქსირა და ლელოს ხაზთან ორ-სამ მეტრში მყოფები დაგვაჯარიმა.

- ამ "უსიკმა" ხო...

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე როსოუმ მეორე ლელო გაგვიტანა. და, საერთოდაც, ეს მეორეხაზელი ქართველებს ბევრ პრობლემას უქმნის. ჩვენებს ძალიან უჭირთ მისი შეჩერება.

ისევ პალიკოს ჯარიმა და ანგარიშში სხვაობა ოც ქულამდე მცირდება.

- ბოლო-ბოლო, ერთ ლელოს მაინც დავდებთ თუ არა? სულ სხვებმა ხომ არ უნდა გაგვიტანონ?

- მიდით, მიდით, მიაწექით ბოლომდე...

დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. საქართველოს ნაკრები მეტოქის სალელოე მოედანს უახლოვდება.

- მიდი, "სხვატკა", მიდი... არის!

დავით დადუნაშვილი ისტორიაში შევიდა, როგორც მსოფლიო თასზე ქართველთა პირველი ლელოს ავტორი. "STAR SPORT"-ის ოპერატორი არარერთხელ აჩვენებს სათადარიგოთა სკამზე გახარებული ქართველების სახეებს.

ქართველები ისევ აგრძელებენ შეტევებს. მადა ჭამაში მოდისო და, გულშემატკივარს მეორე ლელოს გატანის სურვილიც უჩნდება.

მატჩის ბოლოს ყველაფერი პირვანდელ სახეს უბრუნდება. აფრიკელებს ისევ ორი ლელო გააქვთ, თანაც, ისევ ჩვენი წყალობით და - 46:19.

- გადავირიე, ყველა მატჩში ორი-სამი ლელო რატომ უნდა ვაჩუქოთ მეტოქეს?

- აბა, თვითონ არ გვჩუქნიან და...

- რას ერჩი ბიჭებს, ყველა მატჩს წინაზე მცირე სხვაობით აგებენ. გეგმაა ასეთი შედგენილი.

- ურუგვაისთან ათი ქულით წავაგებთ თუ რისი თქმა გინდა?

- გააჩნია, ვითამაშებთ თუ იმაზე დავიწყებთ ფიქრს, ისინი როგორ არ ვათამაშოთ. ისე, ურუგვაი ნუ გგონია ადვილად დასამარცხებელი.

ბესიკ ხამაშურიძეს გაქცევა არ აცვადეს

სანდრო ნავერიანი

მხოლოდ იმის თქმა გახდა საკმარისი, რომ ბაზელის ტურნირი უსენსაციოდ მიმდინარეობს და ისეთი სენსაცია დაფიქსირდა, რომელსაც არავინ ელოდა. ხორვატმა ივან ლუბიჩიჩმა ტურნირის მასპინძელი და ერთ-ერთი ფავორიტი როჟე ფედერერი დაამარცხა. ფედერერმა ეს მატჩი ისე დაიწყო, თითქოს ვიღაც ცალხელა ჩოგბურთელს ეთამაშებაო, ჰოდა, ამიტომაც დაისაჯა. პირველი სეტი ისე დაიწყო, თითქოს ჩოგბურთელები ვარჯიშს ატარებენო. მატჩი ფედერერმა დაიწყო და პირველი გეიმი მოიგო. ასე გაგრძელდა მთელი თორმეტი გეიმი, რასაც მოყვა ტაიბრეიკი. ტაიბრეიკში ლუბიჩიჩი გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა და ფედერერს პირველი სეტი გამოსტაცა. მეორე სეტი ლუბიჩიჩის ეისით დაიწყო. პირველი გეიმის აღების შემდეგ ლუბიჩიჩმა ფეხი იტკინა და, როცა ყველას ეგონა, რომ აქ დამთავრდებოდა მატჩი, ხორვატმა ჩოგბურთელმა ყველა გააოცა - თამაში განაგრძო. ამ სეტშიც ყველაფერი იგივე სცენარით წარიმართა. ჩოგბურთელები თავის მოწოდებებს ასი პროცენტით იყენებდნენ. მეათე გეიმში, როცა ხორვატი 5:4-ს იგებდა, ფედერერის მოწოდებაზე ერთი მატჩპოინტიც კი ჰქონდა, თუმცა, ვერ გამოიყენა. ისევ ტაიბრეიკი და ისევ სამბურთიანი უპირატესობა ლუბიჩიჩს. როცა ყველას ეგონა, რომ მატჩის ბედი გადაწყდა, ფედერერმა, - ვერ მოგართვითო, - და ტაიბრეიკი 7:5 მოიგო. ამ სეტის მოგებას დიდი ოვაციით შეხვდა შვეიცარიელი გულშემატკივარი და ორმაგად გააძლიერა მხარდაჭერა, რაც ფედერერის წისქვილზე ასხამდა წყალს, თუმცა... მესამე, გადამწყვეტი სეტი ფედერერის მოწოდებით დაიწყო და გეიმიც წააგო. ხორვატმა ჩოგბურთელმა შვეიცარიული აუდიტორია პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. წაგებული გეიმი ფედერერისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ლუბიჩიჩმა თავისი ყველა მოწოდება მოიგო და მატჩი მშვიდად მიიყვანა თავისთვის სასურველ ფინალამდე. ხორვატმა ჩოგბურთელმა მოიგო მესამე სეტი (6:4) და, ამასთან, მატჩიც. მატჩის შემდეგ ფედერერმა განაცხადა რომ ლუბიჩიჩის ჩაწოდება მისთვის ყველაზე ძნელად მოსაგერიებელია: - როდიკის მოწოდება ყველაზე სწრაფია, მაგრამ მის მოგერიებას ვახერხებდი. ივანი კი მაგიურ ბურთებს აწვდის, - განაცხადა შვეიცარიელმა.

ფედერერი ტურნირს დაემშვიდობა

რიელმა. ესეც პირველი სენსაცია, თან როგორი?! ხორვატი ჩოგბურთელი მეოთხედფინალში დაუპირისპირდება ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის, რომელმაც, თავის მხრივ, გერმანელი ტომას ბერენდი დაამარცხა ორ სეტში (7:6, 6:1). ენდი როდიკმა გადალახა ბელგიური ბარიერი და ახლა მეოთხედფინალში კიდევ ერთხელ მოუწევს ბელგიური წინააღმდეგობის გადალახვა. შეგახსენებთ: ამერიკელმა მეორე წრეში ბელგიელი ჟილ ელსენეერი დაამარცხა (6:3, 7:6) და მეთხედფინალში შეხვდება ბელგიელ ოლივერ როხუსს. არგენტინელი დავიდ ნალბანდიანისა და ფრანგი არნო კლეძანის შეხვედრა მეხუთე სეტში შეწყდა. მიზეზი ფრანგის ტრავმა იყო. ნალბანდიანი ავტომატურად გავიდა მეოთხედფინალში, სადაც ბრიტანელ ტიმ ჰენმანს შეხვდება. ჰენმანმა მეოთხედფინალისკენ ჩეხი ტომას ზიბის დამარცხების (6:3,6:4) შედეგად გაიკვლია გზა. კიდევ ერთი საინტერესო მეოთხედფინალი გველოდება: არგენტინელი გილიერმო კორია და ესპანელი ფელისიანო ლოპესი. არგენტინელმა ფრანგი მიშელ ლორა სამ სეტში დაამარცხა (6:2, 6:7, 7:6). ესპანელმა კი მეხუთე ნომრად განთესილი ჩეხი ირჟი ნოვაკი გამოთიშა გათამაშებას (3:6, 7:5, 6:4). მეოთხედფინალები 24 ოქტომბერს, გვიან ღამით გაიმართება. სტოკჰოლმში, ბაზელის მსგავსად, მეორე დამთავრდა ტურის შეხვედრები და გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები. შვედმა იონას ბიორკმანმა ჰოლანდიელი იონ ვან ლოტუმი ორ სეტში დაამარცხა (6:1, 6:4) და მეოთხედფინალში დაუპირისპირდება გერმანელ რობინ სოდერლინგს, რომელმაც, თავის მხრივ, არგენტინელ ხუან იგნასიო ჩელას სძლია (6:4, 6:3). დამთავრდა ტეილორ დენტის მოგებათა სერია, რომელიც ამერიკელმა რობი გინეპრიმ შეწყვიტა და სამ სეტში დაამარცხა (6:7, 7:6, 6:4). გინეპრის მეტოქე იქნება შვედი ტომას ენკვისტი, რომელმაც დანიელი კენეტ კარლსენი დაამარცხა (6:7,6:4,6:4). კიდევ ერთი ამერიკელი, მარდი ფიში, შეხვდება ხორვატ მარიო ანჩიჩს, რომელმაც ჰოლანდიელი რაიმონ სლუიტერი დაამარცხა (6:7, 6:4, 7:6). კიდევ ერთ მეოთხედფინალში შვედი იოაკიმ იოჰანსონი და იტალიელი დავიდ სანგინეტი შეხვდებიან ერთმანეთს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ შვედური პრიზი შვედეთში დარჩება. შეგახსენებთ: დარჩენილი მონაწილეებიდან ორი გამოკვეთილი ფავორიტია და ორივე შვედი - იონას ბიორკმანი და ტომას ენკვისტი. იგივე სიტუაციაა პეტერბურგში, სადაც მეორე ტური დამთავრდა. პირველ ნომრად განთესილმა გერმანელმა რაიმონ შუტლერმა ბელორუსი ვლადიმერ ვოლჩკოვი დაამარცხა (6:2, 6:3). მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება რუსი მიხაილ იუჟნი, რომელმაც თანამემამულე ევგენი კაფელნიკოვი უპრობლემოდ დაამარცხა (6:2, 6:2). გუშინწინ კაფელნიკოვმა განაცხადა, რომ იუჟნისთან მატჩი მისთვის საბოლოო იქნება პროფესიულ სპორტში. ვნახოთ, კიდევ შეიცვლის თუ არა აზრს რუსი ჩოგბურთელი. სომეხმა სარგის სარგსიანმა რუს იგორ ანდრეევს სძლია (6:3,6:2). სომეხი ჩოგბურთელის მეტოქე იქნება გერმანელი ლარს ბურგსმიულერი, რომელმაც ესპანელი ფერნანდო ვისენტე დაამარცხა (6:4, 6:4). სებასტიან გროსჟანმა თავის თანამემამულეს, ენტონი დუპუს მოუგო (6:2,6:2). მეოთხედფინალში დაუპირისპირდება ესპანელ ალექს კორეჩას, რომელმაც არგენტინელი გასტონ გაუდიო დაამარცხა (6:3, 6:1). ბოლო მეოთხედფინალი: ამერიკელი ვინსენტ სპადეა და ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი. შეგახსენებთ, რომ კუერტენმა რუმინელი ვიქტორ იანესკუ ჩამოიშორა გზიდან, ხოლო სპადეამ - სლოვაკი დომინიკ ჰრბატი. ორი მეოთხედფინალური შეხვედრა გაიმართება 24 ოქტომბერს, ორიც - 25-ში.

ჯომლგის ტრიბუნა

ზურაბ გოგიჩაიშვილი

ჰელე, მარადონა... ჩემი ფეხბურთი

"რა არის ფეხბურთი?

ბურთი... სტადიონი.

დაარტყა იამანიძემ – მიიღო კალოევმა!"

არ გეცნოთ ქართული ფილმის "ბურთი და მოედანის" ვახტანგ ნინუასეული გმირის ირონიული მონოლოგი ამხანაგური სასამართლოს სხდომაზე? არადა, ეგ არ იყო, ცოტა ხნის წინათ სტადიონის ტრიბუნაზე შეშლილი სახით, გაშმაგებული რომ ღეჭავდა პაპიროსს (სად იყო მაშინ "ჟუვაჩკა").

შეიძლება ზოგს ეს უკვდავი ფილმი არც უნახავს, ზოგს კი აღარც ახსოვს.

"დინამოს" გვერდით გავიზარდე. 5 წლის ვიყავი, მამამ პირველად რომ წამიყვანა სტადიონზე. თამაშზე არანაკლებ მაყურებელმა მომაჯადოვა. გვერდიგვერდ ისხდნენ ახალგაზრდა და მოხუცი, ჰალსტუხიან-შლაპიანი და სანდლებიან-სატინისხალათიანი. ერთნაირად უხაროდათ და იგინებოდნენ. მესმოდა ვიღაცების სახელები და გვარები, მაგრამ თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია.

მუშთაიდში ატრაქციონებზე მანამდეც დავდიოდი, მაგრამ მხოლოდ ამ თამაშის შემდეგ მივაქციე ყურადღება ერთ კუთხეში, ორ ერთმანეთთან მიდგმულ ბაღის სკამთან შეჯგუფულ ხალხს. იგივე შლაპიანი და სატინისხალათიანი, იგივე მოხუცი და ახალგაზრდა. ისევ მესმის და ამჯერად უკვე ვიმახსოვრებ – მიშკა, სიჭი, სიომა, სლავა...

მურმან ლებანიძეს ერთი ლექსი აქვს – "ჩემს გალაკტიონს", ნოდარ დუმბაძეს პატარა სტატია – "ჩემი გალაკტიონი". მეც ამ ორ დიდ კაცს უსინდისოდ დავესესხები და ვიტყვი – "ჩემი ფეხბურთი".

შეიძლება ვინმე შემედავოს, მაგრამ, ჩემი აზრით, საბჭოთა იმპერიის გაუსაძლის და ბნელ ცხოვრებაში ორჯერ, 1964 წლის 18 ნოემბერს და 1981 წლის 13 მაისს ქართველები ყველაზე ბედნიერები ვიყავით მთელ დუნიაზე. ეს ღამეები ჩვენმა, "ჩემმა ფეხბურთმა" გვაჩუქა.

ფეხბურთის გამო ომი დაწყებულა ქვეყნებს შორის.

ფეხბურთის დროს მეომარი ქვეყნები შერიგებულან.

როდესაც პელეს წიგნი "მე, პელე" გამოვიდა, ერთმა ღარიბმა ზანგმა ბიჭუნამ წერა-კითხვა ისწავლა, რათა ეს წიგნი წაეკითხა. სხვათა შორის, პელე იუნესკომ დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვა "მსოფლიოში წერა-კითხვის გავრცელების ხელშეწყობისათვის" (ეტყობა, ბრაზილიის გარდა, სხვა ქვეყნების ღარიბებმაც ამ წიგნის ხათრით ისწავლეს წერა-კითხვა).

გარინჩას "ხალხის სიხარული" შეარქვეს. რაღაც არ გამიგონია, რომელიმე ქვეყნის რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს მსგავსი მეტსახელი შერქმეოდეს.

ფეხბურთიდან მიშა მესხის გაცილებისას მთელი სტადიონი ტიროდა. ვტიროდი მეც. მაგრამ ეს არ იყო ფეხბურთიდან მესხის უბრალოდ წასვლის გამო. ეს იყო ერთგვარი პროტესტი, რომ ვიღაც პარტიული ვირთაგვის (უფალმა მიმიტევოს) ხუმტურებს უდიდესი ქართველი ფეხბურთელის, მართლაც, ხალხის სიხარულის კარიერა ეწირებოდა. პირადად მე ჩემი ფეხბურთის, ჩემი სიხარულის დიდი ნაწილი ვიღაცამ უნამუსოდ წამართვა.

ბევრი სიხარული და ტკივილი მოჰქონდა და მოაქვს ფეხბურთს.

რა მაგის პასუხია და, პელე ჯობია თუ მარადონა?

ბავშვობაში ბევრ ჩვენგანში, ალბათ, დიდ უხერხულობას და ხანდახან შემკითხველისადმი ზიზღს იწვევდა "ტრადიციული" შეკითხვა – დედა უფრო გიყვარს თუ მამა? მაგრამ შეკითხვის ეს გამაღიზიანებელი არსი ასაკის (და ცოდნის) მატებასთან ერთად ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდებოდა და ხდება. მიქელანჯელო თუ ლეონარდო? "ლედ ზეპელინი" თუ "დიფ ფარფლი"? შექსპირი თუ სერვანტესი? "რეალი" თუ "მილანი"? პელე თუ მარადონა?

დიდი ხანი არ არის, რაც "მანჩესტერ იუნაიტედის" ფან-კლუბმა თავისი გუნდის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ერიკ კანტონა დაასახელა, გუნდისა, რომელშიც თამაშობდნენ დენის ლოუ, ჯორჯ ბესტი, ბობი ჩარლტონი (სხვადასხვა წლებში ევროპის "ოქროს ბუცის" მფლობელი). ვერც ერთი მანჩესტერელი ვერ დამარწმუნებს, რომ კანტონა თუნდაც ლოუს ჯობდა, ბესტზე და ჩარლტონზე რომ არაფერი ვთქვათ.

რაშია საქმე? რაში და, "გაგონილს ნანახი ჯობია", ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით – "საინფორმაციო უზრუნველყოფაში".

სად კანტონას ცოცხალი თამაში და სად 10-15-წუთიანი სიუჟეტები ზემოხსენებულ ფეხბურთელებზე, ან თუნდაც ვიღაცის პირზე მომდგარი მონაყოლი. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში მესხი ამბობდა, ქართველებიდან, ვინც მე მინახავს, ჭკუასელი ყველაზე მაგარი ფეხბურთელი იყოო. ვის ახსოვს დღეს ჭკუასელი? არადა, მესხს არ დაეჯერება?

ზიდანის ლამის ცოლის ფეხის ზომა ვიცით, პუშკაშის კი მხოლოდ 20-30 შავ-თეთრი ფოტოა შემორჩენილი. რონალდო? მისი ყოველდღიური მენიუ ინტერნეტში იბეჭდება, დი სტეფანოსი კი რამდენიმეწუთიანი შავ-თეთრი საფეხბურთო ჩანაწერი არსებობს. სად ინფორმაციის ოკეანე ბექჰემზე და სად მეტიუზის ხსოვნა?

ყველაზე პოპულარული "შედარებითი წყვილი", რა თქმა უნდა, მაინც პელე და მარადონაა, მაგრამ არავის ეგონოს, პოლემიკაში ჩართვას ვაპირებდე. უბრალოდ, პელეზე და მარადონაზე არსებული მთელი ვიდეოინფორმაცია (უმთავრესი "არგუმენტი" ფეხბურთელის დონის შესაფასებლად) რომ შეეკრიბოთ, პელესი განუზომლად მცირე იქნება. სწორედ აქ არის კანტონა, ჩარლტონ, ბესტ, ლოუს სინდრომის წარმოქმნის საშიშროება. ერთს კი აუცილებლად ვიტყვი – პელე ვარსკვლავებით გადაჭედილ ნაკრებებშიც კი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი იყო, მარადონას "ფონი" კი შეუდარებლად ღარიბი გახლდათ. და ერთიც – პელეს თავზე დადგმული "შეფის" გვირგვინი ხელაღებით ვერავინ მოხსნა და ვერ დაადგა მარადონას (თუმცა, ეს სულაც არ ამცირებს მარადონას, როგორც დიდ ფეხბურთელს).

დიდი ხანია, ფეხბურთს უკვე ქალებიც თამაშობენ, მაგრამ ეს მაინც კაცური (რაინდული) სპორტია (მარტო სპორტია? ნაცნობ სიტყვებს "ფინტი", "პასი", "დრიბლინგი" დაემატა "კუში", "სტავკა", "ტოტალიზატორი" და ა.შ.).

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისელთა კარში გატანილ მეორე, უკვდავ გოლზე მარადონამ თქვა: იმ გოლის გატანა იმიტომ მოვახერხე, რომ ინგლისის ნაკრებში კაცები თამაშობდნენო (ესე იგი, ჩემი წაქცევა არ იკადრესო). ძველი თაობის მაყურებელს ახსოვს, "ინტერის" კარში ყიფიანის მიერ გატანილ გოლს წინ რომ უძღოდა მისი და ფაკეტის 30-40 მეტრიანი "ჭიდაობა" და ფაკეტიმ არ იკადრა ყიფიანის წაქცევა. იმ გოლმა "დინამო" შემდეგ წრეში გაიყვანა, ფაკეტი კი ყველას თვალში არა მარტო ერთ-ერთ უდიდეს მცველად დარჩა, არამედ ფეხბურთის უდიდეს რაინდად (დღევანდელი მცველი დათოსაც წააქცევდა და მსაჯსაც ხელებს გაუპარჭყავდა). და გარინჩა? ყველა თამაშში ვხედავთ, რომ, ტრავმის შემთხვევაში, მეტოქე გუნდი ბურთს გაზრახ აგდებს აუტში. ეს ხომ გარინჩამ, ამ დიდი სულის კაცმა გაკეთა პირველად.

გახსენება და სურვილი ერთ წერილში არ ჩაეტევა, იმიტომ რომ, ფეხბურთზე დალაგებით ლაპარაკს "24 საათის" კი არა, "ნიუ იორკ თაიმსის" ფორმატი არ ეყოფა.

ათასგზის და ათასი კაცის ნათქვამს გავიმეორებ:

- ფეხბურთი სპორტის სხვა სახეობებიდან ყველაზე მეტად წარმოაჩენს კაცის, ერის თვისებებს.

- ფეხბურთი ამოუწურავი თემაა.

- ფეხბურთი, დიდი ხანია, მარტო სპორტი აღარაა.

მე მინდა, მუშთაიდის ერთ კუთხეში, ორ ერთმანეთთან ახლოს მიდგმულ სკამთან გულშემატკივარი დაბრუნდეს. დაგვიბრუნდეს ჩვენი ფეხბურთი, ჩემი ფეხბურთი...

TV სპორტი

შაბათი. 25 ოქტომბერი

NTV + ФУТБОЛ

12:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "ლოკომოტივი" (რუსეთი) – "ინტერი" (იტალია)
13:00 თავისუფალი დარტყმა
14:00 "ევროფანკლუბი". "ინტერი"
14:30 "გაიტანე!" კრისტიან ვიერისთან
14:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:15 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 რუსეთის ჩემპიონატი. "კრილია სოვეტოვი" – "დინამო". პირდაპირი ტრანსლაცია
16:55 რუსეთის ჩემპიონატი. "კრილია სოვეტოვი" – "დინამო". პირდაპირი ტრანსლაცია
17:50 სახვალიო ტელეპროგრამა
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ფულჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (19:45) თავისუფალი დარტყმა
19:50 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "ვოლფსბურგი"
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" – "რასინგი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:20 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:20 უკრაინის ჩემპიონატი. "მეტალურგი" (დონეცკი) – "დინამო"
02:05 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
02:30 "FUTBOL MUNDIAL"
04:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK RANGERS" – "DETROIT RED WINGS". პირდაპირი ტრანსლაცია

NTV + СПОРТ

10:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:20 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE AMERICA"
11:00, 12:40, 21:00 პრესცენტრი
12:55 "ყინულის ხანა". პროგრამა ეძღვნება ჰოკეის
13:55 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open". ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას პრესცენტრი
16:30 თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასი გერმანიაში. სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:05 სათხილამურო სპორტი. გიგანტური სლალომი. ავსტრია. ქალები
17:50 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open". ნახევარფინალი
19:20 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
19:50 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE AMERICA"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "დიდი რინგი". პროგრამა ეძღვნება პროფესიულ კრივს
23:30 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE AMERICA". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (02:00) ახალი ამბები
03:00 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE AMERICA". პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის კლასიკა
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
14:00 ფეხბურთი. უეფა
15:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი სანკტ-პეტერბურგში
16:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
17:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში
20:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში
21:30 ოლიმპიური თამაშები
22:00 სუმო. ტურნირი გრანდ ბაშო
23:00 ექსტრემალური სპორტი
00:00 ექსტრემალური სპორტი
03:00 K1. მსოფლიო გრან-პრი ლას-ვეგასში

ქეთევან იგნატოვა

არაოლიმპიური ოლიმპიური კონცერტი

პომპეზური კონცერტები მდიდარი, ძლიერი ქვეყნების უპირატესობაა. დღევანდელ საქართველოში ვერ ჩატარდება უნაკლო კონცერტი. მაგრამ თბილისის ოპერის თეატრში ოლიმპიელებისა და ოლიმპიური ფონდისადმი მიძღვნილმა კონცერტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

რას ნიშნავს ცუდი კონცერტი? - როდესაც გბეზრდება, იწყებ სკამზე წრიალს, დროდადრო საათს უყურებ და ერთი სული გაქვს, როდის დამთავრდება შენი ტანჯვა.

რას ნიშნავს სამარცხვინო კონცერტი? როდესაც უყურებ და ბრაზდები, გრცხვენია და დამძიმებული გამოდიხარ. სწორედ ასეთი კონცერტი მოუწყვეს ოლიმპიელებს. ორგანიზატორებმა სრულიად არაორგანიზებული, ქაოსური და, რაც მთავარია, უგემოვნებო წარმოდგენა შემოგვთავაზეს.

უგემოვნებობა იყო ყველაფერში - თითოეულ ნომერში, რეპერტუარში, შემსრულებლების შერჩევაში. ერთი-ორმა პროფესიონალმა შემსრულებელმაც კი ვერ გადაარჩინა შოუ.

სამწუხაროა, რომ კონცერტის ორგანიზატორებმა არ იციან, ვინ სად უნდა გამოიყვანონ. ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. ოპერის სცენა ძალიან მაღალი საფეხურია და ყველას არ ძალუძს მისი დაძლევა. ეს არ არის შემსრულებლის ბრალი. ამაზე მხოლოდ ორგანიზატორებს მოეთხოვებათ პასუხი. უცნაურია, რატომ უჩნდებათ სურვილი, ოპერის სცენა იაფფასიან რესტორანს ან ცირკს დაამსგავსონ. ეტყობა, ცირკის გახსნის რეპეტიციას ოპერის სცენაზე ატარებდნენ. კონცერტის მოწყობისთვის არ არის საჭირო ამდენი პრეტენზიულობა, ამდენი ტვინის ჭყლეტა. თუ ხელოვანი ხარ, ეს ბუნებრივად უნდა გამოგდიოდეს და თუ ნიჭიერიც ხარ, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

იმედია, ცირკის გახსნაზე მაინც არ გამოიყვანენ ოპერის მომღერლებს.

P.S. ოლიმპიელების კონცერტს თუ ცირკის გახსნის რეპეტიციას თვით ბადრი პატარკაციშვილი ესწრებოდა და თავის გამოსვლაში ფროიდის ენით გვესაუბრებოდა. ნეტავ, ესეც ორგანიზატორების ჩანაფიქრი იყო თუ პირადად ბატონი ბადრის ფროიდით გატაცებაა?

ბადრი პატარკაციშვილი: ყოველთვის მსურდა, ვყოფილიყავი სამშობლოსა და ერის მოჯამაგირე.

ბატონო ბადრი, იყავით მოჯამაგირე, ჩვენ თანახმა ვართ.

წიგნის პრეზენტაცია

ამ ბოლო დროს ხშირად გამიგონია გამოთქმა - "ქალი ანტიკა". სამწუხაროდ, არა ჩემი მისამართით. არ ვიცი, სლენგია თუ, უბრალოდ, მოდური გამოთქმა, მაგრამ გულისხმობს ლამაზ, ძლიერ და ა.შ. ქალს.

სწორედ ასეთ "ანტიკა ქალებზე" დაიწერა ახალი წიგნი, რომლის სათაურია "ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები" და რომლის პრეზენტაცია ამ კვირაში თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსში გაიმართა. წიგნის ავტორებიც ქალები არიან - ნანა ტონია და ქეთი ნადარეიშვილი.

პრეზენტაცია გაიმართა გუგა კოტეტიშვილის (წიგნის მხატვარი) სასიამოვნო ფოტონამუშევრების პატარა ექსპოზიციის ფონზე. საკმაოდ ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი, რომელთა უმრავლესობაც ქალები იყვნენ.

დღეს თბილისელი ქალები იყოფიან ძალიან მოვლილ, ძალიან მოუვლელ და საშუალოდ მოვლილ ქალებად. პრეზენტაციაზე საშუალოდ მოვლილ ქალთა სიჭარბე იყო - ცოტა დაღლილი, ლამაზი, ჭკვიანი, ღრმა, მაგრამ ნაოჭებით გარშემორტყმული თვალებით. თუმცა, წიგნისადმი სწორედ ამ საშუალოდ მოვლილ ქალებს აქვთ ყველაზე მეტი ინტერესი - ზოგს დაუწერია, ზოგს წაუკითხავს, ზოგს გადაუღია და ზოგსაც გაურჩევია. წიგნი 10 ლარი ღირდა და, იქ მყოფი საზოგადოების ფინანსური სისუსტის მიუხედავად, გაიყიდა.

ქალებს აინტერესებთ, რანი ვიყავით. ანტიკური ქალები უყვარდათ, მათ გამო სიკვდილზე მიდიოდნენ, იწყებოდა ომები, მარცხდებოდნენ, იმარჯვებდნენ.

კარგია ცივილიზაცია, ემანსიპაცია, ფემინიზაცია?..

ახალი, ლამაზი წიგნი გვთავაზობს ანტიკის ქალთა პორტრეტებს, ჩვენ კი შემოგთავაზებთ თანამედროვე ქალების პორტრეტებს, რომლებიც პრეზენტაციას ესწრებოდნენ.

ერთი საღამო "აჭარაში"

ამას წინათ მეგობარმა "აჭარა მიუზიკ ჰოლში" (რამსიგრძე სახელია!), "A სტუდიოს" კონცერტზე დამპატიჟა. მეზარებოდა, დაღლილი ვიყავი, მაგრამ მიწვევა მაინც მივიღე.

"A სტუდიო" ადრეც მქონდა ნანახი და მოსმენილი. ეს ჯგუფი რაღაც ხშირად ჩამოდის თბილისში - ხან ღამის კლუბებში, ხან საკონცერტო დარბაზში და ხან ვიღაცის ქორწილში. ეტყობა, არც ისე დიდ თანხას ითხოვს ჩამოსასვლელად, თუმცა, ძალიან ძვირი ნამდვილად არ ღირს - ტიპური პოპსაა. მაგრამ ახლა არ ვაპირებ "A სტუდიოს" მუსიკალურ ღირსებებზე საუბარს, მე ხომ მუსიკისმცოდნე არა ვარ.

მოკლედ, წავედი და წარუშლელი შთაბეჭდილება მივიღე იქ ნანახისგან, იქ მყოფი საზოგადოებისგან და მინდა, ეს შთაბეჭდილება თქვენც გაგიზიაროთ.

იყიდებოდა ორი ტიპის ბილეთი - მაგიდებთან და შესასვლელი, ერთი-მეორეზე ძვირი, მაგრამ, ფასის მიუხედავად, "აჭარა" სავსე იყო - უამრავი ხალხი, უმეტესობა ბავშვები. ბავშვები! 7-12 წლის! ამიხსენით, რატომ დამკვიდრდა თბილისში ბავშვების ფხიზლობის ტენდენცია? რას ვერჩით საკუთარ შვილებს? ბავშვები მიჰყავთ I არხის წამყვან გადაცემაში, წამყვან ჟურნალისტთან სალუღლუღოდ ღამის 1 საათზე. რატომ უშვებენ ბავშვებს ღამის კლუბში 11 საათზე დანიშნულ კონცერტზე? გარდა იმისა, რომ ძილის დროს არ სძინავთ, მეორე დღეს სკოლაში უნდა წავიდნენ და, რაც მთავარია, უყურებენ იმას, რაც არცთუ ისე საჭირო და სასარგებლოა მათთვის. რას უყურებენ? აი, აქ იწყება ყველაზე საინტერესო. შევეცდები, აღვწერო ჩემს მიერ ნანახი.

ცოტა კრიმინალები, ცოტა ჰომოსექსუალისტები, რეპმენები, ცოტა ტიტვლები, ცოტა ჩაცმულები, მაგრამ, ვაი ამ ჩაცმულობას. ცოტა კაიფში, ცოტა მთვრალები, ხმაურიანები, უზრდელები და ყველა გაერთიანებული ერთი დამახასიათებელი ნიშნით - აუცილებლად უნდა ილაპარაკო მობილურზე, ძალიან საქმიანი სახით.

სრულიად აშკარად გამოიკვეთა თბილისური მოდის კონკრეტული ტენდენციები. ზანგურ-ბანდიტურ-ინვალიდური პლასტიკა. ხმამაღალი ლაპარაკი, ყვირილი. გინდა, ვინმეს დაუძახო? რა პრობლემაა! დაუძახე, თუნდაც ერთი დარბაზიდან მეორეში. მოდაშია სპეციფიკური ჯდომა არა ერთ, არამედ ორ ან სამ სკამზე ერთად (რაც მეტია, ჯობია). საფერფლის მაგივრად, იატაკზე დაფერფლება. ხელი-ხელგადახვეული სიარული. დადიან, დადიან წინ და უკან, ხელი-ხელგადახვეულები და, თანაც, უფრო ბიჭები. ძმები არიან!

თუ ძმები ხართ და, თანაც, კაი ტიპები, აუცილებლად უნდა გეხუროთ პატარა (ზომითაც) ქუდი, ან დიდი კეპი, შარვალი უნდა გძვრებოდეს, პერანგი უნდა იყოს ამოჩაჩულ-დაჭმუჭნილი, სასურველია, ნებისმიერი მიმართულებით ირიბი ზოლებით. ან შავი მაისური, ისიც ამოჩაჩული. მოკლედ, უნდა ჰგავდე ან ზანგ რეპმენს, ან ლათინოს ნარკოდილერს. ყველა შემთხვევაში უნდა იბღვირებოდე. სხვა იმიჯი მიუღებელია.

თბილისური მოდის ზემოთ ჩამოთვლილი ნორმების თვალსაჩინო მაგალითებს "აჭარაში" ჩვენი საყვარელი "ვარსკვლავები" იძლეოდნენ, რომლებიც, მართლაც, ვარსკვლავებივით იყვნენ მიმობნეული "აჭარა მიუზიკ ჰოლის" ფეშენებელურ ინტერიერში. თამუნა ამონაშვილი თითქოს ოდნავ შემოხეულ ტანსაცმელში, ბევრი ქამრით. ჯაბა ქარსელაძე პატარა ქუდით, "ქუჩის ბიჭების" სიმაღლით ყველაზე პატარა ბიჭი ყველაზე დიდი კეპით. ძებნილი და ჯერონიმოები ბენდენით. არტ-იმედის ზოგიერთი წარმომადგენელი ისე იყო ჩაცმული, თითქოს თვით ბადრი პატარკაციშვილმა გასცა "ექსტრავაგანტურობის" ინსტრუქტაჟი. ჰოდა, ისინიც ცდილობენ.

ამდენი გაუგებარ ფერად შეღებილი თმა, ამდენი კორექტირებული სახე, ამდენი მაკიაჟი, ამდენი MTV-ის პერსონაჟების ცუდი ვარიანტი, დამიჯერეთ, შთამბეჭდავია. და მეც მომინდა, თქვენ მოგიყვეთ და გაგიზიაროთ, რაც ვნახე და ვინც ვიცანი. სამწუხაროდ, ბევრ "ვარსკვლავს" ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, ცოტა ხანში ან მე უფრო გავთვითცნობიერდები, ან "ვარსკვლავების" ნაწილი მაინც ჩაქრება.

ქართველ-ამერიკელი მხატვარი

ხშირად დადიხართ თბილისის სხვადასხვა სამხატვრო გალერეაში?

მე კი მიწევს და უნდა გამოგიტყდეთ, უმეტესად არცთუ ისე საინტერესოა მათი თვალიერება, რადგან თითქმის ერთი და იგივე იფინება. მაგრამ რამდენიმე დღის წინ ნამდვილად არ მინანია, რომ წავედი გალერეა "ჰობი"-ში, მხატვარ ეთერ ჭკადუას ნამუშევრების სლაიდების ჩვენებაზე. სამწუხაროდ, მხოლოდ სლაიდების, ვინაიდან ეთერის ყველა ნამუშევარი გაყიდულია ამერიკაში, სადაც მხატვარი ბოლო 15 წელი ცხოვრობს.

ამერიკამ ეთერის თავისი დაღი დაასვა, როგორც გარეგნობაზე, იმიჯზე, თავისუფალ აზროვნებაზე, ასევე ლექსიკაზე (ხმარობს ინგლისურ სიტყვებს). ამერიკანიზირებული საუბრის პარალელურად, ეთერიმ თავისი გარეგნობა კიდევ უფრო გააქართულა ორი დიდი, სქელი, შავი ნაწნავით. ისეთი გრძნობაა, თითქოს ახლა ლეკური უნდა დაუაროს. არც საკუთარ სახელს - "ეთერი" - შეელია და მთელი კონცეფცია შეიმუშავა ამ სახელთან დაკავშირებით, ყვება ლეგენდას მშვენიერ ეთერიზე. ოღონდ ჭკადუასეული "ეთერი" - მთვრალია.

მხატვრის ასეთი ქართულ-ამერიკული ავტოპერსონაჟი თითქმის ყველა ნახატში ფიგურირებს, სწორედ როგორც "ეთერი" და ამის თავისებურ ახსნას გვთავაზობდა ავტორი სლაიდების ჩვენებისას.

ეთერ ჭკადუა ღელავდა და გვიყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორია მისი ცხოვრება, მისი შეხედულებანი, მისი ემოციები. ღელავდა და ამით უფრო უშუალო და გახსნილი იყო.

სტუმრების ერთი ნაწილი დიდი ინტერესით უსმენდა, მეორე კი - არა. მათთვის ეს ყველაფერი ნაცნობია, ისინიც ხომ ხელოვანები არიან და რაში აინტერესებთ სხვისი ემოციები, როცა არ იციან, თავისი სად წაიღონ. სტუმრების ერთ ნაწილს ესმოდა ან ცდილობდა, გაეგო ეთერის მხატვრობა, მეორეს კი - არა, მაგრამ არ იმჩნევდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, სტუმრების ორივე ნაწილმა სლაიდების ჩვენების ბოლოს ტაშით დააჯილდოვა ნაწნავებიანი ქართველ-ამერიკელი მხატვარი.

ტაშს კი დაუმსახურებლად არ უკრავენ.

ახალი კლიპი

სამშაბათ საღამოს ინგა გრიგოლიასთან, პირდაპირ ეთერში, გაიმართა ახალი კლიპის პრეზენტაცია. ამ ბოლო დროს ძალიან გვანებივრებენ ახალი კლიპებით. კლიპებს იღებს ყველა, ვისაც არ ეზარება და მერე პომპეზური პრეზენტაციები იმართება.

არ ვიცი, კონკრეტულად ამ ახალი კლიპისა თუ სიმღერის სახელწოდებაა "დღე და ღამე". "დღე" – ეტყობა, თამუნა ამონაშვილია, "ღამე" კი – ლალი ტოტიკაშვილი. მგონი, სწორად მივხვდი რეჟისორ რეზო არჩვაძის ღრმა ჩანაფიქრს. თამუნა უკვე იმდენად პროფესიონალია, რომ მოდელი ლალიც კი აამღერა. კლიპი მთლიანად ვერ გვიჩვენეს, რადგან ექსკლუზივი "IST"-ს ეკუთვნის, მაგრამ, სამაგიეროდ, მოგვეცა საშუალება, მოგვესმინა გამომსვლელთათვის: "დღე" - თამუნა, "ღამე" - ლალი და რეჟისორი - "ჩვენი რეზიკო" (ასე მიმართავდა მას თამუნა). ეს კი ნებისმიერ კლიპს სჯობდა.

თამუნას ძალიან აინტერესებდა და ცდილობდა, პირდაპირ ეთერში მაინც გაერკვია, რეჟისორს რომელი მათგანი უფრო მოსწონდა. რეზიკოს კი დღე და ღამე აერია და არჩევანს ვერ აკეთებდა, ორივეს აღფრთოვანებული უყურებდა, იტანდა მათ "ვარსკვლავურ კაპრიზებს" და ცდილობდა, კლიპში "მსუბუქი ფლირტის" განწყობა და "ვიზუალური სილამაზე" ყოფილიყო. თუმცა, რეზიკო ტყუილად ღელავდა, სილამაზე ისედაც იქნებოდა, მას ხომ კლიპში თამუნა და ლალი ჰყავდა გადაღებული.

რეზიკოს, თურმე, კლიპში "მატრიცას" ელემენტები გამოუყენებია და, რაც მთავარია, თვლის, რომ ამან გაამართლა.

თამუნა, როგორც ყოველთვის, საინტერესოდ გამოიყურებოდა და საუბრობდა, უფრო სწორად, ჟღურტულებდა. განსაკუთრებით მომეწონა გადაღების დროს მომხდარი კურიოზი, როდესაც სახედარს იღებდნენ (5-6 დუბლი) და ის კი, თურმე, მაინც დუმდა. თამუნა! რეზიკოსნაირმა რეჟისორმაც კი რომ გადაიღოს სახედარი უთვალავი დუბლით, იგი მაინც დუმს. ჩემი აზრით, უფრო კურიოზულია, რატომ არ დუმს თამუნა ამონაშვილი.

ამ ფონზე ბრძენად გამოჩნდა ლალი "ღამე", თუმცა, საყურეების ზომამ და წონამ უმუხთლა.

არ ვიცი, კლიპი ფლირტიანი და ლამაზი გამოვიდა თუ არა, მაგრამ ნამდვილად სანახავია - ჩვენ ხომ თამუნა ამონაშვილის ფანები ვართ და ამ კლიპის შემდეგ, შეიძლება, ლალი ტოტიკაშვილის თაყვანისმცემლებიც გავხდეთ, "ჩვენს რეზიკოზე" რომ აღარაფერი ვთქვა.

სახლი

გთავაზობთ ახალ რუბრიკას "სახლი", რომელშიც შევეცდებით, გიჩვენოთ სხვადასხვა ტიპის ადამიანების სრულიად განსხვავებული სახლები, ინტერიერები. მიმაჩნია, რომ სახლი ასახავს ადამიანის ბუნებას, მის ინტერესებს, ცხოვრების სტილს. სახლები, ადამიანებისგან განსხვავებით, არ ტყუიან.

დღეს ქალბატონ ლანა ღოღობერიძის სტუმრები ვართ. ქალბატონ ლანასთვის სახლში ყველაზე ღირებული ის აურაა, რომელიც ლადო მესხიშვილმა შექმნა, ყველაზე ღირებული ლადოს ნაქონი ნივთებია. და კიდევ, დედისგან შემორჩენილი მხოლოდ ორი ნივთი - ბავშვობასავით ძვირფასი, რადგან ბავშვობას, წარსულს აგონებენ.

"ნივთი ხომ მხოლოდ ნივთი არ არის. მასში მთელი მეხსიერებაა ჩადებული, არა მარტო პიროვნების, ოჯახის, არამედ ქვეყნისაც", - ასე თვლის ქალბატონი ლანა, რომელსაც უყვარს თავის ბინაში ნივთების, ავეჯის ხშირად გადაადგილება, უვლის მცენარეებს და მიაჩნია, რომ ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ქალბატონ ლანას არ უყვარს, როდესაც სახლში შესვლისას პირველ რიგში სიმდიდრე გხვდება თვალში.

თავისი სახლის ყველაზე დიდ სიმდიდრედ მიიჩნევს უზარმაზარ ფანჯრებს, რომლებიც ლადო მესხიშვილმა გააკეთა და რომლიდანაც მთელი თბილისი ჩანდა. თბილისის "აღმშენებლობამ" უკვალოდ არ ჩაიარა. მისი ფანჯრებიდან აღარ ჩანს მყინვარწვერი, რომელსაც მაღალი სახლი აეფარა. ახალი მშენებლობაც დაიწყო, რომელიც კედელივით ფარავს თბილისის ხედს... მაგრამ ეს უკვე ცალკე, უზარმაზარი პრობლემაა.



უფასო ტანსაცმლის ეშხით

სამოცდაათი ახალგაზრდა პორტუგალიელი საჯაროდ გაიშიშვლდა, რომ ლისაბონის ცენტრში განლაგებულ დიზაინერულ ბუტიკში უფასო ტანსაცმელი მიეღო. ამ აქციის ლოზუნგი ასეთი გახლდათ: "იყავი ბედნიერი, შიშველმა იარე".

თავიდან აქციაში მონაწილეობის მსურველებს მაღაზიაში უშვებდნენ, სადაც მათ მშვიდად შეეძლოთ გახდა. ამის შემდეგ მათ თეთრი პირსახოცები დაურიგეს, რომლითაც ისინი სიშიშვლის დაფარვას შეძლებდნენ, სანამ ასობით უსაქმურის თვალწინ შეჯიბრში მონაწილეობამდე რიგში იდგნენ. როცა ორგანიზატორებმა სასტვენს ჩაბერეს, უშიშარმა ახალგაზრდებმა პირსახოცები დაყარეს და თავქუდმოგლეჯილები გაქანდნენ ბუტიკისკენ.

აქციის მონაწილეებს შეეძლოთ იმდენი ტანსაცმელი წაეღოთ, რამდენის ჩაცმასაც მოახერხებდნენ. სინამდვილეში, ბევრი არაფერი ერგოთ: მათ განკარგულებაში მხოლოდ ოთხი თარო იყო, ლამაზი სამოსის მსურველი კი – უამრავი.

ორიოდე სიტყვა მავნე ჩვევების შესახებ

გერმანიის პოლიციას მოუწია, ქალაქ დორტმუნდის მცხოვრებლები უენოდ მთვრალი ყვავისგან დაეცვა. სამართალდამცავი ორგანოების მონაცემების თანახმად, ფრინველს სასმელი მეტი მოსვლია.

ორშაბათს ადგილობრივ პოლიციას აცნობეს, რომ ქუჩაში გამვლელებს ფრინველი ესხმის თავს. კერძოდ, მისი მსხვერპლები ქალი და პატარა გოგონა აღმოჩნდნენ – უცნაური ყვავი ცდილობდა, მათ კლანჭებით ჩასჭიდებოდა და დაეკორტნა. ხულიგანი ვერაფრით გააკავეს – იკორტნებოდა და იკორტნებოდა!

შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელები უმალვე მიხვდნენ ყვავის აგრესიის მიზეზს – ჩიტუნა მთვრალი ბრძანდებოდა. იქვე, სიახლოვეს პოლიციელებმა ჯამში ჩაყრილი კატის საკვები აღმოაჩინეს, რომელიც ალკოჰოლით ისე იყო გაჟღენთილი, რომ სუნი ეზოში შესვლისთანავე ყველამ იგრძნო. როგორც ჩანს, ყვავი საჭმელ-სასმელს ვერ მოწყდა და გამოთვრა კიდეც.

ყვავი დიდი გაჭირვებით შეიპყრეს და შოშიას სახლში დაამწყვდიეს. პოლიციის თქმით, მეორე დილას დაპატიმრებულს ძალიან ცუდი დღე ადგა - აფოფრილი იყო და სულ სწყუროდა.

მერი პოპინსი ვესტ ენდში ჩაფრინდა

1964 წელს გამოსულმა "დისნეის" ფილმმა "მერი პოპინსმა" ქოლგით მოფრენილი ძიძის როლის შესრულებისთვის ჯული ენდრიუსს "ოსკარი" მოუტანა. ამ მიუზიკლმა მრავალი ცნობილი ჰიტიც შვა, რომელიც ფილმის მნახველებს დღემდე ახსოვთ.

ახლა ლონდონში ამ ცნობილი სურათის სცენაზე გადატანას აპირებენ. ერთწლიანი რეპეტიციების შემდეგ ვესტ-ენდში, პრინც ედვარდის თეატრში უკვე სცენაზე ჩამოფრენილ მერი პოპინსს წარმოადგენენ. პროექტს ბრიტანეთის ნაციონალური თეატრი და "დისნეის" კონგლომერატის თეატრალური განყოფილება ერთად განახორციელებენ. მათ ძველ პროექტებს რომ გადახედოთ, დარწმუნდებით, რომ "მერი პოპინსის" სასცენო ვარიანტს, მართლაც, ცნობილმა პროფესიონალებმა მოჰკიდეს ხელი: ბრიტანელი სერ კამერონ მაკინტოში ისეთ ჰიტებზე მუშაობდა, როგორებიცაა - "კატები" და "მოჩვენება ოპერაში"; დისნეის თეატრალური განყოფილება კი "მეფე ლომისა" და "აიდას" ავტორია. სპექტაკლს ბრიტანეთის ნაციონალური თეატრის ხელმძღვანელი სერ რიჩარდ ირი უხელმძღვანელებს. რაც შეეხება პარტიტურას, ბრიტანელები გამოიყენებენ "ოსკართა" დაჯილდოებული ძმების – რიჩარდ და რობერტ შერმანების სიმღერებს და რამდენიმე ახალ სიმღერასაც დაუმატებენ. ასე რომ, "მერი პოპინსი" სცენაზე ძველი მოგონებებით სავსე ახალი დადგმა იქნება.

ლალო შიფრინი

(დირიჟორი,პიანისტი,კომპოზიტორი)

და საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი

მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვახტანგ მაჭავარიანი

დიდი მაესტროს, ლალო შიფრინის კონცერტზე ახლებურად განიცდით და გაიაზრებთ ეკრანზე ნანახს. ამ მოგზაურობაში იგრძნობთ იმ საფრთხეს, რომელიც უკვე კარგად ცნობილი ფილმების გმირებს ემუქრებათ. მოხვდებით სხვადასხვა საუკუნეში, იმღერებთ, იცინებთ, შეხვდებით თქვენს სიყვარულს, ფინალში კი გელით ტრიუმფი. ეს მუსიკა დაგებმარებათ, ერთხელ უკვე განცდილი გრძნობა, უფრო მძაფრად შეიგრძნოთ და განიცადოთ.

საკონცერტო პროგრამა:

,,რაც დრო გადის-(As Time Goes By) კინოფილმიდან ,,კასაბლანკა-(Casablanca)
,,ტარას თემა-(Tara's Theme) ,,ქარიშხალებულნი-(Gone With The Wind)
,,მთვარის მდინარე,,-(Moon River) ,,საუზმე ტიფანისთან-(Breakfast At Tiffany's)
ჯეიმს ბონდის თემა ,,ცინცინატის ბიჭუნა-(Cincinnati Kid)
,,სასიყვარულო თემა-(Love Theme) ,,ნათლიამამა- (The Godfather)
მუსიკა ჰოლივუდის კლასიკად ქცეული კინოფილმებიდან:
,,დოქტორ ჟივაგო-(Dr. Zhivago), ,,ლორენი არაბეთიდან-(Lawrence Of Arabia),
,,ბერძენი ზორბა-(Zorba The Greek), ,,მესამე კაცი-(The Third Man). კოსმიური
თემები კინოფილმიდან ,,ვარსკვლავური ომები-(Star Wars)
თემები ვესტერნიდან:,,ნაშუადღევს-(High Noon), ,,შესანიშნავი შვიდეული"
(The Magnificent Seven), ,,კარგი, ცუდი, ბოროტი-(The Good, The Bad, The Ugly)
,,მისია: შეუსრულებელია-(Mission: Impossible) და ბევრი სხვა

სპონსორები:

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
Cinema Rustaveli
რუსთაველი
აშშ

EASTERN PROMOTION Tel: 95-40-01,
E-mail: eastern@caucasus.net
www.easternpromotion.com
www.schifrin.com

6 . 11.2003
თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

სკანვორდი

TV პროგრამა

24 ოქტომბერი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სპეცრაზმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი „ველური სამყაროს ამბები" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „განდგომილი" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი „მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „როცა ძალს კუდი აქნევს" რ-ში: დასტინ ჰოფმანი, რობერტ დე ნირო. **02.20** მხ.ფილმი „გაქცეული ვეფხვი უჩინარი დრაკონი". მთ. რ-ში: ჩოუ იუნ ფანი.

პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ფრენის სიჩქარე" **09.45** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** დოკ. სერიალი „პალიტრა" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** საპარლამენტო არჩევნები **17.15** საწინდარი **17.45** მულტსერიალი „კიტუ" **18.00** „ვესტნიკი" **18.45** „თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00, 00.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესკლუბი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.15** ქართული მხ. ფილმი „სპირალი" **02.55** ღამის ჯაზი .

პირველი სტერეო

09.00 მუსიკა **10.00** ტროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ფემინისტი ქალი" მთ. რ-ში პენელოპა კრუსი, მურილიო ბენისიო. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო" „სახლი თავდაყირა" მთ. რ-ში სტივ მარტინი, კუინ ლატიფა. **01.50** „ღამური" „ძარცვა ფრანგულად" მთ. რ-ში ჟერარ დეპარდიე, ჰარვი კეიტელი. **03.45** პაუზის გარეშე.

მზე

09.00 მულტფილმი „კონკია 2" **10.35** საბ. სერიალი „ბარნუმი" **11.30** დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **18.05** სერიალი „სენტიმენტალური ამბები" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. მანჩესტერ იუნაიტედი - ფულემი **20.50** საინფ. გამოშვება „მზერა" **21.20** მხ. ფილმი „მის კონგენიალურობა" **23.10** მხ. ფილმი „ფრანგული კოცნა".

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.30** ორატორი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** „თბილისობა" **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი „ფრედის ანგელოზები".

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „საცდელი დღე" **14.00** მხ. ფილმი „ტუტსი" **16.00** მხ.ფილმი „გადამზიდავი" **17.30** მულტფილმი „მულანი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **19.20** „ზვიადაური" **21.00** მხ. ფილმი „გაიცანით ჯო ბლექი" **00.20** მხ. ფილმი „ეშმაკისეული".

იბერია

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „ქვრივის ცოლი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „ეშხლარე" **02.30** მუსიკა.

მეცხრე არხი

08.20 მხ. ფილმი „ბენ ჰური" მე-2 ნ. **10.30** სერიალი „მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი „სასიკვდილო დამშვიდობება" **13.15, 16.20, 17.50, 22.00** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" **14.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი „ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია" **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** „საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაფცრა" **21.15** სერიალი „საფრთხის ზღვარზე" მე-2ს. **22.20** „ტელემეტრი" **22.30** „ოლიმპი" **22.50** მოკლ.მხ.ფილმი **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი „ვარსკვლავთცვენა".

იმედი

09.00 ქრონიკა **09.15, 12.25, 14.50, 01.45** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.20** ანიმაციური სერიალი „სამი ახალბედა" **10.45** მხ. ფილმი „მტაცებელი ფრინველი" **12.30** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.00, 15.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **13.10** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.40** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი „მელიები" **17.00** რაგბის მსოფიო ჩემპიონატის მიმოხილვა **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40, 11.00, 13.50** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.20** კომედია „ნოსტალგია მამაზე" **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი „ისტორია ჩვენზე" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი „მერია" **16.20** მულტფილმები **17.25** ისტორიული ფილმი „ბენ-ჰური" 2 ს. **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.05** მხატვრული ფილმი „თეთრი ოლეანდრი" **21.55** „ბუხარი" **23.00** „Улово" **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** „ქართული კინო" **01.40** სათავგადასავლო ფილმი „კორინფის დამყრობელი" **03.40** ფილმი-კატასტროფა „არმაგედონი".

VII არხი

18.10 მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** „ნა-ნა-ნა"-კარაოკე **21.10** მელოდია **21.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.30** მელოდია **23.00** კომპიუტერული ტექნიკა **23.40** „კინოკლუბი „ - „მშვიდობით საყვარელო". ეროტიკული თრილერი. რეჟ: როლანდ იოფე. როლებში: დონ პონსონი, პატრისია არკეტი.

ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10 Худ.фильм „Морской характер" 09.00 Сериал „Твинисы" 09.20** „Играй, гармонь любимая!" **10.00** „Слово пастыря" **10.10** „Здоровье" **11.10** „Смак" **11.30** „Возвращение домой. Н. Королева. Киев" **13.10** Национальное географическое общество представляет: „В поисках линкора „Бисмарк" **14.00** „Чтобы помнили...". А.Фатюшин **14.40** „Путешествия натуралиста" **15.15** Дисней-клуб: „Геркулес" **15.40** „Умницы и умники" **16.20 Детектив „Убийство свидетеля" 17.40** „Криминальная Россия". „Палачи", ч.1 **18.10** „Песня года. Осень" **20.00** „Кто хочет стать миллионером?" **21.00** „Последний герой" **22.00** „Время" **22.30** „Розыгрыш" **23.30** „Золотой Граммофон" **00.30** „Лучшие кинотрюки года" **02.20 Комедия „Полицейский из Гонконга".**

РТР

06.50 Комедия „Девушка с гитарой" 08.20 Сериал „Дракоша и компания" 08.45 „Золотой ключ" **09.05** „Русское лото" **09.35** Мультсериал „Том и Джерри" **09.50** „Большая перемена" **10.15** Маленькие комедии „Ха" **10.30** Результаты голосования: „Народный артист - Ваш выбор!" **10.45** „Утренняя почта" **11.20** „Не скучай!" с М.Евдокимовым **12.20** „Сам себе режиссер" **13.15** „Крутой маршрут" **14.15** „Клуб сенаторов" **15.00, 21.00** „Вести" **15.20 Детектив „Груз без маркировки" 17.00 Футбол. Чемпионат России. „Зенит"** (Санкт-Петербург) - **„Локомотив"** (Москва) **19.00** „Народный артист" - скоро финал! **19.10** Юмористический концерт „Разная бурда" **21.25** „Зеркало" **21.50** „Честный детектив" Э.Петрова **22.20** „Аншлаг" **23.20 Детектив „Двойной просчет" 01.25 Триллер „Другие" 03.35 Худ.фильм „Хитрый вор" 04.10 Сериал „Клоун".**

НТВ

07.10 Боевик „Стиратель" 09.00, 13.00, 17.00 „Сегодня" **09.20 Худ.фильм „Улица Сезам" 09.45 Худ.фильм „Та-ра-рам!" 09.55** „Без рецепта". Доктор Бранд **10.30** „Обозреватель" **11.05** „Кулинарный поединок: Иванушки International" **12.00** „Квартирный вопрос: летят утки" **12.55** Спорт „Лото 6 из 49" **13.20** Экспедиция Т. Баженова „Дикий мир" **14.05 Худ.фильм „Порожний рейс" 16.05** „Своя игра" **17.20** К юбилею Е. Санаевой. „Женский взгляд" **17.55 Сериал „коллекция Даниэлы Стил: Похищенный", 1 с. 19.10** „Новейшая история: „Курск". Последний причал" **20.00** „Личный вклад" **21.00 Худ.фильм „Мусорщик" 23.10 Триллер „Изгоняющий дьявола" 01.45** „Ночные музы" **02.20** „Стиль от ..." Р.Литвиновой **02.30** „Просто цирк" **03.00** „Про дизайн" **03.30 Сериал „За гранью возможного".**

გრანტი ჯადოსთვის

ნორვეგიელმა კუდიანმა ჯადოსნური ნაყენების შექმნისა და დამზადებისთვის მთავრობისგან გრანტი მიიღო.

33 წლის ლენა სკარნინგა იფიცება, - კუდიანი ვარ, უფრო სწორად, ყოველთვის ვიყავი, მაგრამ ჩემი ბიზნესის "ფეხზე დასაყენებლად" საწყისი კაპიტალი მაკლდაო. ამიტომ მან გრანტზე განაცხადი მხოლოდ მას შემდეგ შეიტანა, რაც მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ ლექციების კურსი მოისმინა.

ნაყენები, რომლის დამზადებასა და გაყიდვასაც ნორდ ოდალის ტყეში მცხოვრები ლენა გეგმავს, მისი თქმით, მავნე ჩვევების "გადაგდების" საშუალებებია; ეროტიკული სიზმრების სტიმულირებასაც ახდენს. თავისი საქონლის გასაყიდად ის კარდაკარ აპირებს სიარულს.

ნორვეგიის რეგიონული განვითარების ინდუსტრიულმა ფონდმა მას ჯადოების დასამზადებლად 11 ათასი დოლარი გადასცა. ფონდის წარმომადგენელი ოვე გარჰენი ამბობს, რომ ამ "საეჭვო საქმისთვის" ფულის გაცემა სულ არ დანანებია. ის იმასაც უარყოფს, რომ ფულის გამოსაძალად კუდიანმა მას ჯადო გაუკეთა. "ამ პროექტისთვის ფული იმიტომ მივეცით, რომ ეს ნოვატორული იდეა იყო, რომლის წყალობითაც, ახალი სამუშაო ადგილიც შეიქმნება და მომხმარებელიც ახალი სახის პროდუქციას მიიღებს," -ახსნა გარჰენმა.

ადამიანები ციფრებად რომ არ დარჩნენ

46664 – კაცი, რომელსაც 18 წლის განმავლობაში სახელად ეს ნომერი ერქვა, იმავე ნომერს ახლა შიდსის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დევიზად იყენებს. "ციხეში ყოფნის დროს მე მიცნობდნენ, როგორც ამ ციფრების ერთიანობას. დღეს კი მილიონობით შიდსით დაავადებული ადამიანია, რომელთაც, ასევე, მხოლოდ ციფრებით მოიხსენიებენ. არადა, თქვენს მიერ გამეტებულმა ერთმა წუთმა, შეიძლება, სამყარო შეცვალოს. დარეკეთ მითითებულ ნომერზე, გაწირეთ ერთი წუთის საფასური და თქვენ შიდსით დაავადებულ ადამიანს დაეხმარებით", - ეს იყო მოწოდება, რომელიც სამხრეთ აფრიკის ყოფილმა პრეზიდენტმა, ნელსონ მანდელამ 21 ოქტომბერს ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე მთელი მსოფლიოს გასაგონად წარმოთქვა.

მანდელას ინიციატივას შოუბიზნესის მრავალი ვარსკვლავი და სატელეფონო კომპანია უჭერს მხარს. სწორედ მათი ხელმძღვანელობით, მსოფლიოში ყველას შეეძლება ლონისძიებაში ჩართვა. საკუთარი წვლილის შეტანა ადამიანებს ინტერნეტითაც შეეძლებათ - საიტზე: www.46664.com.

85 წლის მანდელა, რომელსაც ხშირად აპართეიდის სიმბოლოსაც უწოდებენ, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის გამო აქტიურობს – ყველაზე მეტი შიდსით ინფიცირებული (დაახლოებით, 5 მილიონი ადამიანი) ხომ სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობს.

რაც შეეხება შოუბიზნესს, მუსიკოსები, ბონოს მეთაურობით, ამზადებენ გრადიოზულ კონცერტს, რომელიც 29 ნოემბერს კეიპტაუნში გაიმართება. MTV შოუს 1 დეკემბერს, შიდსის საერთაშორისო დღეს უჩვენებს. მუსიკალური ტელევიზიის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ მაყურებელთა რაოდენობა 2 მილიარდს მიაღწევს. მოგვიანებით გამოუშვებენ კომპაქტ და ციფრულ ვიდეო დისკებსაც, რომელიც შიდსისის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას სრულად ასახავს.



იწერება სიმღერა 46664: Long Walk to Freedom ("46664: თავისუფლებისკენ მიმავალი გრძელი გზა"), რომელზე მუშაობაც ჯგუფ "იურითმიქსის" ყოფილმა წევრმა დეივ სტიუარტმა ჯო სტრამერთან ერთად დაიწყო და გასაგები მიზეზების გამო, ბონოსთან ერთად დაასრულა. აქციაში, ასევე, მონაწილეობენ: დეივდ ბოვი, პოლ მაკარტნი, რობერტ დე ნირო, ოფრა უინფრი, ბილ კლინტონი. კეიპტაუნის სტადიონზე დაგეგმილ კონცერტზე კი ბეიონს ნოულსი, "50 ცენტი", შაკირა და ბრიტნი სპირსიც იმღერებენ. ნელსონ მანდელას მხარდაჭერა აღუთქვეს Queen-ის წევრებმა - როჯერ ტეილორმა და ბრაიან მეიმ. მეიმ აღნიშნა: "ეს კონცერტი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. შიდსის საკითხებით მას შემდეგ ვართ დაინტერესებულნი, რაც ფრედი გარდაიცვალა. აფრიკას კი ყველამ უნდა მიაქციოს ყურადღება - იქ ხომ კრიზისია".

კანადელი სულთანი და მისი 26 მეუღლე

კანადა ხშირ შემთხვევაში ასოცირდება - ჰოკეისთან, ადგილობრივ დოლარზე გამოსახულ იქაურ პარკებში მობინადრე იხვებთან, ნიაგარის ჩანჩქერთან და უდიდეს ტბებთან, მაგრამ მრავალცოლიანობა მასთან დაკავშირებით არანაირად არ გაგახსენდებათ. თუმცა, კანადაში, როგორც ყველგან, გამონაკლისიც არსებობს.

უინსტონ ბლეკმორი დიდი ოჯახის პატრონია. იგი ბრიტანული კოლუმბიის პროვინციაში - ბაუნტიფულის დაბაში, ყველაზე გავლენიანი ადამიანია. მას 26 ცოლი და 80 შვილი ჰყავს, თუმცა თავად ამ ფაქტს ჯიუტად უარყოფს.

"მე ვარ ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც უნდა თავისი საქმითა და ოჯახით იყოს დაკავებული, რომელიც, სხვათა შორის, არაჩვეულებრივია. მე მიყვარს ყველა ჩემი ცოლი და შვილი", - ამტკიცებს ყველაზე ცნობილი მრავალცოლიანი კანადელი.

კანადელი პოლიგამისტების დასახლებაში, ბაუნტიფულის დაბაში, რომელიც ამერიკის საზღვართან ახლოს, პატარა ქალაქ კრესტონთან მდებარეობს, დაახლოებით, ათასი ადამიანი ცხოვრობს.

ალბათ, ვინც იქ პირველად მოხვდება, იფიქრებს, რომ სხვა ეპოქაში აღმოჩნდა – სადღაც, 100 წლის წინანდელ ეპოქაში. ქუჩები სავსეა ახალგაზრდა ორსული ქალებით, საბავშვო ეტლებითა და ახალშობილებით ხელში მოსეირნე დედებით.

მათთან ახლო ნაცნობობისას ადვილად მიხვდებით - ამ ქალბატონების უმეტესობა არც სიყვარულით გათხოვილა და არც კანონიერად, რადგანაც ძალზედ ახალგაზრდები არიან.

აქ მოზარდი გოგონები იმ ასაკის მამაკაცებთან წყვილდებიან, რომლებიც მათ ბაბუებად უფრო შეჰფერიან. ამას მოითხოვს მათი რელიგია - მამაკაცი ცხოვრების ძირითადი საწყისია და, რაც უფრო მეტი შვილი ეყოლება, მით მეტი შანსი აქვს ღმერთთან მიახლოებისა.

უინსტონ ბლეკმორი, რომელიც დაბაში "ბაუნტიფულის ეპისკოპოსად" მონათლეს, ამ სტატუსს ყველაზე მეტად ამართლებს – როგორც უკვე აღინიშნა, მას 26 ცოლი და 80 შვილი ჰყავს.

ელიტარული დალმატინის ლეკვები
8-99-93-21-16

"60 წუთის" საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სკოლა აცხადებს ჟურნალისტთა მიღებას 2003-2004 წლისათვის. დარეკეთ: 25-31-81

აირჩიე და მოიგებ!

RENAULT
SYMBOL

"რენო-სიმბოლი" 100 ცხენის ძალით, მოიხმარს 5-7 ლიტრ საწვავს, ლურჯი ფერის ალუმინის დისკებით, დამცავი ბალიშები, კონდიციონერი, სრული ელექტროპაკეტით, განბაჟებული.

არჩევნების მხარდამჭერი პროგრამა 2003-2005
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია ქვეყნისათვის. თქვენი მონაწილეობითა და აქტიურობით საქართველო მოიგებს, მოიგებს მისი თითოეული მოქალაქე. ამიტომ "დამოუკიდებელი პრესის განვითარების ჯგუფი" ფონდ "ღია საზოგადოება — საქართველოს" დაფინანსებითა და ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის თანადგომით მართავს სატელეფონო ვიქტორინას.

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველი კვირის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდება 6 კითხვა საარჩევნო თემებზე ოთხი სავარაუდო პასუხით. თითოეულ კითხვასა და პასუხს მინიჭებული ექნება თავისი ნომერი (1,2,3,4). ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა გამოქვეყნებულ შეკითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხები. ვიქტორინის მონაწილემ ექვსივე შეკითხვაზე გაცემული პასუხების ნომრებით უნდა შეადგინოს საკუთარი ექვსციფრიანი ვარიანტი. ეს ვარიანტი სატელეფონო კომპანიის კოდთან (8-05-32) ერთად წარმოადგენს სატელეფონო ნომერს, რომელზეც უნდა დარეკოს ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა.

ვიქტორინაში მონაწილეობას ადასტურებს ავტომობილზე
1 სატელეფონო ზარის ღირებულებაა 30 თეთრი.

მაგალითი

დასმული შეკითხვის ნომერი ⇨	1	2	3	4	5	6
	8	0	5	3	2	-	-	-	-	-	-

⇧ სატელეფონო კოდიანის კოდი

⇧ თქვენს მიერ შერჩეული პასუხების ნომრები შესაბამის კითხვაზე

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველ კვირა ხაღაშოს "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მოხდება ვიქტორინაში გამარჯვებულთა გამოვლენა ლატარიის საშუალებით. ლატარიაში მოთამაშდება ყველა ის ვიქტორინაში მონაწილის სატელეფონო ნომერი, რომლებმაც დარეკვის სწორ ვარიანტზე ვიქტორინის ყოველ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები:

1. ტელევიზორი
2. მუსიკალური ცენტრი
3. სარეცხი მანქანა
4. მტვერსასრუტი
5. მაგნიტაფონი
6. მიდიმებანტოფონი
7. პირის სახაპარსი აპარატი
8. მიმსერი
9. წვნისაწური აპარატი
10. ყავადანი

ხოლო არჩევნების დღეს — 2 ნოემბერს იგივე წესებით ჩამოთვლილ პრიზებთან ერთად გათამაშდება სუპერ-პრიზი — ავტომობილი "რენო-სიმბოლი".

ასე რომ, 41 ამომრჩეველი, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი, საგანგებოდ მოგებული დარჩება გახსოვდეთ, პრიზები გაიცემა მხოლოდ მათზე, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას — საარჩევნო დამცის წარმომადგენის პირობით.

კითხვები ვიქტორინისათვის მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ "სამართლიანი არჩევნები".

ვიქტორინის მეორე ეტაპის გათამაშება შედგება 26 ოქტომბერს "რუსთავი 2"-ის სალამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 26 ოქტომბრის 18.00 საათამდე.

სატელეფონო ზარები მიიღება ქალაქ თბილისის ადგილობრივი სატელეფონო ნომრებიდან და "მაგთის", "ჯეოსელისა" და "ლაი-ლაის" აბონენტებისაგან.

სწორი პასუხები ყველა კითხვაზე შეგიძლიათ მიიღოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — "სამართლიანი არჩევნების" ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).

ვიქტორინის მეორე ეტაპის მონაწილეობის პირობები:

1. 306 შეცვალ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
   1) ამომრჩეველი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კანტისტრის შენობაში მისვლა.
   2) ამომრჩეველი, რომლისც იმყოფება ნინასწარ პატიმრობაში
   3) ამომრჩეველი, რომლისც იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ცნელად მისაკუთრე არგილას.
   4) ყველა მათანი

2. ის უნდა მითხრათ იმისათვის, რომ ჩაგიწეროთ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
   1) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
   2) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
   3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
   4) ნებისმიერ მათანს.

3. რომელმდე შეიძლება განცხადების შეტანა გადასატან საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანად?
   1) 27 ოქტომბრის ჩათვლით.
   2) 1 ნოემბრის ჩათვლით.

4. რომელი ასაკიდან ეძლევა მოქალაქეს აქტიური საარჩევნო უფლება?
   1) 16 წლიდან
   2) 18 წლიდან
   3) 17 წლიდან
   4) 21 წლიდან

5. რომელი საბუთებით შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა?
   1) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან პასპორტით (მათ შორის სხვ ქვეყნის სიფრთხილით პასპორტით)
   2) სამხედრო ბილეთით.
   3) დევნილის მოწმობით პირადობის მოწმობასთან ერთად.
   4) ნებისმიერი მათანით.

6. რომელი საბუთებით არ შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა?
   1) პენსიონერის მოწმობით.
   2) ფართის მოწმობით.
   3) შრომის წიგნაკით.
   4) არც ერთი მათანით.

ფაუერლინ-ქლა

სრულიად ახალი სიტყვა გულგრძივი საკვები დანამატების წარმოებაში!

მოულოდნელი ცნობილმა ამერიკულ-შეერთებულმა კომპანიამ "ფაუერლინმა" მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის საფუძველზე განაცხადა ტკბილეულის გამოუცხადა შეჭმა დიეტური დანამატი "ფაუერლინ-ქლა", რომელიც სრულიად უვნებელია და ჯანმრთელ ორგანიზმში და მის ფუნქციური ორგანოები ორგანიზმში ცხიმის: ძმრის ჭარბის, ჰორმონების და სხვა სიმსუქნის წარმოქმნების განვითარება, მაქსიმალურად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ამცირებს "ცუდ" ქოლესტერინის დონეს, ხელს უწყობს ორგანიზმის ენერგიულ ტონუსში მოყვანას და განსაკუთრებით დაავადებების განვითარებას, შეიცავს დიეტების საწყისი ეტაპის შეჭირვებას, ცხიმოვან ქსოვილს უკმობს ჭარბედად გარდაქმნის, არ აძლევს ცხიმის უფრად შრომის სამუალებას, ცხიმრება ორგანიზმს საკვები რაოდენობის საკვებიდან ჰქონ ენერგიის მიღებაში, სმრადად იწვეს მაგრომას, ხელს უწყობს ენერგიის შრომას, აჭარბებს სხეულ, შეიცავდეთ ამის ინტენსიური ცვლის დროს, მაქსიმალურად ამცირებს ამის ძირებს!

მოულოდნელ ნამკვლი სპეციალისტები მის უსაფრთხოებას ამტკიცებენ.

"ფაუერლინ-ქლა" არ არის ტრადიციური დიდი დოზების შეჭიხტეტებში.

იგი ფაქტობრივად პოპულარულია მოულოდნელ ყველა ელექტრონ ქსელებში!

მოულოდნელ "ამერიკა", PSP (20-30-40), GPC (20-30-40) ბაზებსა და სხვა აფთიაქებში. "ფაუერლინის" ქსელებიური დისტრიბუტორი კომპანია "ფლორიდა". ტელ. 99 87 37

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.